# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№ 098 (12 777) 29 აპრილი ოთხშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩაკეტილი მესი




გუუს ჰიდინკმა ყველას აჩვენა, როგორ უნდა დლევანდელი „ბარსელონასა“ და მისი ლიდერის - ლეო მესის შეჩერება. გუშინდელ ნახევარფინალში იმ იშვიათ შემთხვევასთან გვქონდა საქმე, როცა „ბარსელონამ“ ვერ მოახერხა მეტოქის კარის აღება. ასეთი რამ ამ სეზონში ორჯერ მოხდა. ერთხელ 31 აგვისტოს, ესპანეთის ჩემპიონატის პირველ ტურში, როცა „ბარსამ“ 0:1 წააგო „ნუმანსიასთან“ და მეორედ - 21 იანვარს, ესპანეთის თასის მეოთხედფინალში „ესპანიოლის“ წინააღმდეგ (0:0).

ახლა კი ხოსეპ გვარდიოლას გუნდის შეჩერება ბრწყინვალე გუუს ჰიდინკის „ჩელსიმ“ შეძლო. თითქოს, მასპინძლებს ყველა კომპონენტში უპირატესობა ჰქონდათ, შტურმს შტურმზე აწყობდნენ ჩეხის კართან, მაგრამ მათი შეტევების შემხედვარე ნათლად ჩანდა, რომ გუშინდელ საღამოს „ბარსას“ ძალიან გაუჭირდებოდა გოლის გატანა. ასეც მოხდა. ჰოლანდიელის ტაქტიკამ გაამართლა. ვნახოთ, რას მოიფიქრებს „ჩელსის“ დამრიგებელი 6 მაისისთვის, როცა მასპინძლის როლში ლონდონელები იქნებიან. ნებისმიერ შემთხვევაში, „სტემფორდ ბრიჯზე“ დიდ მატჩს ვიხილავთ.

ტექნიკური შედეგები » 16

12 ქულა
18 მოხსნა




# ზაზა ფაჩულია
## მაიამი გალახა

ქართველი NBA-ში » 13

# ძველი დაპირისპირება, ძველი იმედები






# არანაირი პიარი, საფუძვლიანი გამოძიება!

ინტერვიუ
დიმიტრი რამიშვილთან » 2

ინტერვიუ

დიმიტრი რამიშვილი

# არანაირი პიარი, საფუძვლიანი გამოძიება!

## არ გამოვრიცხავ, რომ ამ შემთხვევაში თამაშის ჩაწყობა კლუბების პრეზიდენტების კი არა, მწვრთნელების, ფეხბურთელების ან მსაჯების დონეზე მომხდარიყო

27 აპრილს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის წევრებმა ჩაწყობილ მატჩებზე ისაუბრეს და შეშფოთება გამოხატეს ეროვნულ ჩემპიონატში საეჭვო შეხვედრების გამო, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ მიიღეს და... საქმე გამოსაძიებლად პროკურატურას გადასცეს - ისევე, როგორც შარშან ამ დროს...

გადაცემა „გოლში" ფეხბურთის ფედერაციისა და პროფესიული ლიგის ხელმძღვანელებმა გახმაურებული სხდომის დეტალებზე ისაუბრეს. თურმე, დასახელდა საეჭვო მატჩებიც, მაგალითად, ბოლო ტურის შეხვედრები: „ოლიმპი"-„ვიტ ჯორჯია", „სპარტაკი"-„სიონი" და „ლოკომოტივის"-„გაგრა". ერთ-ერთმა მაყურებელმა კი „ზესტაფონი"-„დინამოს" შარშანდელ სათასო და საჩემპიონატო შეხვედრებზე ჩამოაგდო სიტყვა. კითხვები მაინც რჩება - ეს ყველაფერი მხოლოდ ლაპარაკია, თუ ნამდვილად აპირებენ ჩაწყობილი თამაშების მხილებას? ამის თაობაზე პროფლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი გვესაუბრება...



დიმიტრი რამიშვილი

**- ბატონო დიმიტრი, როგორც იქნა, ჩაწყობილ მატჩებზე ლიად დაიწყეთ ლაპარაკი, მაგრამ დამეთანხმებით, მხოლოდ ლაპარაკი ამ საქმეს ვერ უშველის. ჯერ ის ვთქვათ, რა წყაროებზე დაყრდნობით გადაწყვიტეთ საქმის გამოძიება?**

- ჯერ ერთი, ბოლო დროს ეს თემა ჩვენს გაზეთებში ყველაზე აქტუალურია. მეორეც - ინფორმაციებს ვიღებთ ტოტალიზატორებიდან, გულშემატკივრებისგან და საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლებისგან... რა თქმა უნდა, დოკუმენტურ ინფორმაციას არავინ მოგვაწვდის, მაგრამ დაკვირვებითა და ანალიზის დონეზე გარკვეული დასკვნების გამოტანა მაინც შესაძლებელია. გამოძიების დაწყებაც სწორედ ამან გადაგვაწყვეტინა.

**- ეს თქვენი ინიციატივაა?**

- დიახ, რადგან გარკვეული ეჭვები ჩვენც გაგვიჩნდა, მაგრამ გამოძიების გარეშე ვერდიქტის გამოტანა შეუძლებელია და ამიტომაც მივმართეთ პროკურატურას - ჩაერთოს გამოძიებაში. მათ შარშანაც გადავეცით საეჭვო მატჩების სია. თუ არ მეშლება, ხუთ მატჩზე იყო ლაპარაკი...

**- სწორედ ამის გამო ჩნდება ეჭვი, რომ ახალი ინიციატივაც ძველივით უშედეგო არ გამოდგეს. ის თამაშები რატომ ვერ გამოიძიეს?**

- ჩვენი საქმე იყო პროკურატურისთვის საქმის გადაცემა, დანარჩენი კი მათი კომპეტენციაა. ჩვენი მხრივ კი, გადაწყვეტილება უკვე მივიღეთ - სანამ არ გვეცოდინება გამოძიების პასუხი, მანამდე - ეჭვმიტანილ კლუბებზე ჩემპიონატისა და თასის საპრიზო ფონდიდან თანხებს არ გავცემთ.

**- კონკრეტულად რომელ კლუბებზეა ლაპარაკი?**

- ვიმეორებ, ეჭვები ჯერ დადასტურებული არ არის და დასკვნების გამოტანაც ნაადრევია. შესაბამისად, ის კლუბები, რომლებზეც ითქვა, ჯერჯერობით ჩაწყობილი თამაშების მონაწილეებად ვერ ჩაითვლებიან. დავაზუსტებ - რაკი გაჩნდა ეჭვი „ოლიმპი"-„ვიტ ჯორჯიას", „სპარტაკი"-„სიონისა" და „ლოკომოტივი"-„გაგრას" მატჩების გამო, ამ კლუბებზე საპრიზო ფონდის თანხები დროებით არ გაიცემა. შესაძლოა, გამოძიება დროში გაიწელოს, მაგრამ ამ საქმეს მაინც ბოლომდე მივიყვანთ.

**- რა სასჯელი შეიძლება დაეკისროთ კლუბებს? ადრე მიღებულმა ზომებმა საქმეს ვერ უშველა - ასეთ დროს ფულადი სანქციები გაუგებარიცაა და სასაცილოც...**

- შესაძლოა, გამოძიების დასრულების შემდეგ გუნდს ჩემპიონობა და თასი ჩამოვართვათ. არ არის გამორიცხული, პირველ ლიგაში გავრიცხოთ, ქულები დავაკლოთ ან თასის გათამაშებას ჩამოვაშოროთ... გააჩნია, რა დამტკიცდება. იტალიის ფეხბურთის ფედერაციაშიც გაუჩნდათ ეჭვები და პროკურატურა ჩაერიეს საქმეში, მათ კი გამოიძიეს და დაადგინეს, თუ რა სიბინძურე ხდებოდა.

**- თუ დაინტერესდით, რა სტადიაშია წინა წელს პროკურატურისთვის გადაცემული თამაშების გამოძიება?**

- მასალები გადავეცით და დანარჩენი უკვე ჩვენ აღარ გვეხება, თავად უნდა გამოეძიათ. სხვათა შორის, უეფას ვიცე-პრეზიდენტს მალტელ ჯოზეფ მიფსუდს მივმართეთ და გვირჩია, რომ საქმე გამოძიებისთვის გადაგვეცა. გამოძიება ყველგან ეჭვების საფუძველზე იწყება, დოკუმენტებს საკუთარი სურვილით არავინ დაგვილაგებს.

**- ცნობილია, რომ კომისიის ჩამოყალიბებაზე უარი განაცხადეთ...**

- უარი განვაცხადეთ იმიტომ, რომ კომისია არაეფექტური იქნება. დოკუმენტების გარეშე, ხელს ვერავინ ვერავის დაადებს და რა აზრი აქვს ასეთი კომისიის შექმნას?

**- ტოტალიზატორებიდან მიღებული ინფორმაციები ახსენეთ. შეგიძლიათ, დაგვიკონკრეტოთ, რა ინფორმაციებზეა ლაპარაკი?**

- პირდაპირი მინიშნებები ხდებოდა. როცა გუნდზე დადგენილი ფსონი 3.7-დან უცებ 1.1-მდე მცირდება, ეჭვი არ დაგვებადებოდა? საეჭვო იყო ზოგიერთი აუტსაიდერის მოგებაზე ფსონების მოზღვავებაც. იწყებოდა აუტსაიდერის ყოვლად წარმოუდგენელ მოგებაზე ფსონების კატასტროფული ზრდა და ვერც ამას დავტოვებდით უყურადღებოდ. მსურს, მადლობა გადაგიხადოთ სპორტულ ჟურნალისტებს, ქართულ ფეხბურთზე გული რომ შეგტკივათ და ამგვარ თამაშებზე ღიად წერთ. თქვენ წამოსწიეთ თემა და ვფიქრობ, უფრო მეტი აქტიურობაა საჭირო.

**- ამ ყველაფრის შემდეგ ტოტალიზატორი „აჭარა" ეროვნულ ჩემპიონატზე ფსონებს კიდევ მიიღებს?**

- რა თქმა უნდა! ეს აუცილებელიცაა ჩვენი ჩემპიონატის პოპულარიზაციისთვის. იტალიაშიც ჩააწყვეს თამაშები, მაგრამ ტოტალიზატორებს სერია A-ს მატჩებზე ფსონების მიღება არ შეუწყვეტიათ. სხვათა შორის, ჩვენს რეგლამენტში შესწორება შევიტანეთ - ტოტალიზატორში შესული, ან ფსონის დადებაში ეჭვმიტანილი ფეხბურთელი ისევე დაისჯება, როგორც წითელი ან ყვითელი ბარათის მიღებისას. ეს მუხლი უკვე ამოქმედდა. თუ ამ ზომებმაც არ გამოიღო შედეგი, ფეხბურთელს თამაშს ავუკრძალავთ.

**- ევროპაში არ ერიდებიან სახელგანთქმული კლუბების უმკაცრესად დასჯასაც. ჩვენთან რატომ არ ხდება ასე? ვის და რატომ ერიდებით?**

- ჩვენი ინიციატივა სწორედ ის არის, რომ ვამხილოთ სიბინძურე, რაც ქართულ ფეხბურთს კლავს. იტალიელებმა კლუბები გამოძიების შედეგად დასაჯეს. არ გამოვრიცხავ, რომ ამ შემთხვევაში ჩაწყობა კლუბების პრეზიდენტების კი არა, მწვრთნელების, ფეხბურთელების ან მსაჯების დონეზე მომხდარიყო. მაშინ, ჩვენ კლუბს ვერ დავსჯით, ეს გამორიცხულია, ჩვენ რეალური დამნაშავე უნდა მოვკვეთოთ. მაგალითად, „ლოკომოტივი"-„გაგრას" მატჩის მონაწილეებს გარიგება თუ დაუმტკიცდათ, დარწმუნებული ვარ, კლუბების პრეზიდენტები - ბესიკ ჩიხრაძე და ლექსო თოფურია ამასთან კავშირში არ იქნებოდნენ. ისინი თავად არიან დაინტერესებულნი, რომ გამოძიებამ სიმართლე დაადგინოს. ქართული ფეხბურთის მომავლისთვის ასეა საჭირო. მთავარია, სამართლიანები ვიყოთ, და რაც მთავარია - ეს არ იქნება პიარაქცია, როგორც ბევრს ჰგონია, ჩვენ საქმის საფუძვლიან გამოძიებას ვცდილობთ.

**- როდის დასრულდება გამოძიება?**

- ძნელი სათქმელია... ამისთვის დროა საჭირო. სხვაგვარად, საქმეს ბოლომდე ვერ მივიყვანთ.

**- ცნობილი გახდა, რომ ალმასკომის სხდომაზე კლუბების მეპატრონეთათვის გარკვეული შეზღუდვები დააწესეთ...**

- ამის პრეცედენტი უკვე არსებობს. მაგალითად, უეფა იძიებდა „ჩელსისა" და მოსკოვის ცსკა-ს საქმეს, რადგან ორივე მათგანს რომან აბრამოვიჩი აფინანსებდა. ერთ ტურნირში ორი ასეთი გუნდის მონაწილეობა კი აკრძალულია. ჩვენს ჩემპიონატშიც არ უნდა დავუშვათ კლუბები, რომელთაც საერთო მეპატრონე ეყოლებათ.

**- შარშან ასეთი კლუბები იყვნენ „ოლიმპი" და „მგლები", მაგრამ წელს „მგლებს" სხვა მეპატრონე ჰყავს. ვის გულისხმობთ? იქნებ, დააკონკრეტოთ. ზოგიერთ კლუბს საერთოდ არ ჰყავს პატრონი...**

- სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დაფინანსებული კლუბებია ცხინვალის „სპარტაკი", ბოლნისის „სიონი", ზუგდიდის „მგლები", „ბორჯომი", ახალციხის „მესხეთი" და ბუნებრივია, მათ ხელმძღვანელებს ურთიერთობა აკავშირებთ. ამ კლუბებს ერთმანეთში გარიგებას არ ვაბრალებ, მაგრამ ფაქტია, უეფა ამას კრძალავს და იურიდიული მხარე ჩვენც უნდა მოვაწესრიგოთ.

**- საინტერესოა, როგორ მოაწესრიგებთ? სახელმწიფოს ერთ კლუბზე მეტის დაფინანსების უფლებას არ მისცემთ?**

- პირიქით, სახელმწიფომ რაც შეიძლება მეტი კლუბი უნდა დააფინანსოს, მაგრამ დროა, სახელმწიფო საკუთრებიდან კლუბები ნელ-ნელა კერძო ბიზნესის ხელში გადავიდნენ. მაგალითად, სახელმწიფოს შეუძლია საკუთარ თავზე აიღოს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სტადიონებისა და მოედნების მოვლა-პატრონობა და ტრანსპორტირების ხარჯი. კვება, ხელფასები და უცხოეთში მივლინება კი კერძო ბიზნესმენმა უნდა იტვირთოს. ამით წერტილი დაესმება ერთწლიან კლუბებს. რაც მთავარია, მსგავსი სისტემა გამორიცხავს ამა თუ იმ გამგებლის გუნება-განწყობილების მიხედვით ამა თუ იმ კლუბის გაძლიერებას ან დაშლას. შესაძლოა, ფეხბურთის მოყვარული გამგებლის ნაცვლად, კალათბურთის მოყვარული დანიშნონ და რას ნიშნავს ეს? - საფეხბურთო გუნდი უნდა დაიშალოს? ერთობლივი პატრონაჟის შემთხვევაში კი ორივე კონკრეტული მიმართულებით იმუშავებს.

**- ალმასკომზე ლიცენზირების გამკაცრებაზეც ისაუბრეთ...**

- ეს აუცილებლად უნდა გავაკეთოთ. თუმცა ჯერ კლუბებამდე თუ რეგიონებამდე სწორად უნდა მივიტანოთ ის აზრი, რატომაც მკაცრდება მოთხოვნები და რა მიზანს ვისახავთ. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ არ დაიწყონ ტრადიციული ბრალდებები, რომ თითქოს, რეგიონებში ფეხბურთს ვკლავთ. უმაღლეს ლიგაში არ დავუშვებთ იმ გუნდს, რომელსაც არ ექნება შესაფერისი ინფრასტრუქტურა და ეს მოთხოვნა ყველამ უნდა მიიღოს. საამისოდ კი წინასწარ მუშაობაა საჭირო და ამას დღესვე ვიწყებთ რეგიონების ხელმძღვანელებთან და თავად კლუბებთან. მომავალი სეზონის დაწყებამდე უნდა გამოსწორდეს მდგომარეობა. აქვე გეტყვით, რომ მსურს, შეგხვდეთ სპორტულ ჟურნალისტებს და ყველა საჭირბოროტო თემაზე ვისაუბროთ. სიტუაცია მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს, ჩაწყობილი თამაშების რაოდენობა მინიმუმამდე უნდა დავიდეს და საერთო დონე გაიზარდოს. ეს კი გათითოკაცებული საზოგადოებისთვის მიულწეველი ამოცანა იქნება...

---

ლოკომოტივი



გიორგი კიკნაძე

## ვითხოვ, გამოძიება ჩვენგან დაიწყონ!

გადაცემა „გოლის" სტუმრებმა განაცხადეს, რომ საქართველოს ჩემპიონატის რამდენიმე მატჩის თაობაზე ეჭვები აღიძრა და საქმე პროკურატურას გადაეცა. დასახელდა ბოლო დროს გამართული რამდენიმე შეხვედრა „ოლიმპი"-„ვიტ ჯორჯიას" (ჩემპიონატისა და თასის), „სპარტაკი"-„სიონისა" და „ლოკომოტივი"-„გაგრას" მატჩები. როგორც შევიტყვეთ, 27 აპრილს გამართული ალმასკომის ერთ-ერთმა წევრმა ბრძანა - ჩვენზე რომ ლაპარაკობთ, „ლოკომოტივი"-„გაგრას" მატჩზე რატომ დუმხართო? ამის შესახებ კომენტარი „ლოკომოტივის" მთავარმა მწვრთნელმა გიორგი კიკნაძემ გააკეთა:

- ვერ მოგვინელეს, რადგან „ლოკომოტივი" ის გამონაკლისია, რომელიც გარიგებებში არ შედის და ამის გამო, ბევრს ყელში ვეჩხირებით. დაუსაბუთებლად ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ აქ ყველამ ყველაფერი იცის. ერთი კვირით ადრე იციან, რომელი მატჩი როგორ დასრულდება. ამის მერე ჩვენზე ენა როგორ უტრიალდებათ?! ჩემი მოთხოვნაა, რომ გამოძიება დაიწყონ „ლოკომოტივით". ეს პირველ რიგში არის ჩემს ინტერესში. მე ფეხბურთელებს თვალდახუჭული ვენდობი და დარწმუნებული ვარ, რომ თამაშს არავინ გაყიდდა, მაგრამ დაიწყონ გამოძიება და მერე სხვა გუნდებსაც გადასწვდნენ. მიხვდებიან, რომ „გაგრასთან" არაფერიც არ მომხდარა და ტალახს ჩვენკენ ტყუილად ისვრიან. დიდი ხანია, ასეთი გამწარებული არ ვყოფილვარ, ან როგორ უნდა შევეგუო ცილისწამებას?! მაინცდამაინც ფეხბურთიდან უნდა წავიდე? ამ ბნელ ხალხს რომ ვებრძვი, ამიტომაც ვარ აქ და არსად წასვლას არ ვაპირებ. ვინც ალმასკომზე „ლოკომოტივი" ახსენა, საკუთარ თავს მიხედოს.

**- ისე, „ლოკომოტივის" ფეხბურთელები „გაგრასთან" მეტისმეტად უგულოდ კი თამაშობდნენ...**

- მერე ეს თამაშის ჩაწყობის ბრალია? რა ვქნათ, უმოტივაციოდ დავრჩით, ჩემპიონატიდან უეფაზე ველარ გავდივართ, ფეხბურთელებს უჭირთ და თამაშიც, ფაქტობრივად, დაასრულეს. ეს აღარ არის ის გუნდი, რომელიც პირველ წრეში თამაშობდა და ამიტომაც ველარ ვიგებთ. ეს ჩემზე მეტად არავის აღარდებს, მაგრამ პირი გამოირეცხონ, როცა თამაშის ჩაწყობას გვაბრალებენ. გასავარდნები რომ ვიყოთ, უფრო მეტი მოტივაციით ვითამაშებდით. ეს არის ყველაფრის თავიდათავი, „გაგრა" კი გადარჩენისთვის იბრძვის და მოგვიგო. ერთი სიტყვა არ მითქვამს მსაჯებისთვის, მეტოქისთვის და კიდევ მე ვაწყობ თამაშებს? მიმდინარე ჩემპიონატში მსაჯებმა ჩვენს კარში ყველაზე მეტი 11-მეტრიანი დანიშნეს. აქედან მაინც გამოიტანონ დასკვნები. ვიმეორებ - დაიწყონ გამოძიება „ლოკომოტივით", მაგრამ მერე სხვებით გააგრძელონ და სიმართლე დაადგინონ.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ლელო

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ბიბლიოთეკა

## დავით ყიფიანის სახელობის [illegible]

ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

# ...კვლავაც თასზე და ფარსზე

**29.04. გორი. თ. ბურჯანაძე. 16:00**

**ვიტ ჯორჯია – ოლიმპი**

**პირველი მატჩი 2:4**

არბიტრი: გ. ვადაჭკორია;
ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, ზ. ფიფია;
მეოთხე მსაჯი: პ. დოგრამაშვილი

**29.04. თბილისი. ეროვნული. 16:00**

**დინამო – ლოკომოტივი**

**პირველი მატჩი 2:0**

არბიტრი: ლ. კვარაცხელია;
ასისტენტები: ზ. ჯვარიძე, ლ. თოდრია;
მეოთხე მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

გურამ კაშია (მარცხნივ) დღევანდელ თამაშს დისკვალიფიკაციის გამო ტოვებს

...უეფაში მიხვდნენ და თასების მფლობელთა თასის გათამაშება გააუქმეს; მიზეზი მარტივი იყო - უმრავლეს საფეხბურთო ქვეყნებში ეროვნული თასის გათამაშება უფრო და უფრო ნაკლებად პოპულარული ხდებოდა. ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როცა რომელიმე ქვეყნის თასის ფინალში მეორე, მესამე და მეოთხე (?) ლიგის წარმომადგენლები გადიოდნენ; იქ კი მეტოქედ ჩემპიონს თუ შეხვდებოდნენ, ავტომატურად უკვე ევროტურნირის საგზურს ნიშნავდა და წელიწადი არ გავიდოდა, თასების მფლობელთა თასზე დაბალი ლიგის გუნდები არ გვენახა. მოკლედ, თასის გათამაშების პრესტიჟი ძალიან ბევრ საფეხბურთო ქვეყანაში ნელ-ნელა კი არა, ერთობ სწრაფი ტემპით ეცემოდა. ჰო, თითქმის ყველგან ასე იყო (არის კიდეც) და ჩვენთან რა გამონაკლისი იქნებოდა. მით უმეტეს, რომ სათასო შეხვედრებს ზოგი ჩვენი გუნდი გარკვეული ტაქტიკური თუ სტრატეგიული მიზნისთვის იყენებდა. განსაკუთრებული აჟიოტაჟი თუ ხალისობა კი... ნახევარფინალის კენჭისყრის მერე იწყებოდა - თითქმის უმრავლეს შემთხვევაში, პრიორიტეტების არჩევა რომ ხდებოდა. ვინ - თასზე ბრძოლას აირჩევდა, ვინ - ჩემპიონატს; ყველაზე იდეალური ვარიანტი კი... ნახევარფინალში იმ გუნდების დაწყვილება იყო, ყველას სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული რომ გვეგონა. ამასთან, მთლად უკეთესი იქნებოდა, თუ ამ კონკრეტული წყვილის სათასო და ჩემპიონატის დაპირისპირებებს შორის დროის შუალედი ძალიან მოკლე ყოფილიყო...

ეგრეა, ევროპულ საფეხბურთო მოდასა თუ ტენდენციას ამ საქმეში მაინც არ ჩამოვრჩით და ახლა კი, ალბათ, დროა, რომ დღეს ჩასატარებელ ორ ნახევარფინალურ მატჩზე ვისაუბროთ. თუმცა, ან რა არის სალაპარაკო-სასაუბრო? თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, ფინალისტების ვინაობა უკვე ცნობილია. მით უმეტეს, რომ ამ ბოლო დროს ქართულ ფეხბურთში სასწაულები აღარ ხდება! ისე, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგას სიახლეებისკენ სწრაფვას ნამდვილად ვერ დავუკარგავთ: თასის გათამაშების ფორმატიც რამდენჯერმე შეიცვალა, ეს ტურნირი უფრო პრესტიჟული რომ გამხდარიყო. „ლელომ" ადრეც გააჟღერა საკუთარი პოზიცია და კვლავაც გვინდა გავიმეოროთ: ხომ არ აჯობებს, რომ ჩემპიონატის მატჩებზე მიღებული წითელ-ყვითელი ბარათები თასის შეხვედრებზე არ ვრცელდებოდეს (სხვათა შორის, იტალიაში და გერმანიაში ასე არის); ამით ხომ ბევრ უსიამოვნო მომენტს ავიცილებდით და თასის ნახევარფინალებშიც სანახევროდ ან სრულად (!) სარეზერვო შემადგენლობით მოასპარეზე გუნდსაც აღარ ვნახავდით.

ზემოთ სასწაულები ვახსენეთ და მართლაც ძნელი დასაჯერებელია, რომ „ოლიმპმა" და „დინამომ" ორბურთიანი უპირატესობა გაანიავონ. მით უმეტეს, რომ „ოლიმპის" მეტოქემ, ფაქტობრივად, ხმამაღლა გამოაცხადა საკუთარი პრიორიტეტის შესახებ: ჩვენთვის უმთავრესი ჩემპიონობა არისო! ამის გამოც იყო, რომ „ოლიმპთან" პირველ ნახევარფინალურ მატჩში, ფაქტობრივად, სარეზერვო შემადგენლობით წარდგა. მოკლედ, ის შემთხვევაა, რომ რუსთაველ კლუბს წინასწარ უნდა მივულოცოთ ფინალისტობა. მით უმეტეს, რომ „ვიტ ჯორჯიას" უახლოესი კალენდარული შეხვედრა... ჩემპიონობის უმთავრეს კონკურენტთან - თბილისის „დინამოსთან" აქვს; ჰოდა, ახლა, ნახევარფინალში შეაკლავენ თავს მეტოქეს და ყვითელი ბარათებით დაიხუნძლებიან?

აი, მეორე ნახევარფინალმა კი მცირე, მაგრამ ინტრიგა დაგვიტოვა; თუმცა ამ შემთხვევაშიც ძნელად წარმოგვიდგენია მოვლენების სხვაგვარად განვითარება: ამ ეტაპზე „დინამო" აშკარად აღემატება თანაქალაქელ „ლოკომოტივს". ისე, ახალგაზრდა მწვრთნელების, **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** გუნდს ამაზე მეტი მოტივაცია რაღა უნდა ჰქონდეს: ჩემპიონატი, ფაქტობრივად, დაასრულეს და ხომ შეიძლება ფავორიტ მეტოქეს მედგარი ბრძოლა გაუმართოს? მით უმეტეს, რომ დღეს „დინამო" სამ დისკვალიფიცირებულ ფეხბურთელს (**ლევან ხმალაძე, გურამ კაშია, გიორგი მერებაშვილი**) მოისაკლისებს. არადა, სამივე ეს მოთამაშე **კახა კაჭარავას** გუნდში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. ამას გარდა, ნუ დაგვავიწყდება, რომ „დინამოს" ორი ურთულესი მატჩი ელოდება ჩემპიონატში („სიონთან" და „ვიტ ჯორჯიასთან") და ყველაფერი ეს „ლოკომოტივის" სასარგებლოდ მეტყველებს. დაბოლოს, ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ სეზონში „ლოკომოტივი" ტოლიტოლზე ეპაექრება „დინამოს": ჩემპიონატში მეტოქეებმა თითო მატჩი მოიგეს და ერთიც ფრედ დასრულდა. სხვათა შორის, იმ ფრეს მოჰყვა კიდეც „დინამოს" იმდროინდელი მთავარი მწვრთნელის **რაინერ ცობელის** გათავისუფლება...

და მაინც: „ოლიმპსა" და „დინამოს" შეუძლიათ მშვიდად იყვნენ: საქართველოს თასის გათამაშების ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, ნახევარფინალებში რომელიმე გუნდს ორბურთიანი ჩამორჩენა რომ აღმოეფხვრა! უფრო ზუსტად, ერთხელ სამბურთიანი სხვაობაც გაბათილდა, მაგრამ ფინალში გასასვლელად საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა. სამი წლის წინანდელ ამბავს შეგახსენებთ, როცა პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში „ამერმა" 3:0 დაამარცხა ბოლნისის „სიონი". ვერავინ იფიქრებდა, რომ განმეორებით შეხვედრაში ქვემოქართლელები შეძლებდნენ ადეკვატური რევანშის აღებას. თუმცა, ასეც მოხდა - ძირითადი დროის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე „სიონმა" მესამე უპასუხო გოლი გაუტანა „ამერს" და თამაშიც დამატებით დროში გაგრძელდა. აი, იქ კი **სულიკო დავითაშვილის** გოლმა სტუმრებს იმედი დაუბრუნა, მასპინძლებმა კი მხოლოდ ერთი ბურთით უპასუხეს და სასწაულიც არ შედგა!

ისე კი, საქართველოს თასის გათამაშების ისტორიაში უცნაური ტრადიცია დამკვიდრდა: პირველ ნახევარფინალში გამარჯვება, ფაქტობრივად, ფინალისტობას ნიშნავს! ასეა 1990 წლიდან მოყოლებული და მხოლოდ ორი შემთხვევა გვახსოვს, როცა საპირისპირო სიტუაციასთან გვქონდა საქმე. პირველად მეოთხე გათამაშებაში მოხდა მსგავსი რამ: ბათუმის „დინამომ" შინ მინიმალური ანგარიშით (1:0) დაამარცხა რუსთავის „მეტალურგი". განმეორებითი მატჩიც ისეთივე ანგარიშით დასრულდა, ოღონდ, ამჯერად რუსთაველებმა იმარჯვეს. დამატებით დროში კი, ყველაფერი **კახა ალადაშვილის** ეფექტურმა გოლმა გადაწყვიტა, სტუმართა გამოცდილ მეკარეს **ასლან ბალაძეს** შორეულ მაღალ კუთხეში რომ გაუტანა.

მეორე მსგავსი შემთხვევა კი 1997-98 Oწლების გათამაშებაში იყო: პირველ ნახევარფინალურ მატჩში თბილისის „დინამო" საკუთარ მოედანზე დამარცხდა გორის „დილასთან" - 1:2! ეს, სენსაციაზე მეტი იყო, თუმცა განმეორებითი შეხვედრაში ყველაფერი „თავის ადგილას" დადგა - თბილისელებმა გორში დამაჯერებელი რევანში (3:1) აიღეს და ფინალშიც გავიდნენ. დიდი ხნის ამბავია, მაგრამ ბევრს ეხსომება, თუ როგორი გამოხმაურება მოჰყვა იმ განმეორებით ნახევარფინალს. ხელაღებით რომ ვამტკიცოთ, გინდა თუ - არა, მატჩი „გაკეთებული" იყოო, მართლები არ ვიქნებით. მაგრამ, ვერც იმ ფაქტს გავექცევით, რომ მთლად „სუფთა" შეხვედრას არ ვუცქერდით. თანაც, ჩვენთან არც ახლა იციან და არც მაშინ არ იცოდნენ „თამაშის დადგმა"; ყოველ შემთხვევაში იმ მატჩში გოლები ვნახეთ, კურიოზულზე მეტი რომ ერქვა. სხვათა შორის, „დილა"-"დინამოს" 11 წლის წინანდელი დაპირისპირების რამდენიმე მონაწილე დღესაც აქტიურ კარიერას აგრძელებს, ორი მათგანი სულაც მეოცე ჩემპიონატში მონაწილეობს. და ალბათ, კარგად ეხსომებათ კიდეც გორის მაშინდელი „სპექტაკლი"...

**გია ტუხაშვილი**

ინტერვიუ

ჟორჟ აკირემი

# შარშანდელზე ძლიერები ვართ

## ჟირესი საქართველოს ემადლიერება...

**ჟორჟ აკირემი ჯერ კიდევ ივო შუშაკის მწვრთნელობისას გახდა დინამოელი. გაბონელი ფორვარდი თბილისის „დინამოს" ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო. ტრავმის გამო აკირემის გარკვეული პერიოდი გაუცდა და მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოასწრო. მართალია, გაბონელი თავდამსხმელი „ლოკომოტივთან" თასის ნახევარფინალის პირველ შეხვედრაში მხოლოდ 15 წუთით გამოჩნდა მოედანზე, მაგრამ ბურთის გასატანად ეს დროც იკმარა.**

**საინტერესოა, როგორია უცხოელის თვალით დანახული „დინამო", პროგნოზი თასსა და ჩემპიონობაზე, რა აზრისაა საქართველოს პირველობაზე, რითია მადლიერი ალენ ჟირესი...**

**მოკლედ, ჩვენს კითხვებს ჟორჟ აკირემი უპასუხებს...**

- დიახ, მართალია. ტრავმის გამო ბევრი გამიცდა და ამიტომაც წელს მხოლოდ სამ შეხვედრაში მომიწია თამაში, „ზესტაფონთან", „მესხეთთან" და „ლოკომოტივთან". გუნდში დიდი კონკურენციაა და ამიტომაც სამივეჯერ შეცვლაზე, 10-15 წუთით ვითამაშე... დიახ, „ლოკომოტივთან", თასის ნახევარფინალში გავიტანე გოლი და საბოლოო ანგარიში (2:0) დავაფიქსირე... სხვათა შორის, ეს გოლიც რაღაცით მაინც იყო გამორჩეული. მოედანზე შევედი თუ არა ბურთთან ჩემი პირველივე შეხება გოლით დასრულდა.

**- სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე გკითხავთ, „ლოკომოტივს" პირველი ნახევარფინალი 2:0 მოუგეთ და ფაქტობრივად ფინალში გასვლაც გაინაღდეთ...**

- მართალია ბევრი უკვე ფინალში გასულად გვთვლის, მაგრამ წინ საპასუხო მატჩია, მთელი 90 წუთი, ეს კი ორბურთიანი სხვაობის გასაბათილებლად მცირე დრო ნამდვილად არაა. ასე რომ, სრული კონცენტრაციის გარეშე, მეტოქეს შეუძლია დაგვსაჯოს. მით უმეტეს „ლოკომოტივი" ახალგაზრდული, ტექნიკური ფეხბურთელებით დაკომპლექტებული, მოძრავი გუნდია. მოწინააღმდეგეს ტყუილად არ ვაქებ, მართლა მომეწონა, მწვრთნელის ხელიც ეტყობა და ამ გუნდის ფეხბურთელები უფრო გამოცდილები რომ იყვნენ, ცხრილშიც უკეთეს პოზიციაზე იქნებოდნენ. ასე რომ, ხვალ თუ მოდუნებულები გავალთ, მაშინ გაგვიჭირდება. თუმცა ვთვლი, რომ „დინამო" არც ამჯერად დაკარგავს კონცენტრაციას და ხვალაც მოვიგებთ...

**- ფინალში მეტოქედ ვინ გირჩევნიათ?**

- პირადად მე, ძალიან მინდა ფინალში არა „ვიტ ჯორჯია", არამედ „ოლიმპი" გავიდეს. იცით რატომ? რუსთაველთა გუნდში თანამემამულე ერნესტ აკუასაგა თამაშობს და მინდა თასის ფინალი ერთგვარი გაბონური დერბი შედგეს. სიამოვნებით დავუპირისპირდებოდი აკუასაგასა და მის გუნდს. ისე მართლაც ჩინებული ფინალი იქნებოდა... ვფიქრობ, ფინალში გასვლის მეტი შანსი სწორედ „ოლიმპს" აქვს ... მოკლედ, ვინც უნდა გავიდეს მომდევნო ეტაპზე, ყველასთან ვიბრძოლებთ.

**- „დინამო" დუბლისთვის იბრძვის. ორივე ფრონტზე ღირსეულად ბრძოლისთვის ძალები გეყოფათ?**

- მჯერა, პოტენციალი და ენერგია საკმარისი გვაქვს. ამ ორ ფრონტზე ბოლომდე ბრძოლა ჩვენი გუნდის შესაძლებლობებს ნამდვილად არ აღემატება.

**- ორ ფრონტზე ბრძოლა „დინამომ" გასულ სეზონში ვერ შეძლო...**

» 5



ჟორჟ აკირემი

ფიქრი

# დიალოგი, დიალოგიო...

## ვინ გადადგამს პირველ ნაბიჯს რეალური დიალოგისკენ?

„პირველი არხის“ გადაცემაში („მე მიყვარს საქართველო“) წამყვანმა მოთამაშეებს კითხვა დაუსვა - დაასახელეთ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილე გუნდებიო. მხოლოდ შოუმენმა **ვანო ჯავახიშვილმა** გაიხსენა ჩვენი პირველობის 11 გუნდიდან ათის სახელი. პასუხის მოლოდინში დარბაზში ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, მსგავსი არ მახსენდება...

სამწუხაროდ, ეს იყო ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდი იმის გასაგებად, თუ რა იცის საზოგადოებამ დღევანდელ ქართულ ფეხბურთზე. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ მას კარგად არც იცნობენ, პოპულარობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. და ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც ერთ დროს, ნებისმიერ სამსახურში, ბირჟაზე, სუფრასა თუ სამზარეულოში ფეხბურთზე ცხარედ კამათობდნენ...

ადრე ვერ დავიჯერებდით, რომ საქართველოში ფეხბურთი აღარ ეყვარებოდათ, მაგრამ ფაქტია - იმავე სამსახურში, ბირჟაზე, სუფრასა თუ სამზარეულოებში ქართულ ფეხბურთზე აღარ ლაპარაკობენ, აღარ აინტერესებთ, მეტიც - მასხრად იგდებენ...

ორიოდ დღის წინათ ერთ-ერთი ფეხბურთელი სიმწრით მეუბნებოდა: *„ყაზახები დაგვცინოდნენ, „ასტანამ“ „ოლიმპს“ როგორ მოუგო, ჩვენზე უარესები ყოფილხართო. ვუთხარი - დუბლებით ითამაშეს და ამიტომაც წააგეს-მეთქი. გულში კი ჩვენი ფეხბურთის აქამდე მომყვანებზე დავიბოღმე. აბა, ყაზახების დასაცინი უნდა გავხდეთ? ფეხბურთის გაგებაში არ არიან“.*

ეს არც ნიშნის მოგებით და არც ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა გულის გასახეთქად გვითქვამს - ფაქტებს რეალურად აღქმა სჭირდება. ნაკრები და კლუბები ვერაფერს აღწევენ, მაყურებელი სტადიონზე არ დადის, ფეხბურთელები ძველებურად აღარ იზრდებიან და რუსეთ-უკრაინას ვინლა ჩივის, აზერბაიჯანშიც აღარ უნდათ ქართველები. ეროვნული ჩემპიონატი დაემსგავსა ტრაგიკომედიას, რომლის ფინალიც ყველამ იცის - უცხოურ ტოტალიზატორთა მერყევი ფსონები ზედ მატჩების დაწყების წინ და ამას ყველაზე რეალურად ასახავს...

მოკლედ, ვითარება ძალიან მძიმეა. ფეხბურთის ფედერაციის დღევანდელი ხელმძღვანელობა


რევაზ არველაძე

ბევრჯერ სამართლიანად გაუკრიტიკებიათ და მინასთანაც გაუსწორებიათ, მაგრამ ის ყველაფერში არ არის დამნაშავე. ისინიც ჯერ სახელმწიფო პიარკამპანიის ნაწილი გახადეს, ხოლო შემდეგ ამ პოლიტიკის მძევლებად აქციეს. ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება არ ყოფილა უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანა, ეს სახელმწიფო მოხელეთა გონებაში მომწიფებული იდეაა, რომელსაც „ფეხბურთის განვითარების პროექტი“ დაარქვეს. იდეა რომ წარუმატებელია, ვფიქრობ, საკამათო არ უნდა იყოს, ეს ნაკრებების შედეგებიდანაც ჩანს.


ლევან ყიფიანი

ფედერაციაში ამგვარ ლაპარაკს მტკივნეულად აღიქვამენ - ქართული ფეხბურთი ჩვენ არ დაგვიქცევიაო. რა თქმა უნდა, მისი დაქცევა 1981 წლის გამარჯვების შემდეგ, საქართველოში დამკვიდრებული გულარხეინობით დაიწყო. ქვეყნის მმართველმა ძალამ მაშინ ჩათვალა, რომ „13 მაისის ბიჭებისთვის“ „ვოლგების“ ჩუქებით ფეხბურთს ეხმარებოდნენ, ახალი ინფრასტრუქტურის შენებით კი თავი არ მოუკლავთ.

ერთხელ, **დავით ყიფიანმა** სინანულით ბრძანა - ის თასი რომ არ აგვეღო, შესაძლოა, ფეხბურთისთვის უკეთ მიეხედათო. ეს მიუხედავი ფეხბურთი კი უკან-უკან მიიწევს - ფიფას (109) და უეფას რეიტინგები (38) ქართული ფეხბურთის ავადმყოფობის დასტურია.

უეფას წევრ 54 ქვეყანას შორის 38-ე პოზიცია კატასტროფაა! გვისწრებენ ფინეთი (28), ლიტვა (29), ირლანდია (30), ლატვია (31), სლოვენია (32), ბელარუსი (33), ბოსნია (34), უნგრეთი (35), მოლდოვა (36) და ისლანდია (37).

საქართველო მხოლოდ არასაფეხბურთო ან ისეთ ქვეყნებს უსწრებს, რომლებმაც განვითარება კი დაიწყეს, მაგრამ ჯერ ჩვენ უკან რჩებიან - ლიხტენშტაინს (39), უელსს (46), ფარერებს (47), აზერბაიჯანს (41), სომხეთს (45) და ყაზახეთს (44). უცნაურია, რომ დღემდე ამ ბოლო სამეულს მაინც ვუსწრებთ, არადა, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ყაზახეთის ჩემპიონატებში გვარიანი თანხა იხარჯება და ჩვენზე უკეთესი პირველობებიც აქვთ.

სამწუხაროდ, პოლიტიკოსების სენი საფეხბურთო სამყაროსაც გადაედო და ერთმანეთთან აგრესიულ ლაპარაკს დაეჩვივნენ. თუმცა, პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, დიალოგი მაინც გამართეს - 8 აპრილს ფეხბურთის ფედერაციაში ოპოზიციის, გულშემატკივართა ნაწილისა და ფედერაციის ხელმძღვანელთა შეხვედრა დაძაბული კი იყო, მაგრამ ორთქლის გამოშვებამ მაინც პოზიტიური შთაბეჭდილება დატოვა. მარტო ორთქლის გამოშვება საქმეს ვერ უშველის...

საჭიროა, ყოველგვარი წინა პირობების გარეშე, საფეხბურთო ხელისუფლება-ოპოზიციის მოლაპარაკება და აზრების შეჯერება რეალური შედეგის მისაღწევად და არა გულის მოსაფხანად. ქართულმა საფეხბურთო სამყარომ უმძიმესი ვითარებიდან გამოსავალი უნდა იპოვოს. დაპირისპირებულმა მხარეებმა ერთმანეთთან მშვიდად ლაპარაკი უნდა შეძლონ. თვალების ქაჩვით საქმე ვერ გაკეთდება...

ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები ცდებიან, თუ ფიქრობენ, რომ მათი მხრიდან ინიციატივა სისუსტედ შეფასდება. ეგებ, შედეგიანი მოლაპარაკება პოლიტიკოსებისთვის მაგალითად იქცეს - თუკი შენი ქვეყანა გიყვარს, მტერსაც დაელაპარაკები და რაც მთავარია - მოლაპარაკება ერთმანეთისადმი სიყვარულით თუ არა, პატივისცემით განწყობილ ადამიანებს შეუძლიათ, ადამიანებს, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა. სხვაგვარად მოლაპარაკება არ შედგება და თუ შედგება, უშედეგოდ დასრულდება...

**მერაბ მამულაშვილი**

ვეტერანის ხმა

სერგო კოტრიკაძე

# ბაზისი ახლავე უნდა შევქმნათ

## ჩვენს ჩემპიონატს რომ ვუყურებ, აქ მოასპარეზე ფეხბურთელები ნაკრებისთვის მზად როგორ უნდა იყვნენ, ვერ წარმომიდგენია

**ქართულ ფეხბურთში შექმნილ მდგომარეობაზე, ფედერაციასა და ეროვნულ ნაკრებზე დღეს ბევრი გამოთქვამს აზრს. საინტერესოა, რას ფიქრობენ ამ პრობლემებზე ვეტერანი ფეხბურთელები, ისინი, რომელთაც ქართული ფეხბურთის იმიჯი და ღირსება არაერთხელ დაუცვიათ. ერთ-ერთი მათგანია თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული მეკარე სერგო კოტრიკაძე. ეროვნული ნაკრები და წარუმატებლობის მიზეზები, მწვრთნელთა საბჭოს იდეა და საფეხბურთო ოპოზიციის მოთხოვნა ფედერაციის პრეზიდენტის გადადგომაზე, ზოგადად ქართულ ფეხბურთში შექმნილი ვითარებაზე და გამოსავლის გზები - მართლაც და, სად არის ეს გამოსავალი? ამ და სხვა საკითხებზე ბატონ სერგოს გავესაუბრეთ...**

**- ბატონო სერგო, საუბარი ეროვნული ნაკრებით დავიწყოთ. ქვეყნის მთავარი გუნდის თამაშითა და შედეგებით ყველა უკმაყოფილოა. თქვენი აზრით, სად უნდა ვეძებოთ პერმანენტული წარუმატებლობის მიზეზები?**

- ორი აზრი არ არსებობს, ეროვნული ნაკრების თამაში არც მე მომწონს. ცხადია, როცა არ ვარგა თამაშის ხარისხი, არც შედეგი გვექნება... ჩემი აზრით, ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ შემსრულებლები არ გვყავს. მაქსიმუმ ოთხი ფეხბურთელია ეროვნულ გუნდში, რომელიც სანაკრებო დონეზე თამაშს იმსახურებს, ან ასე ვთქვათ, საერთაშორისო სტანდარტს აკმაყოფილებს. ამ ოთხეულიდან ორიც რომ გამოგვაკლდეს, ჩვენს ნაკრებს ეს უკვე საგრძნობლად ეტყობა. ცუდად ნურავინ გაიგებს, მაგრამ ფაქტია - ეროვნულ გუნდში ბევრს მართებს თამაშის დახვეწა. ამიტომაც დასანანია, რომ სანაკრებო დონის ფეხბურთელებს სათანადოდ არ ვიყენებთ...

**- ლევან ცქიტიშვილსა და დავით მუჯირს ხომ არ გულისხმობთ?**

- ცქიტიშვილსაც, მუჯირსაც და ასათიანსაც. მალხაზი უკვე თამაშობს კიევის „დინამოში“. ის მოაზროვნე ფეხბურთელია, სრულად აკმაყოფილებს სანაკრებო დონეს და ეროვნულ გუნდში მისი გამოუყენებლობა სასარგებლო რომ ვერ იქნება, ეს კარგად ჩანს კიდეც.

**- ამ წარუმატებლობათა გამო ნაკრების თავკაც ექტორ კუპერის გადადგომასაც ითხოვენ. ეთანხმებით ამ მოთხოვნას?**

- ვფიქრობ, ეს არ არის გამოსავალი. ნაკრებში რამდენი მწვრთნელიც უნდა შევცვალოთ, თუ სათანადო დონის ფეხბურთელები არ გვეყოლება, შედეგი ისევ არ გვექნება და ვივლით ასე ჩაკეტილ წრეზე. ბრაზილიელმა ფეოლამ თქვა - მწვრთნელის დამსახურება ისაა, როცა 22 ვარსკვლავიდან 11 სუპერვარსკვლავს ამოარჩევსო. რაღა შორს წავიდეთ? 1964 წელს ჩემპიონები გავხდით და გავრილ კაჩალინი წავიდა გუნდიდან. მაშინ „დინამოში“ მოსვლა ძალიან ბევრ მწვრთნელს უნდოდა. და რატომ, თუ იცით? იმიტომ, რომ გუნდში მაღალი კლასის ფეხბურთელები იყვნენ, ფეხბურთელები, რომლებიც ნებისმიერ მწვრთნელს მოაპოვებინებდნენ ტიტულებსა და ავტორიტეტს... ეჰ, ადრე ჩვენი ფეხბურთი შემტევი იყო, ტექნიკით, საოცარი ინდივიდუალიზმით გამოირჩეოდა. დღეს კი რა გვაქვს? ერთფეროვანი ფეხბურთი...

**- ზოგი მიიჩნევს, რომ კუპერი სწორედ ამ ინდივიდუალიზმს არ იყენებს...**

- არა, მე ასე არ ვფიქრობ. ინდივიდუალიზმსა და ტექნიკურობაზე რომელი მწვრთნელი იტყვის უარს? მით უმეტეს, არგენტინელი კუპერი... რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ და კიდევ ერთხელ ვთქვათ - არ გვყავს შემსრულებლები! დიდ ნოდარ ახალკაცს „დინამოში“ მაღალი დონის შემსრულებლები ჰყავდა და ტაქტიკაც მოარგო გუნდს. ამ ნაკრებში კი კუპერი იმ ტაქტიკას ირჩევს, რა ფეხბურთელებიც ჰყავს, ამის შესაბამისად ათამაშებს გუნდს. რაც შეეხება იმას, რაზეც წელან უკვე გითხარით - ასათიანისა და სხვა სანაკრებო დონის ფეხბურთელების არგამოძახებას, ამაში კი ნამდვილად ვერ დავეთანხმები კუპერს... როცა ვკითხულობ ხოლმე, რომ აი, „მეკარემ დაგვღუპა“, „ვერ გვიშველა“ და რაღაც ამის მსგავსი - ეს სწორად არ მიმაჩნია. დღეს სულ სხვა ფეხბურთია, დაცვა შეტევიდან იწყება და მეკარემდე მეტოქემ სამივე რგოლი უნდა გაიაროს... აქვე ერთსაც ვიტყოდი, ჩვენს ჩემპიონატს რომ ვუყურებ, აქ მოასპარეზე ფეხბურთელები ნაკრებისთვის მზად როგორ უნდა იყვნენ, ვერ წარმომიდგენია.

**- არადა, კუპერისგან მათ ყურადღება არ აკლიათ. ყველა ვხედავთ, რომ არგენტინელი საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს თამამად იწვევს ეროვნულ ნაკრებში...**

- უნდა მიიწვიოს, რადგან ნაკრებში კონკურენცია არ არსებობს. ამიტომაცაა, „სამშაბათობებს“ რომ მართავს და ფეხბურთელებს სხვადასხვა კომპონენტში ავარჯიშებს. მერე ეს მოთამაშეები სანაკრებო მატჩებში ხვენენ ამ კომპონენტებს. უნდა შევეგუოთ იმ ფაქტს, რომ ჯერჯერობით ნაკრებში კადრების დეფიციტია. ელემენტარული მაგალითი ავიღოთ - ყენიასა და მჭედლიძეს თუ არ ჩავთვლით, საქართველოდან რომელი ფეხბურთელი გადასულა შედარებით ცნობილ უცხოურ კლუბში? ან თუ გნებავთ, შაბათ-კვირის შემდეგ გადავავლოთ თვალი ლეგიონერთა მონაგარს და ვნახოთ, რამდენი მათგანი თამაშობს თავის კლუბში სტაბილურად.

**- ხომ არ გგონიათ, რომ წყალი სათავიდან აიმღვრა? უკვე დაისვა ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცის გადადგომისა და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის მოთხოვნა...**

- ყველას აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, მაგრამ გააჩნია, რამდენად დაასაბუთებს ამ აზრს, რა არგუმენტებს მოიყვანს... ხშირად მესმის - რეგიონებში ფეხბურთი არ გვაქვსო, ტრადიციულ საფეხბურთო ქალაქებში - ქუთაისში, ფოთში, ბათუმში, ლანჩხუთში... ფეხბურთი მოკვდა ან კვდებაო... ჩემთვისაც სამწუხაროა, რომ ამ ქალაქების გუნდები უმაღლეს ლიგაში არ არიან, ჩვენს ფეხბურთს რეგიონებიდან ჰქონდა ყველაზე დიდი შევსება. დღეს სხვა ვითარებაა - კლუბები ან კერძო საკუთრებაა, ან სახელმწიფო აფინანსებს. ჰოდა, არ მესმის - ფედერაცია ან პროფლიგა რა შუაშია, თუ სათანადოდ ვერ აფინანსებენ? ბავშვთა საფეხბურთო სკოლებში აქამდე გაცილებით ცუდი მდგომარეობა იყო. ახლა ფედერაციამ ამ სკოლების ლიცენზირება დაიწყო და ნელ-ნელა უმჯობესდება ვითარება. ჩემი ჭაბუკობისას, ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში მოედანზე 16 მოთამაშე და 4 მწვრთნელი იყო. დღეს ერთი მწვრთნელი და 20-25 ბავშვია. ჰოდა, თავად განსაჯეთ, რა უნდა ისწავლონ ბავშვებმა ამგვარ სიტუაციაში? იმედი მაქვს, ლიცენზირება ამ პრობლემას გამოასწორებს... ერთი სიტყვით, გამოსავალი ერთია, ქართულ ფეხბურთში მეტი ფული უნდა ჩაიდოს, ეს თანხა კი სხვადასხვა მიმართულებაზე გადანაწილდეს. ბავშვთა ფეხბურთიც აუცილებელია, ინ-


სერგო კოტრიკაძე

ფრასტრუქტურაც, ნაკრები გუნდებიც და კლუბებიც... თუ ამას დღეს გავაკეთებთ, 5-7 წლის მერე შედეგი იქნება, სწორედ ახლა უნდა შევქმნათ ბაზისი მომავალი წარმატებებისთვის...

**- ამ რამდენიმე დღის წინათ მწვრთნელთა საბჭოს ჩამოყალიბების იდეა გახმაურდა. ადრე თქვენც მუშაობდით მწვრთნელთა საბჭოში. რამდენად საჭიროა და რაში წაგვადგება ამ ორგანოს ამოქმედება?**

- მიმაჩნია, რომ მწვრთნელთა საბჭოს ჩამოყალიბება სასარგებლო იქნებოდა. ეს კუპერს დაეხმარებოდა ნაკრებისთვის კადრების შერჩევაში. ჩემი აზრით, მწვრთნელთა საბჭოში უმაღლესი ლიგის ყველა გუნდის მწვრთნელი უნდა იყოს. მათ გარდა, იქ ჩვენს ფეხბურთში გამორჩეული ადამიანებიც უნდა მუშაობდნენ - ოთარ გაბელია, ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, რამაზ შენგელია... არ მინდა, ვინმე გამომრჩეს...

**დავით ცაბაძე**

ნახევარმცველი

შოთა გრიგალაშვილი

# თუ ეს ვერ შევძელი, ხელი უნდა ჩავიქნიო

## გრიგალაშვილმა საკუთარ თავს ერთწლიანი ვადა დაუწესა

**ადამიანს რომ ენდობი, უკვე დიდი საქმეა, ნდობას კი გამართლება უნდა. ამიტომ, ნდობა რისკთანაა დაკავშირებული. მწვრთნელისა და ფეხბურთელის ურთიერთობაც მეტწილად ნდობაზე და ამ ნდობის დაფასებაზეა აგებული...**

**შოთა გრიგალაშვილი** საფეხბურთო მილეთმა 2004 წელს გაიცნო, როცა თბილისის „დინამოს“ პირველ გუნდში გამოჩნდა. „დინამოს“ ახალბედათაგან პირველი კაცი მაშინ **ჯაბა კანკავა** იყო, გრიგალაშვილი კი თითქოს ტრამპლინზე იდგა - ვინ იქნება კანკავას შემდეგ? როცა ასეთ კითხვას სვამდნენ, გრიგალაშვილსაც ახსენებდნენ, მაგრამ მისი საქმეები კარგად ვერ აეწყო. „ზესტაფონში“ მისვლით კი ის ხელახლა შეუყვა იმ გზას, რამაც უნდა დაგვანახვოს, სად გადის ამ ფეხბურთელის შესაძლებლობათა ზღვარი.

ჩია ალნაგობის კაფანდარა ნახევარმცველი - ვისთვისაც გაბარიტები დიდად მნიშვნელოვანია, გრიგალაშვილი მის გუნდში ვერ მოხვდება. ეს ფეხბურთელი ისეთ სტილს ესადაგება, სადაც მთავარია სწრაფი მოძრაობა, სიმსუბუქე და დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება. გრიგალაშვილს ეხერხება დრიბლინგი, პასი და ძლიერი დარტყმა. მას აქვს ჯერაც გამოუყენებელი და დაუხარჯავი პოტენციალი, რის გამოც თავის დროზე „დინამოშიც“ მოხვდა და ახალგაზრდულ ნაკრებშიც.

*„პირველად რომ ვითამაშე „დინამოს“ მთავარი გუნდის ძირითად შემადგენლობაში, 17 წლისაც არ ვიყავი. მწვრთნელის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია, ასეთი ნდობა გამომიცხადა მაშინ გია გეგუჩაძემ. ეს 2004 წელს მოხდა, ახლა კი ისევ ამ მწვრთნელთან ვარ“*, - გვითხრა გრიგალაშვილმა.

„დინამოში“ გრიგალაშვილმა ფეხი ვერ მოიკიდა. რა იყო ამის მიზეზი? ასეთ დროს ფეხბურთელმა ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დააბრალოს, მაგრამ ეს ზოგადად - ყოველთვის კი ასე არ ხდება. გრიგალაშვილის შემთხვევაში ყველაფერი, ალბათ, არ არის ფეხბურთელის ბრალი - როცა „დინამოს“ **დუშან უჰრინი** წვრთნიდა, მწვრთნელსა და მოთამაშეს შორის შავმა კატამ გაირბინა.



შოთა გრიგალაშვილი

*„პირადი პრობლემის გამო ერთ-ერთ ვარჯიშზე ვერ მივედი, ავტოავარია მომივიდა. აქედან დაიწყო უთანხმოება, რომელსაც მერე სხვა უთანხმოებაც დაემატა და „დინამოდან“ წასვლამ მომიწია. საბოლოო ჯამში, ამით მე დავზარალდი“*, - ასე აგვიხსნა საქართველოს უტიტულოვანესი გუნდიდან წასვლის მიზეზი გრიგალაშვილმა.

„დინამომ“ შოთა „ბორჯომში“ გაანათხოვრა, სადაც ის ერთ-ერთი საუკეთესო კი იყო, მაგრამ სად „ბორჯომი“ და სად - „დინამო“. ცხადია, ახალგაზრდა ფეხბურთელი ასეთი დიდი კონტრასტით რომ გამოიცვლის გუნდს, მისი წინსვლა ფერხდება.

*„მაშინ საკმაოდ ნორმალური გუნდი ჰყავდა „ბორჯომს“, ფეხბურთელთა კარგი კონტინგენტი იყო თავმოყრილი, მაგრამ შემდეგ გუნდი, ფაქტობრივად, დაიშალა და ჩემი კარიერაც აირ-დაირია. შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ახლა, „ზესტაფონში“ მისვლით დალაგდა ჩემი საქმეები“*, - ასე მიაჩნია გრიგალაშვილს.

„ზესტაფონში“ ეს შუახაზელი მიმდინარე სეზონის ზამთრის შესვენებისას გადავიდა, იქამდე კი ახალციხის „მესხეთში“ თამაშობდა. „მესხეთში“ ვერ იყო კარგად საქმე, უფულობის გამო სავარჯიშო პროცესი, ფაქტობრივად, შეჩერდა, „ზესტაფონში“ კი სულ სხვა სიტუაცია დახვდა გრიგალაშვილს, თან ფეროელთა გუნდშიც სულ სხვანაირად მომზადებული ფეხბურთელები სჭირდებოდათ. „ზესტაფონი“ **გია გეგუჩაძემ** შარშან, ნოემბრის ბოლოს ჩაიბარა, გრიგალაშვილს კი ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულების მერე უხმო.

*„თავიდან მართლაც გამიჭირდა ახალ გუნდთან, ახალ გარემოსთან შეგუება, ახლა უკვე ნორმალურად არის ყველაფერი, თუმცა... ჩასული ფეხბურთელისთვის ზესტაფონში ცხოვრება არ არის ადვილი“*, - გულწრფელად მოგვახსენა გრიგალაშვილმა.

შოთას „დინამოსთან“ კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს ეწურებოდა, მაგრამ „ზესტაფონმა“ და „დინამომ“ გრიგალაშვილზე შეთანხმებას მიაღწიეს. როგორც უნდა იყოს, „დინამო“ მაინც „დინამოა“, იქიდან ფეხბურთელი სხვა ქართულ გუნდში რომ გადავა, წინგადადგმულ ნაბიჯად ვერ ჩაითვლება, თუმცა გამონაკლისები აქაც უნდა არსებობდეს.

*„მე და „დინამოს“ ხელმძღვანელობა ერთმანეთს კარგად დავშორდით. რაც შეეხება იმას, არის თუ არა ეს წინგადადგმული ნაბიჯი, ყოველთვის იქ ყოფნა ჯობია, სადაც თავს კარგად გრძნობ. ამ ეტაპზე „ზესტაფონი“ მირჩევნია „დინამოს“*, - ასეთია გრიგალაშვილის პოზიცია.

ახლანდელ „ზესტაფონში“ გრიგალაშვილი უდავოდ შესამჩნევი ფიგურაა. მოედნის ცენტრში ბურთის შენარჩუნება და შეტევის ორგანიზება - ეს ევალება მას და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს. „ზესტაფონს“ ამ რგოლში გარკვეული პრობლემები აქვს, ახალგაზრდა მოთამაშეებს გამოცდილება არ ჰყოფნით, თანაც გუნდში გეგუჩაძის მისვლის შემდეგ სათამაშო კონცეფციაც შეიცვლა. მწვრთნელმა ექსპერიმენტებს მიმართა, ერთ-ერთი ამ ექსპერიმენტთაგანი გრიგალაშვილის მარცხენა ფლანგზე გამწესებაც იყო.

*„როცა ოპტიმალურ ფორმაში არ ხარ, მაშინ გიწევს პოზიციის შეცვლა. მარცხნივაც ამიტომ მომიხდა თამაში. როცა ფორმაში შეხვალ, გუნდში შენს ადგილს უფრო იოლად იპოვი“*, - განგვიმარტა გრიგალაშვილმა.

„ზესტაფონმა“ მიმდინარე სეზონის მეორე ეტაპზე პრინციპულ მატჩებში ვერ იყოჩაღა - წააგო „დინამოსთან“, „ვიტ ჯორჯიასთან“, „ოლიმპთან“, ფრედ ითამაშა „სიონთან“ - გრიგალაშვილს ამის მიზეზი რომ ვკითხეთ, გვიპასუხა: *„ამ ეტაპზე ჩვენთვის შედეგი არ არის მთავარი. დღეს ახალი გუნდის შენების პროცესი მიდის, „ზესტაფონი“ ახლა უფრო მომავალზე ფიქრობს, ვიდრე იმაზე, რომ დღესვე გვქონდეს მაღალი შედეგი“.*

გრიგალაშვილი 22 წლისაა და ახალგაზრდულ ნაკრებში ველარ ითამაშებს, წინა შესარჩევის პირველ მატჩებში კი ის **პეტარ შეგრტის** განვრთნილ გუნდში იყო. შეგრტს მოსწონდა გრიგალაშვილი, მაგრამ მერე...

*„ისეთ ავტოავარიაში მოვყევი, 6 თვე გამიცდა. დაუეჟილობები მქონდა და თამაში არ შემეძლო, ამიტომაც ალარ ვჩანდი ახალგაზრდულ ნაკრებში“.*

დაკარგულის აღდგენა - ასეთი დაბრკოლების დაძლევა მოუწევს გრიგალაშვილს, ოღონდაც, ეს ერთობ რთული პროცესია, რამეთუ მას საკმაოდ ბევრი გაუცდა: *„სანამ „ზესტაფონში“ მივიდოდი, ისე მოხდა, რომ სამი წელი შეკრება არ გამივლია. ახლა ძალიან კი მინდა, ფეხბურთი მაღალ დონზე რომ ვითამაშო და ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან. როდის შევალ ოპტიმალურ ფორმაში? ვფიქრობ, ეს „ზესტაფონში“ მისვლიდან ერთ წელიწადში უნდა მოვახერხო - თუ ამ ხნის განმავლობაში ეს ვერ შევძელი, მაშინ ფეხბურთზე ხელი უნდა ჩავიქნიო“.*

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ

თორნიკე გორგიაშვილი

# მინდა, ზესტაფონთან ერთად რაიმე ტიტული მოვიგო

**„ზესტაფონის“ მთავარ მწვრთნელად გია გეგუჩაძის დანიშვნის შემგედ, იმერულ გუნდში არაერთი ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა. მათ შორის არის „ზესტაფონი-2“-დან დაწინაურებული ახალგაზრდა ნახევარმცველი თორნიკე გორგიაშვილი, რომელიც გუნდს კარგად შეეწყო და სულ უფრო ხშირად ხვდება „ზესტაფონის“ ძირითად შემადგენლობაში. სხვათა შორის თორნიკეს 27 აპრილს 21 წელი შეუსრულდა. ახალგაზრდა ფეხბურთელს „ზესტაფონი“-“მგლების“ მატჩისას მაღალი ტემპერატურის გამო მეორე ტაიმში მოედნის დატოვება მოუხდა, თუმცა, ავადმყოფობის მიუხედავად მატჩის შემდეგ ჩვენთან საუბარი არ დაიზარა.**

**- თორნიკე, საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდში თამაშობ, არადა შენზე ბევრი არაფერია ცნობილი. საინტერესოა, სად დაიწყე ფეხბურთის თამაში და აქამდე რომელ გუნდებში ასპარეზობდი?**

- ბავშვობიდან თბილისში თამაზ კოსტავას ხელმძღვანელობით ვიზრდებოდი, შემდეგ ჩვენს ბაზაზე შეიქმნა ახალი გუნდი „მარდი“ და იქ განვაგრძე ასპარეზობა. თბილისიდან ზესტაფონში გადმოვედი და უკვე ოთხი წელიწადია ამ გუნდში ვარ. შარშან, უეფას თასზე „დიორთან“ მატჩისთვის თემურ მახარაძემ უნგრეთშიც მიახლა, თუმცა დეკემბრამდე „ზესტაფონი 2-ის“ ფეხბურთელად ვითვლებოდი, გია გეგუჩაძის მოსვლის შემდეგ კი პირველ გუნდში გადმომიყვანეს.

**- ელოდი, რომ „ზესტაფონის“ მთავარ გუნდს ასე მალე გაუშინაურდებოდი?**

- მეორე გუნდში თამაშისას აქაურ გარემოს შევეჩვიე, თანაგუნდელების უმრავლესობასაც ვიცნობდი და მათთან აქამდეც ვმეგობრობდი, ამიტომ პირველ გუნდთან ადაპტაცია არ გამჭირვებია. ამას ისიც დაემატა, რომ გია გეგუჩაძემ ახალგაზრდა ფეხბურთელებს ნდობა გამოგვიცხადა და თავის გამოჩენის საშუალება მოგვცა. ყოველნაირად ვეცდები, რომ მისი იმედები გავამართლო. „ზესტაფონში“ დიდი კონკურენციაა და იმის ილუზია არა მაქვს, რომ ძირითადის უცვლელი ფეხბურთელი ვიქნები, მაგრამ ვეცდები, რომ მწვრთნელის ნდობა მაქსიმალურად გავამართლო. ჯერჯერობით მხოლოდ შვიდი-რვა შეხვედრა ჩავატარე და კიდევ ბევრი რამ მაქვს დასამტკიცებელი.

**- უმაღლეს ლიგაში შენი დებიუტი თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ შედგა. პირველივე მატჩში ასეთ პრინციპულ მეტოქესთან თამაში არ გაგიჭირდა?**

- რა თქმა უნდა, „დინამოსთან“ თამაში იოლი არ არის, თანაც მისსავე მოედანზე მაგრამ ამაზე საერთოდ არ ვფიქრობდი. გახარებული ვიყავი, რომ მწვრთნელი მენდო და ასეთ პრინციპულ შეხვედრაში ძირითადში დამაყენა. სამწუხაროდ, ის შეხვედრა 0:2 წავაგეთ.

**- მომდევნო შეხვედრაში, „სპარტაკის“ წინააღმდეგ მწვრთნელმა შენთვის უჩვეულო პოზიციაზე - დაცვის მარცხენა ფლანგზე გაგამწესა, თუმცა ამ შეხვედრაში პირველი საგოლე პასი გაიფორმე...**

- შემტევი ნახევარმცველი ვარ, მაგრამ მწვრთნელის გადასაწყვეტია, რა პოზიციაზე მათამაშებს. გუნდს სადაც გამოვადგები, ჩემი ადგილიც იქ არის. „სპარტაკთან“ მატჩის წინ დაცვაში პრობლემები გვქონდა და მწვრთნელი იძულებული იყო გადაადგილებები მოეხდინა. ვფიქრობ, იმ შეხვედრაში ცუდად არ მითამაშია და ჩემი გადაცემის შემდეგ ხიდეშელმა გოლიც გაიტანა.

**- სტანდარტულ მდგომარეობას ხშირად ასრულებ და არცთუ ურიგოდ. ახლაც, „მგლებთან“ მატჩში კუთხურიდან იონანიძეს საგოლედ ჩაუწოდე...**

- ამ კომპონენტის სრულყოფისთვის ბევრს ვვარჯიშობ. ალბათ, გამომდის კიდეც, რადგანაც გუნდში სტანდარტულების შესრულებას ხშირად მანდობენ.



თორნიკე გორგიაშვილი

**- „ზესტაფონი“ წლეულს ძველებურად ველარ ყოჩაღობს, ახლა მეოთხე ადგილზე ხართ და „ოლიმპს“ ორი ქულით ჩამორჩებით. როგორ ფიქრობ, შეძლებთ სამეულში შესვლას?**

- წლეულს „ზესტაფონში“ ბევრი ახალი ფეხბურთელი ჩაირიცხა და ჯერ კიდევ შეთამაშების პროცესში ვართ. სწორედ ამ ნაკლმა იჩინა თავი „დინამოსთან“ და „ვიტ ჯორჯიასთან“ მარცხის დროს. ბოლომდე ვიბრძოლებთ და იმედი მაქვს, რომ ჩემპიონატს მესამე საპრიზო ადგილზე დავასრულებთ. მომავალ წელს კი აუცილებლად ჩემპიონობაზე ვიფიქრებთ.

**- შენს მიზნებზე რას გვეტყვი?**

- ყველა ქართველი ფეხბურთელის მსგავსად, ჩემი ოცნება საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაა. აქამდე არც ერთ ასაკობრივ ნაკრებში არ მითამაშია, მაგრამ ცოტა ხნის წინ ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა კახა ცხადაძემ სამშაბათობაზე მიმიწვია. თუ კლუბში თავს გამოვიჩენ, სამომავლოდ ნაკრებში მოხვედრის იმედიც რატომ არ უნდა მქონდეს? რაც შეეხება ჩემს საკლუბო მიზნებს, კონტრაქტით „ზესტაფონთან“ კიდევ ორი წელიწადი მაკავშირებს და მინდა ახლანდელ გუნდთან ერთად რაიმე ტიტული მოვიგო, შემდეგ კი უცხოეთში კარიერის მოწყობაზეც ვიფიქრებ.

**დავით კოხრეიძე**

# შარშანდელზე ძლიერები ვართ

ვ«

- ამჯერად უკეთესი გუნდი გვყავს. ვთვლი, რომ „დინამო“ ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე გასულ სეზონში. ამჟამად „დინამო“ უფრო ეფექტურად, მწვავედ და ორგანიზებულად თამაშობს.

**- ახლა თქვენს თამაშზეც გკითხავთ... ტრავმის შემდეგ რამდენად მოასწარი ფორმის აღდგენა?**

- უკვე ჩინებულ კონდიციაში ვარ. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ფორმა სრულად აღვიდგინე და 100 პროცენტით ჩავერთე კონკურენციაში. ბუნებრივია ჩვენს გუნდში დიდი კონკურენციაა, მაგრამ გარჯას არავის უკარგავენ.

**- ადრე უფრო ბევრი გოლი გაგქონდათ...**

- კი, მაგრამ ტრავმებმა შეამცირა ჩემი გოლების აქტივი. „ლოკომოტივს“ პირველ ნახევარფინალურ მატჩში უკვე გავუტანე, ხვალაც მინდა იგივე გავაკეთო... თუმცა უმთავრესია „ვიტ ჯორჯიას“ ვინ გაუტანს ჩემპიონატის გადამწყვეტ თამაშში.

**- გაბონის ნაკრებშიც ასპარეზობთ. თქვენი ეროვნულის თავკაცი ალენ ჟირესი ადრე საქართველოს ნაკრებს წვრთნიდა. ამ თემაზე თუ საუბრობს?**

- კი, ახსენებს ხოლმე და არც თუ იშვიათად. სანაკრებო მატჩების წინ, პრესკონფერენციები იმართება და გარდა ამისა ჟირესის ინტერვიუც არაერთხელ გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთებში. ჟურნალისტები მას ხშირად ეკითხებიან სხვადასხვა ქვეყანაში მოასპარეზე ლეგიონერებზე. ბუნებრივია ქართულ ლიგაში მოთამაშეებზეც ხშირად უსვამენ ხოლმე კითხვებს. ბოლოს ჟირესმა ამ კითხვას ასე უპასუხა - მიხარია, საქართველოდან მეკარე დიდიე ოვონო და მცველი ერნესტ აკუასაგა კარგად მომზადებულები ჩამოვიდნენო. ჟირესმა მადლიერებაც კი გამოთქვა „დინამოსა“ და „ოლიმპის“ მწვრთნელების მისამართით... სხვათა შორის, ჟირესმა საქართველოს ნაკრებიც ახსენა - ეს ჩემი ყოფილი გუნდია, მწყინს, რომ ასეთი სამწუხარო შედეგები აქვს, არა და ფეხბურთელების მიხედვით უკეთესს ნამდვილად იმსახურებსო... სხვათა შორის, ოვონომაც მითხრა, ჟირესი ახლაც ტკბილად იხსენებს საქართველოში გატარებულ პერიოდს.

**- დაბოლოს, „დინამოსთან“ რა ხანგრძლივობის კონტრაქტი დაგრჩათ?**

- კიდევ ერთი სეზონი. ჩემი კონტრაქტი 2010 წლის 4 ივნისს იწურება. მანამდე მინდა საქართველოში ჩემპიონობა და თასი მოვიპოვო და ჩემპიონთა ლიგაზე „დინამოსთან“ ერთად წარმატებით ვიასპარეზო.

**დავით ცაგაძე**

ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. პირველი მატჩი

# ძველი დაპირისპირება, ძველი იმედები


პრემიერლიგის კლასიკა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში

მიუხედავად იმისა, რომ ორი წამყვანი ფეხბურთელი აკლია, „არსენალი" ჩემპიონთა ლიგის მოქმედ გამარჯვებულთან გასვლით შეხვედრაზე დიდი იმედებით მიემგზავრება. „მეთოფეთა" განკარგულებაში **ანდრეი არშავინი** და **რობინ ვან პერსი** არ არიან. პირველმა წელს „ზენიტის" შემადგენლობაში უკვე ითამაშა ლიგის გათამაშებაში, მეორეს მცირე ტრავმა აწუხებს, რის გამოც პრემიერლიგის ბოლო შეხვედრაშიც არ უასპარეზია. **არსენ ვენგერმა** „მიდლსბროსთან" შეხვედრაში ცოტა უცნაური გადაწყვეტილება მიიღო და ჰოლანდიელი, მარჯვენა ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე **ფრანსესკ ფაბრეგასი** დააყენა. ამ სქემამ იმუშავა - ესპანელმა რივერსაიდელებს ორი გოლი გაუტანა.

*„შეიძლება ამ სქემას კიდევ ერთხელ მივმართო, რადგან სესკმა საკმაოდ დამაჯერებლად ითამაშა მისთვის უცხო ამპლუაში,"* - განაცხადა ფრანგმა მწვრთნელმა იმ გუნდთან დაპირისპირების წინ, ვისაც „არსენალი" პირველად ისტორიაში 1894 წელს დაუპირისპირდა (!); ისინი ჩემპიონატში პირველად 1906 წლის 10 ნოემბერს შეხვდნენ. ამ გუნდებს შორის კიდევ ერთი დაპირისპირება პრემიერლიგაში 16 მაისს შედგება.

*„სასურველია, მაქსიმალურად ყურადღებით ვითამაშოთ, რადგან ერთია პრემიერლიგის აუტსაიდერ „მიდლსბროსთან" შეხვედრა და მეორე „ოლდ ტრეფორდზე" „ეშმაკებთან" დაპირისპირება,* - აცხადებს ვენგერი. - *ჩვენ იქ ძველი იმედებით ჩავალთ. ისევე როგორც ეს აქამდე ხდებოდა, მინდორზე ხვალაც მოსაგებად გავალთ".*

გამარჯვებულს პრიზად რომში გასამართ ფინალურ დაპირისპირებაში „ბარსელონასა" და „ჩელსის" შორის უძლიერესი ერგება. არსებობს შანსი, რომ პირველად ჩემპიონთა ლიგის დაარსების შემდეგ მისმა მფლობელმა ტიტულის შენარჩუნება მოახერხოს. ამის მცდელობა რამდენიმე კლუბს უკვე ჰქონდა. 1994 წლის გამარჯვებულმა „მილანმა" მომდევნო წელს „აიაქსთან" ფინალი წააგო, 1996 წელს თავის მხრივ „აიაქსი" „იუვენტუსთან" დამარცხდა, „ვეკია სენიორა" კი 1997-ში დორტმუნდის „ბორუსიასთან" დაპირისპირებაში აღმოჩნდა წაგებული. პირველად ყველაზე პრესტიჟული ევროთასის არსებობის განმავლობაში შეიძლება ისე მოხდეს, რომ ფინალური წყვილი განმეორდეს.

ზოგადად საინტერესო იქნებოდა წლევანდელი ნახევარფინალისტების ზოგადი სტატისტიკისთვის თვალი შეგვევლო: **ბარსელონა:** ლიგა მოგებული აქვს 1992 („სამპდორია" 1:0), 2006 („არსენალი" 2:1) წლებში, ფინალში კი დამარცხდა 1961 (ბენფიკა 2:3), 1986 (სტიაუა 1:1, პენ: 0:2), 1994 (მილანი 0:4) წლებში;

**ჩელსი:** არსებობის განმავლობაში ერთადერთი ფინალი აქვს ნათამაშები და ისიც წაგებული, 2008 წელს, „მანჩესტერ იუნაიტედთან" (1:1 , პენ: 5:6).

**არსენალი:** „ჩელსის" მსგავსად ერთადერთი ფინალი 2006-ში „მეთოფეებმა" „ბარსელონასთან" წააგეს (1:2).

**მანჩესტერ იუნაიტედი:** „ეშმაკები" თავს იმით იწონებენ, რომ გადამწყვეტი შეხვედრა ჯერ არასოდეს წაუგიათ. გუნდმა სამივე ფინალურ დაპირისპირებაში გაიმარჯვა 1968 (ბენფიკა 4:1), 1999 (ბაიერნი 2:1), 2008 (1:1, პენ: 6:5).

გთავაზობთ გუნდების წარმომადგენელთა კომენტარს:

**ნემანია ვიდიჩი:** *„არსენალთან" პირველივე წუთებიდან ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც „ტოტენჰემთან" მეორე ტაიმში ვიასპარეზეთ. „მეთოფეები" თითოეულ პოზიციაზე მაღალი კლასის ფეხბურთელებით არიან დაკომპლექტებულნი. ბოლოს დროს ისინი ოპტიმალური შემადგენლობით ვერ თამაშობენ, მაგრამ ტრავმირებულ ლიდერებს სათადარიგო ფეხბურთელები იდეალურად ცვლიან. ყოველ შემთხვევაში, ხარისხის დაცემა ლონდონელთა თამაშში ვერ დავინახე. ჩვენი დაპირისპირება ისეთია, რომ ერთ შეცდომასაც კი შეუძლია გამარჯვებულის ბედი გაარკვიოს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ მეტოქეს შინ გოლის გატანა არ დავანებოთ. ის, რომ მეორე შეხვედრა „ემირეტსზეა", „არსენალს" უკეთეს მდგომარეობაში აყენებს. ჩვენ პირველივე შეხვედრაში შევეცდებით სასურველი ფორის მოპოვებას. ჩემი შეფასებით, „არსენალსა" და ჩვენ ფინალში გასასვლელად თანაბარი შანსი გვაქვს".*

**არსენ ვენგერი:** *„როცა.გუნდი ასეთ ეტაპს მიაღწევს, თამამი თამაშია საჭირო. სტუმრად გატანილი გოლის ფაქტორი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მას ძალზე მაღალი ფასი დაედოს. რამდენჯერმე უკვე გავაკეთე ამ თემაზე განცხადება, რომ საჭიროა რეგლამენტის შეცვლა. ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში იგივე წესი უნდა დავამკვიდროთ, რომელიც მომავალი წლიდან ევროპის ლიგის გათამაშებაში იქნება, როცა სტუმრად გატანილი გოლი ძალაში შედის მხოლოდ დამატებით დროში. ჩემი აზრით, ეს გუნდებს მოტივაციას გაუორმაგებს, რომ უფრო შემტევ სტილში ითამაშონ".*

**კოლო ტურე:** *„კრისტიანო რონალდოს წინააღმდეგ კირან გიბსი ითამაშებს. ის ძალზე ნიჭიერი მცველია. კირანი გუნდის ძირითადში მაშინ მოხვდა, როცა გუნდს ყველაზე მეტად უჭირდა. ვფიქრობ, მან ყველას დაუმტკიცა, რომ არავისზე ნაკლებად არ შეუძლია ფეხბურთის თამაში. მოხარული ვარ იმითი, რასაც ის ჩვენი კლუბისთვის აკეთებს. როცა ახალგაზრდა ხარ და მსოფლიო კლასის ფეხბურთელს ეთამაშები, ყოველთვის ძალზე ძნელია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. თუმცა მიმაჩნია, რომ კირანს ოთხშაბათს არ უნდა გაუჭირდეს. რონალდო კარგი ფეხბურთელია და ეს მხოლოდ მისი კი არა, მთელი გუნდის პრობლემა იქნება".*

### სავარაუდო შემადგენლობები

**მანჩესტერ იუნაიტედი:** ვან დერ სარი - რაფაელი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - რონალდო, ქერიკი, სქოულზი, გიგზი - ბერბატოვი, რუნი.

**არსენალი:** ალმუნია - სანია, სილვესტრი, ტურე, გიბსი - დენილსონი, სონგი, უოლკოტი, ფაბრეგასი, ნასრი - ადებაიორი.

**არბიტრი:** კლაუს ბო ლარსენი (დანია)

**შალვა ბიბილაშვილი**

ბაიერნი

# რუმენიგეს ფავრი მოსწონს, ბეკენბაუერს ჰიდინკი

## ამასობაში ჰაინკესმა გუნდი პირველად ავარჯიშა



**იურგენ კლინსმანი** გააგდეს, **იუპ ჰაინკესი** დანიშნეს, ოლონდ სეზონის ბოლომდე - „ბაიერნში" მოვლენები ძალიან სწრაფად განვითარდა. გუშინ „დონ იუპმა" გუნდი პირველად ავარჯიშა და ვარჯიშის შემდეგ თქვა, არა, ეს არ არის ის „ბაიერნი", რომელიც მე მახსოვსო. აღმოაჩინა რა ამანაც ამერიკა, ეს რომ ის „ბაიერნი" ყოფილიყო, კლინსმანს არავინ გააგდებდა და არც ჰაინკესს დანიშნავდა ვინმე (თუნდაც დროებით).

ამასობაში, ბავარიელები ნელ-ნელა იწყებენ იმ მწვრთნელის ძებნას, რომელიც რეკორდმაისტერს ზაფხულიდან ჩაუდგება სათავეში. „ბილდის" ინფორმაციით, ერთ-ერთი რეალური კანდიდატი ბერლინის „ჰერტას" ამჟამინდელი თავკაცი **ლუსიენ ფავრია**, რომელიც ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** პირადი ფავორიტია. აღსანიშნავია, რომ ფავრი ზუსტად მიესადაგება „ბაიერნის" სტილს. 51 წლის შვეიცარიელი მწვრთნელი შესანიშნავი ტაქტიკოსია და თამაშის დროს რამდენჯერმე ცვლის ხოლმე სათამაშო სქემას (კლინსმანმა ერთ მატჩში კი არა, მთელ სეზონში მხოლოდ ორჯერ შეცვალა ტაქტიკა). ამასთან, ფავრი საკმაოდ მკაცრია და იცის, როგორ მოექცეს თავგასულ ფეხბურთელებს, გერმანულადაც კარგად საუბრობს და ბუნდესლიგასაც შესანიშნავად იცნობს. ის, რომ ბედოვლათი „ჰერტა" ახლა ყველასათვის მოულოდნელად გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძვის, სწორედ ლუსიენის დამსახურებაა.

თუმცა გუნდის პრეზიდენტი **ფრანც ბეკენბაუერი** პირდაპირ ამბობს: *„იმედი მაქვს, რომ ული ჰიონესი და რუმენიგე დაახლოებით ისეთი კალიბრის მწვრთნელს დაითანხმებენ, როგორიც გუუს ჰიდინკია!"* ფავრი მართლაც კარგი მწვრთნელია, მაგრამ ჰიდინკის დონის ნამდვილად არ არის. ასე რომ, ულის და კალეს მაგრად მოუწევთ მუშაობა. „ბაიერნის" ფანების ერთი ნაწილი **ლოთარ მათეუსის** დანიშვნას ითხოვს, რომელიც სიამოვნებით იმუშავებს მიუნხენში (ეს ხომ ლოთარის დიდი ხნის ოცნებაა), მაგრამ მათეუსის დანიშვნაც ერთგვარი რისკი იქნებოდა, რისკებისა და ექსპერიმენტების დრო კი მიუნხენში კლინსმანის შემდეგ ნამდვილად წარსულს ჩაჰბარდა. ან იქნება არც ჩაჰბარდა? ვნახოთ...

**გოტფრიდ ლენცი**

იუვენტუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რანიერის საზაფხულო მოლოდინი

ტურინის "იუვენტუსი" ბოლო დროს არცთუ კარგად გამოიყურება, რაც გუნდის შედეგებზეც პროპორციულად აისახა. "ვეკია სენიორა" სატურნირო ცხრილში მესამე პოზიციაზე ჩამოქვეითდა და საჩემპიონო რბოლას ჩამოშორდა. ბუნებრივია, დაისვა გუნდიდან მთავარი მწვრთნელის გათავისუფლების საკითხიც – ბევრი იმასაც წერს, რანიერის დღეები დათვლილიაო. თავად კლაუდიო კი არსად წასვლას არ აპირებს და პრესასთან საუბარში სამომავლო გეგმებზე საუბრობს:

*"დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მიერ აღებული კურსი სწორია და დიდ გამარჯვებებამდე მიგვიყვანს. ხშირად, მწვრთნელები გადაწყვეტილებებს ემოციურ ფონზე იღებენ და გუნდს შენების პროცესში ტოვებენ. ამ შეცდომის განმეორების სურვილი არ მაქვს და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, "იუვეში" მომავალ სეზონშიც ვიმუშავებ. ბოლომდე უნდა მივიყვანო ის საქმე, რომელიც დავიწყეთ და ეს ასეც იქნება. ბოლოდროინდელ წარუმატებლობებს აქვს თავისი ახსნა, თუმცა ახლა ამაზე საუბრის დრო არაა. ჩვენ წინ უნდა ვიყუროთ და მომავალს ოპტიმიზმით შევხედოთ".*

რანიერის საკადრო საკითხებზეც დაეკითხნენ, კლაუდიოს ხომ ყველაზე ხშირად სატრანსფერო პოლიტიკას უწუნებენ: *"გასულ ზაფხულს რამდენიმე ფეხბურთელი გადმოვიბირეთ და ვერ ვიტყვი, რომ ამ ტრანსფერებმა არ გაამართლა. უმეტესობამ საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე გამოავლინა. რაც შეეხება მოახლოებულ სატრასფერო ფანჯარას, პასიურად არც ამ ზაფხულს ვიქნებით. გუნდი რომ გაძლიერებას საჭიროებს, ცხადზე ცხადია, ასე რომ, კვალიფიციურ ფეხბურთელებს აუცილებლად დავიმატებთ".*

აქვე გამცნობთ, რომ "იუვენტუსის" მესვეურების მიერ ფედერკლჩოში შეტანილი სარჩელი, სადისციპლინო კომიტეტმა არ დააკმაყოფილა. ალბათ მიხვდით, რომ საუბარი "იუვენტუსი" გულშემატკივრების რასისტულ გამოხდომაზეა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ, **მარიო ბალოტელის** შეურაცხყოფის გამო, "ვეკია სენიორას" საშინაო პაექრობის ცარიელი ტრიბუნების წინ ჩატარება მიუსაჯა, რაც შემდეგ ტურინელებმა უშედეგოდ გააპროტესტეს.

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

რაული

# ნელს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სუპერკლასიკო გაიმართება

## სამეფო კლუბს ბარსელონის არ ეშინია



სევილიაში ჰეთ თრიკის შესრულების შემდეგ რაული ჟურნალისტების ყველაზე სასურველ რესპოდენტად იქცა. გონსალეს ბლანკოს სამმა გოლმა სამეფო კლუბს უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოუტანა. „სანჩეს პისხუანზე“ „სევილიის“ დამარცხებით მადრიდელებმა „ბარსელონასთან“ სხვაობა ოთხ ქულამდე შეამცირეს. რამდენიმე დღეში ისინი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ სწორედ კატალონიურ გრანდს უმასპინძლებენ და გამარჯვების შემთხვევაში ჩემპიონობის 100-პროცენტიან შანსს მოიპოვებენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ახლა სამეფო კლუბის უკლებლივ ყველა წევრი და გულშემატკივარი სუპერკლასიკოს მოლოდინით ცხოვრობს.

**- „ბარსელონას“ ახლა მხოლოდ ოთხი ქულით ჩამორჩებით. თანაც, წინ სუპერკლასიკო გელით. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ, ჰანდიკაპის ერთ ქულამდე შემცირებას?**

- ჩვენ ამ შევხედრისთვის ისევე ენერგიულად მოვემზადებით, როგორც ყველა სხვა მატჩისთვის ვემზადებოდით. ახლაც იმას გავაკეთებთ, რისი გაკეთებაც შეგვიძლია. დარწმუნებული ვარ, სუპერკლასიკოში გულშემატკივრები განსაკუთრებულ როლს შეასრულებენ. „სანტიაგო ბერნაბეუ“ პირთამდე შეივსება და ომახიანი შეძახილებით „ბარსელონის“ დამარცხებაში დაგვეხმარება. ეს ამბავი ყველას კარგად გვაქვს გაცნობიერებული.

**- სამეფო კლუბის ფეხბურთელებს სჯერათ, რომ სიტუაციის შემობრუნებისა და ჩემპიონის ტიტულის მოპოვების უნარი შესწევთ, პირადად თქვენ რას ფიქრობთ?**

- ყველაზე მნიშვნელოვანი ერთი გარემოებაა. გულშემატკივრები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ ამ შეხვედრაში თავს არ დავზოგავთ. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მოვიგოთ. ჩვენ 31 მაისამდე ვიბრძოლებთ და შევეცდებით, „ბარსელონას“ საჩემპიონო ტიტული არ დავუთმოთ. „რეალი“ იქამდე იომებს, სანამ ჩემპიონობის შანსი იარსებებს. რა თქმა უნდა, მჯერა, რომ ჩვენ პირველი ადგილის დაკავების უნარი შეგვწევს. ეს სავსებით რეალური ამოცანაა. მიუხედავად იმისა, რომ კატალონიელები ოთხი ქულით გვისწრებენ, მიმაჩნია, რომ ყველაფერი მაინც ჩვენზეა დამოკიდებული.

**-არადა, იყო დრო, როცა „ბარსა“ ძალიან დიდი სხვაობით გისწრებდათ და ჩემპიონობა უტოპიურ ამოცანად ჩანდა...**

- ჩვენ არასოდეს გვითქვამს, რომ ჩემპიონები ვერ გავხდებოდით. ბრძოლა ბრძოლის გარეშე არ წაგვიგია. ნებისმიერმა ფეხბურთელმა, რომელიც სამეფო კლუბის ღირსებას იცავს, მშვენივრად იცის, რომ ამ გუნდში სიტყვა დანებება აკრძალულია. ამის თქმის უფლება არავის აქვს.

**- „სევილიასთან“ მატჩში მესამე პრიმერადივიზიონური ჰეთ ტრიკი შეასრულეთ. როგორ ფიქრობთ, „სანჩეს პისხუანზე“ „რეალმა“ სამი ქულა თქვენი წყალობით მოიპოვა?**

- სამი გოლის გატანით, რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ყველამ ვიცოდით, „სანჩეს პისხუანზე“ როგორ უნდა გვეთამაშა. ამის გათვალისწინებით, სრული პასუხისმგებლობით ვიტყვი, რომ „სევილიის“ დამარცხება მხოლოდ ჩემი დამსახურება არ არის. ეს გამარჯვება ჩვენი გუნდის მებრძოლი სულის შედეგია. „რეალი“ ძლიერი კლუბია. ვფიქრობ, ამას ყოველ შეხვედრაში ხელახლა ვამტკიცებთ. გასულ ტურში გაცნობიერებული გვქონდა, რომ ქულების დაკარგვა არ შეიძლებოდა.

**- მიუხედავად ყველაფრისა, „ბარსელონა“ არაჩვეულებრივ ფორმაშია...**

- კატალონიელებს იმდენად კარგი გუნდი ჰყავთ, მის სიძლიერეზე კამათს არავინ დაიწყებს. ეს დიდი უაზრობა და შეცდომა იქნება. სწორედ ამ ფაქტის გათვალისწინებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს წარმატებებს ორმაგი ფასი აქვს. წინასწარ ვერავინ გეტყვით, გავხდებით, თუ არა ჩემპიონები, თუმცა ერთი რამ უდავო ფაქტია, ჩვენი გულშემატკივრები გუნდის თავდადებული თამაშით ნებისმიერ შემთხვევაში იამაყებენ. სამეფო კლუბის ისტორიას არაერთი სასწაული ახსოვს. ბედის ბორბალი ძალიან ხშირად შემოგვიტრიალებია. წარსულის გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია.

**- თქვენი აზრით, „ჩელსისთან“ მატჩი სუპერკლასიკოზე“ როგორ იმოქმედებს?**

- „რეალი“ რა თქმა უნდა, უფრო დასვენებული და თავშემონახული იქნება. ეს არ არის მცირე უპირატესობა, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ ამ ეს უპირატესობა გამარჯვების გარანტიას გვაძლევს. როგორც გითხარით, ჩვენ თავს არ დავზოგავთ, თუმცა ასევე დარწმუნებული ვარ, რომ უკან კატალონიელებიც არ დაიხევენ. შესაძლოა, ისინი ჩვენზე უფრო გადაილალონ, მაგრამ 90 წუთის უმაღლეს დონეზე ჩატარება ყოველთვის შესაძლებელია. ძალების მობილიზება ნებისმიერ დროს შეიძლება. ასე რომ, მაქსიმალური ყურადღება და კონცენტრაცია გვმართებს.

**- თქვენი აზრით, რა არის საჭირო იმისთვის, რომ „ბარსელონა“ მშვიდად დაამარცხოთ?**

- არ ვიცი, მშვიდად დამარცხებაში რას გულისხმობთ, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცი, რომ „ბარსელონას“ მხოლოდ დისციპლინირებული ფეხბურთით მოვუგებთ. ხუანდე რამოსის მიერ შემუშავებული სტრატეგია ზედმიწევნით კარგად უნდა შევასრულოთ. როგორც ყოველთვის, გადამწყვეტ როლს, ტაქტიკა, შემართება და ალმაფრენა შეასრულებს. იმედია, ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც ჩვენ გვაქვს დაგეგმილი. წელს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სუპერკლასიკო გაიმართება.

**- „ბარსას“ მეტოქეები ყოველთვის ლეო მესის გაუვნებელყოფასთან დაკავშირებულ პრობლემაზე საუბრობენ. როგორ ფიქრობთ, არგენტინელი ფორვარდი სამეფო კლუბისთვისაც დიდი პრობლემაა?**

- მესი ისეთი ფეხბურთელია, პრობლემას ნებისმიერ გუნდს შეუქმნის. რა თქმა უნდა, საფრთხე ჩვენც გვემუქრება, მაგრამ იდიოტები არ ვართ, რომ ლეოს შიშით ფეხები აგვიკანკალდეს. ბიჭები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ მესის მაქსიმალურად შეუშალონ ხელი და თამაშიდან შეძლებისდაგვარად გამოთიშონ. არა მგონია, ხუანდე რამოსმა მას პერსონალური მეურვე მიუჩინოს. ეს „ბარსას“ სცენარით მოქმედების ტოლფასი იქნება. ჩვეულებრივად უნდა ვითამაშოთ. თუ ურთიერთდაზღვევა მოწოდების სიმაღლეზე იქნება, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად გავიმარჯვებთ.

**- ცნობილია, რომ სერიოზული საკადრო პრობლემები გაქვთ. პეპე ათმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. არიენ რობენს ტრავმა აქვს. როგორ გგონიათ, პორტუგალიელისა და ჰოლანდიელის გარეშე სამეფო კლუბის პოტენციალი მნიშვნელოვნად მცირდება?**

- პეპე ნამდვილად ვერ ითამაშებს. „ხეტაფესთან“ მატჩში მომხდარი ინციდენტის გამო ის სამაგალითოდ დასაჯეს. რობენს რაც შეეხება, უკანასკნელი ინფორმაციის თანახმად, მისი რეაბილიტაცია ნავარაუდევზე შეუდარებლად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. დიდია შანსი, რომ არიენი დროულად გამოჯანმრთელდეს და სუპერკლასიკოში ითამაშოს. გულწრფელად გეტყვით, რობენი „რეალისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა. მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ბუნებრივია, ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ ჩვენი ჰოლანდიელი ვარსკვლავი ფეხზე დადგება და სუპერკლასიკოში დაგვეხმარება. თუმცა, თუ ეს არ მოესწრება, ფარხმალს არ დავყრით და ნებისმიერ შემთხვევაში ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**- „ხეტაფესთან“ ინციდენტი თქვენ თვითონ ახსენეთ. პეპეს საქციელს როგორ შეაფასებთ?**

- ამ თემაზე მე და ჩემმა თანაგუნდელებმა ძალიან ბევრი ვილაპარაკეთ, მაგრამ რადგან მკითხეთ, მოგახსენებთ, რომ პეპეს საქციელს ვგმობ და საშინელებად მივიჩნევ. ის ემოციას ვერ გაუმკლავდა. მსგავსი შემთხვევისგან არავინაა დაზღვეული, თუმცა ასეა თუ ისე, ჩემი თანაგუნდელი ასე არ უნდა მოქცეულიყო. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პეპე დაშვებულ შეცდომას გულწრფელად ნანობს. მან ისიც კი თქვა, ფეხბურთზე თავის დანებება მინდა. საკუთარ თავში ძალას ვერ გამოვნახავ, რომ ათმატჩიანი დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ ფეხბურთს დავუბრუნდეო. მე და ჩემი მეგობრები, პეპეს სპორტიდან ნაადრევად წასვლის უფლებას არ მივცემთ. ჩვენ ყველა დავწრმუნდით, რომ ის მართლაც გულწრფელად ნანობს. დანარჩენი უკვე დროის საკითხია. წმინდანები არ ვართ და შეცდომას ყველა ვუშვებთ. დროის გასვლის შემდეგ პეპე დამშვიდდება და ფეხბურთის თამაშის სურვილი დაუბრუნდება. შეუძლებელია, მან ჟინი და აზარტი დაკარგოს.

**- სხვათა შორის, იმ შეხვედრაში მარსელომაც იჩხუბა. ბრაზილიელმა მცველმა პრესკონფერენციაზე დაუფარავად თქვა, რაულმა მიყვირა და გამლანძღაო...**

- მარსელოსა და პეპეს შენიშვნა მივეცი. მე კაპიტანი ვარ და ამის უფლება ნამდვილად მაქვს. მე მათ ვუთხარი, რომ არასწორად იქცეოდნენ. ეს ინციდენტი ამოწურულია. ახლა მთავარია, რომ ერთად დავდგეთ და ერთმანეთი გავაძლიეროთ. წინ ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები გველის და მნიშვნელოვანია, რომ ამ თამაშების წინ გუნდში ჯანსაღმა ატმოსფერომ დაისადგუროს.

**- მიმდინარე სეზონში 24 გოლი გაქვთ გატანილი. 18 პრიმერა დივიზიონში, 3 ესპანეთის სამეფო თასზე და სამიც ჩემპიონთა ლიგაში. როგორ ფიქრობთ, სუპერკლასიკოში პირადი მაჩვენებლების გაუმჯობესებას შეძლებთ?**

- ვერ გეტყვით, მე ფორვარდი ვარ და გოლის გატანა ჩემი უპირველესი ამოცანაა. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ „ბარსას“ დამარცხებაში ჩემი წვლილი შევიტანო, თუმცა ვიქნები ბანალური და მოგახსენებთ, რომ მთავარი გამარჯვებაა და არა ვინმეს პირადი მაჩვენებლის გაუმჯობესება. მე ყოველთვის რიგითი ჯარისკაცი ვიყავი. როცა ვხედავ, რომ თანაგუნდელი ოდნავ უკეთეს პოზიციაზე იმყოფება, პასს არ ვუგვიანებ.

**- სხვათა შორის, ხშირია შემთხვევები, როცა „ბარსელონას“ ფეხბურთელები პასის დაგვიანების გამო ერთმანეთს მოედანზევე საყვედურობენ. ეს რა თქმა უნდა, ჩავისა და ინიესტაზე არ ითქმის. ძირითადად ფორვარდები წუწკობენ ხოლმე...**

- არ ვიცი, სხვა გუნდის შიდა სამზარეულოზე მე ვერ ვილაპარაკებ. შესაძლოა, აზარტში ჩავარდნილმა ფეხბურთელმა მეგობარს პასი დაუგვიანოს. არა მგონია, ეს მხოლოდ „ბარსელონის“ სენი იყოს. ჩავისა და ინიესტას რაც შეეხებათ, ისინი მართლა გენიალური ფეხბურთელები არიან. არ მახსენდება შემთხვევა, როცა რომელიმე მათგანს ხელსაყრელ პოზიციაზე მყოფი თანაგუნდელისთვის პასი დაეგვიანებინათ.



ხეტაფე

# მუნიოსი მიჩელმა შეცვალა

როგორც გუშინ გაუწყეთ, „ხეტაფემ“ მთავარი მწვრთნელი დაკარგა. პერმანენტული წარუმატებლობით მობეზრებულმა მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობამ რადიკალური გადაწყვეტილება მიიღო და **ვიქტორ მუნიოსს** კონტრაქტი გაუწყვიტა. როგორც იცით, გამოცდილი ესპანელი სპეციალისტი კლუბის სპორტული დირექტორის **ტონი მოუნიოსის** ინიციატივით მოხსნეს. პრეზიდენტმა **ანხელ ტორესმა** კოლეგებთან მოთათბირების შემდეგ გადაწყვიტა, რომ ვიქტორ მუნიოსის გადაყენების შემდეგ გათავისუფლებული თანამდებობა სამეფო კლუბის ლეგენდარული ფეხბურთელისთვის, **მიჩელისთვის** შეეთავაზებინა. „რეალის“ სათადარიგო გუნდის ყოფილი მწვრთნელის დათანხმება სენიორ ტორესს ოდნავადაც არ გასჭირვებია. მიჩელი შეთავაზებას ფაქტობრივად, უსიტყვოდ დათანხმდა. ის მზადაა, „ხეტაფეს“ სეზონის დასრულებამდე უხელმძღვანელოს. იმ შემთხვევაში, თუ ახალი მთავარი მწვრთნელი დედაქალაქურ კლუბს პრიმერა დივიზიონში ადგილს შეუნარჩუნებს, მას კიდევ ორი წლით დატოვებენ. მიჩელი ოპტიმიზმითაა ალსავსე: *„მიუხედავად იმისა, რომ მთავარი მწვრთნელის თანამდებობა ყველაზე კრიტიკულ დროს შემომთავაზეს, წინადადებას მაინც დავთანხმდი. ვიცი, ჩვენს წინაშე დიდი გამოწვევაა, თუმცა მე არაფრის მეშინია. თუ შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოვავლენთ, დარწმუნებული ვარ, უძლიერესთა ლიგაში დავრჩებით. „ხეტაფეს“ საკმაოდ კარგი შემადგენლობა ჰყავს. ვნახოთ, იმედია, ღმერთი წყალობის თვალით გადმოგვხედავს და დასახულ ამოცანას გადავჭრით. კლუბის ხელმძღვანელობას დიდ მადლობას მოვახსენებ. ისინი ძალიან რთულ დროს მენდნენ და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ გაცემული ავანსები გავამართლო...“*

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოტფრიდ ლენცი წარმოგიდგენთ — უქმეებიდან უქმეებამდე

# დრიბლინგი ევროპაში

# ნეტარ არიან მორწმუნენი

**ფლორენციაში** განცდილი კრახის შემდეგ „რომას“ პრეზიდენტმა ფეხბურთელები კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა; კაკას მართლა სჯერა, რომ „მილანს“ შანსი აქვს, იტალიის ჩემპიონი გახდეს; ინგლისში რაიან გიგზი რეჟისორ მარტინ სკორსეზეს შეადარეს; საფრანგეთში კი „მარსელი“ ნელ-ნელა უახლოვდება საოცნებო ჩემპიონობას...

**თქვენ წინაშეა „ლელოს“ დიდი დრიბლინგი ევროპაში...**

## სერია A
### ვითომ ინტრიგა

„ნაპოლის“ მოგება შესძლებია! ამ უქმეებამდე სამხრეთელების ბოლო გამარჯვება 11 იანვრით თარიღდებოდა და გუნდს 14-მატჩიანი მოუგებელი სერია ჰქონდა. კვირას კი, „ნაპოლიმ“ პირდაპირ ისეთ გუნდთან მოიპოვა გამარჯვება, რომლის დამარცხებაზეც თითქმის მთელი იტალია ამაოდ ოცნებობს: **რობერტო დონადონის** შეგირდებმა „ინტერს“ მოუგეს (1:0), გუნდს, რომელსაც 13-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა. და ეს გახლდათ დონადონის პირველი მოგება „ნაპოლის“ მთავარი მწვრთნელის რანგში. თუმცა ფანებმა ეს მართლაც დიდი წარმატება სულ სხვა პიროვნებას მიაწერეს, კერძოდ, მშვენიერ **მიშელ ჰუნციკერს**, რომელიც „ნაპოლის“ პრეზიდენტის სარძლოა და რომელიც კვირას პირველად დაესწრო ამ გუნდის თამაშს. ფანები ითხოვენ, რომ მიშელმა ამიერიდან ნეაპოლელთა არც ერთი მატჩი არ გამოტოვოს.

მაგრამ ამ უქმეების მთავარი მონაპოვარი იტალიის ჩემპიონატისთვის ის მცირე ინტრიგაა, რომელიც „ინტერის“ დამარცხების შემდეგ დაბრუნდა. მეორე ადგილზე ალზევებული „მილანის“ ოჯახი დიდად ემადლიერება ექსმილანისტა დონადონის. თვითონ „როსონერომ“ **ლევან მჭედლიძის** „პალერმოს“ 3:0 მოუგო და „ინტერთან“ სხვაობა 7 ქულამდე შეამცირა, **კაკამ** კი, რომელმაც „პალერმოს“ დუბლი შეუსრულა, მატჩის შემდეგ თქვა: *„სანამ ჩემპიონობის თეორიული შანსი გვაქვს, სკუდეტოზე ოცნებას არ შევწყვეტ. მჯერა, რომ „მილანს“ ჯერ კიდევ შეუძლია „ინტერის“ დაწევა და გასწრება!“* ნეტარ არიან მორწმუნენი... ისე, **ფილიპო ინძაგის** დარი თავდამსხმელი რომ გყავს, მართლა არასდროს არაფერი უნდა გამორიცხო. 35 წლის სუპერპიპომ კვირას იტალიის ჩემპიონატში რიგით 150-ე მატჩი გაიტანა. ალსანიშნავია, რომ „მილანის“ ბოლო 19 გოლიდან, 10 ინძაგის ანგარიშზეა! **კარლო ანჩელოტი**, რბილად რომ ვთქვათ, საცემია! იმის გამო, რომ სეზონის პირველ ნახევარში პიპოს ძალიან იშვიათად ენდობოდა...

„რომას“ ხელმძღვანელებს, „ფიორენტინასთან“ სეზონის უმნიშვნელოვანესი მატჩის წაგების შემდეგ (1:4), მოთმინების ფიალა აევსოთ. პრეზიდენტმა **როზელა სენსიმ** ფეხბურთელებიც გალანძღა და **ლუჩანო სპალეტიც** ზედ მიაყოლა, თუმცა უნდა ალინიშნოს, რომ მოთამაშეებს უფრო მეტი მოხვდათ, ვიდრე მწვრთნელს. *„ფეხბურთელების მხრიდან ასპროცენტიან თავდადებას ვითხოვ! ჩვენს ქომაგებს ეს ყველაფერი ყელში ამოუვიდათ, მე კი უსუსური ფეხბურთელებისთვის მაღალი ხელფასების გადახდა მომბეზრდა!“* - აყვირდა ქალბატონი როზელა. დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ „რომას“ გერმანული ბიზნესოჯახი ფლიკი მიხედავს, მაგრამ ამასობაში გუნდს შესაძლოა, უეფას თასის საგზურიც კი სანატრელი გაუხდეს. თანაც, „რომას“ 52 გოლი აქვს გაშვებული და ამაზე მეტი გოლი ამ სეზონში მხოლოდ სამმა იტალიურმა კლუბმა მიიღო („ბოლონია“, „ლეჩე“, „რეჯინა“).

## პრემიერლიგა
### ფერგის სამართალი

ფეხბურთში გაწონასწორებული სამართლიანობა არ არსებობს, რაც ძალიან იოლი დასამტკიცებელია. მაგალითისთვის, ავიღოთ მსაჯების შეცდომები. ცხადია, ყველას გვესმის, რომ არბიტრებიც ადამიანები არიან და უშეცდომო ადამიანი კი არ არსებობს მაგრამ იმისათვის, მსაჯები ყველა გუნდისთვის თანაბრად ცდებოდნენ, აუცილებელია, რომ ყველა გუნდს თანაბარი რაოდენობით ჰქონდეს სადავო ეპიზოდები. ამ მხრივ კი სუსტი გუნდები იჩაგრებიან. მაგალითად, იმის გამო, რომ სუსტი გუნდი ძალიან იშვიათად ახერხებს მეტოქის საჯარიმოში სახიფათო მომენტის შექმნას, შესაბამისად, მცირეა, მაგალითად, შეცდომით დანიშნული პენალტების რაოდენობაც. არბიტრების შეცდომები შესაძლოა თანაბრად გადანაწილდეს ძლიერ გუნდებზე, სუსტები კი ყველგან და ყოველთვის დაჩაგრულები არიან. „მანჩესტერისა“ და „ტოტენჰემის“ მატჩში არბიტრმა **ჰოვარდ უებმა** შეცდომა დაუშვა და იმ დროს, როცა ანგარიში 0:2 იყო „ტოტენჰემის“ სასარგებლოდ, მანკუნიანელებს არდასანიშნი პენალტი დაუნიშნა, მაგრამ მატჩის შემდეგ „მანჩესტერის“ თავკაცმა **სერ ალექს ფერგიუსონმა** უდარდელად თქვა, მსაჯები ყოველთვის ცდებიან, ერთი გუნდის ხან სასარგებლოდ, ხანაც საზიანოდო. *„თუკი „ევერტონთან“ მატჩში მსაჯი ჩვენთვის საზიანოდ შეცდა, ახლა პირიქით მოხდა და ასე აღდგა სამართლიანობა,“* - ალნიშნა ფერგიუსონმა. ჰო, ფერგიუსონისთვის და „მანჩესტერისთვის“ სამართლიანობა აღდგა, მაგრამ ეს „ტოტენჰემისთვის“ დიდი ვერაფერი ნუგეშია! *„მსაჯმა „იუნაიტედს“ გოლი აჩუქა, რის შემდეგაც მანჩესტერელებმა თავდაჯერება დაიბრუნეს და გადაგვიარეს. რომ არა ის პენალტი, ალბათ არ წავაგებდით!“* - წუხდა მატჩის შემდეგ „ტოტენჰემის“ თავკაცი **ჰარი რედნაპი**. ჰო, ეს მართალია, მაგრამ „ტოტენჰემს“ ვერანაირად ვერ ამართლებს! მეორე ტაიმში მამლებმა სრული კაპიტულაცია გამოაცხადეს და თუკი თამაშის პირველი ნახევარი 2:0 მოიგეს, მეორე ტაიმში ხუთი (!) უპასუხო გოლი მიიღეს!



Jesus he knows me and he knows Im right...
მაგრამ კაკას Genesis-ის ეს სიმღერა, ალბათ, არ უყვარს...

**კრისტოფერ სამბა** პოზიციით მცველია, მაგრამ კვირას ის „ბლექბერნ როვერსში“ თავდამსხმელის პოზიციაზე ათამაშეს, პირველ რიგში იმის გამო, რომ „ბლექბერნს“ მთავარი გოლეადორი **როკე სანტა კრუსი** ტრავმირებული ჰყავდა. მართალია, სამბამ გოლი ვერ გაიტანა, მაგრამ საგოლე შეტევების დროს, „უიგანის“ მცველებს მაგრად ავიწროებდა. სამაგიეროდ, გოლი გაიტანა 31 წლის მცველმა **რაიან ნელსენმა**, რაც ნამდვილი საოცრებაა, რადგან ახალზელანდიელს მანამდე „ბლექბერნის“ მაისურით 140 მატჩი ჰქონდა ჩატარებული და არც ერთი გოლი არ ჰქონდა გატანილი. ამრიგად, ნელსენი თავის პირველ გოლს 4 წლის განმავლობაში ელოდა და მატჩის შემდეგ ხუმრობით თქვა, 1400 თამაშის შემდეგ ჩემი გოლების გრაფაში უკვე ორნიშნა რიცხვი ეწერებაო.

კვირას საღამოს, პრემიერლიგის ფეხბურთელებმა **რაიან გიგზი** წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ფაქტია, რომ უელსელი ამ წოდებას დიდი ხანია, იმსახურებდა, მაგრამ დაიმსახურა თუ არა რაიანმა საპატიო წოდება წელს, ეს კი სხვა საკითხია, რადგან გიგზი სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ 12-ჯერ იყო გამწესებული, 12-ჯერ კი შეცვლაზე ათამაშეს და მთელ ამ ალიაქოთში მან მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლო. როგორც ჩანს, ფეხბურთელებმა უელსელს იმის გამო მიანიჭეს უპირატესობა, რომ ის უბრალოდ ყველას ესიმპათიურება. სწორედ ამიტომ, ინგლისურმა პრესამ გიგზი **მარტინ სკორსეზეს** შეადარა. ნიუ იორკელმა რეჟისორმაც ხომ საკმაოდ დაგვიანებით მიიღო პირველი ოსკარი ფილმისთვის Departed. არადა, სკორსეზეს წარსულში ამ ფილმზე გაცილებით უკეთესი, ნამდვილი შედევრები აქვს შექმნილი. თუმცა მთავარია, რომ გიგზი ღირსი იყო, ისევე, როგორც სკორსეზე.

## პრიმერადივიზიონი
### 22 ბარათი 90 წუთში

ბილბაოს „ატლეტიკისა“ და სანტანდერის „რასინგის“ ფეხბურთელებმა დიდი სპექტაკლი დადგეს, რომლის მთავარი გმირი მსაჯი **გონსალეს ვასკესი** გახდა. გალისიელი არბიტრი საშუალოდ ყოველ ოთხ წუთში ერთხელ ყვითელ ან წითელ ბარათს აფრიალებდა. საბოლოო ჯამში მან კანტაბრიელ და ბასკ ფეხბურთელებს 17 ყვითელი და 5 წითელი ბარათი უჩვენა! ეს კი ესპანეთის ჩემპიონატის რეკორდია და შესაბამისად, გონსალეს ვასკესი ისტორიაში შევიდა.

როგორც იქნა, ცხრილის სათავეში რაღაც შეიცვალა. 8 მარტის შემდეგ, „ბარსელონა“ „რეალს“ 6 ქულით უსწრებდა და მადრიდელები მას მერე თვენახევრის განმავლობაში ამაოდ ელოდნენ კატალონიური გრანდის წაბორძიკებას და აჰა, ეს დღეც დადგა. „ბარსელონამ“ ვალენსიაში 2 ქულა დატოვა (2:2), „რეალმა“ კი „სევილია“ გალახა (4:2) და „ბარსას“ ოთხქულიან დისტანციაზე მიუახლოვდა. „სანჩეს პისხუანზე“ „ბებერმა“ **რაულმა** ჰეთ-თრიკი შეასრულა, რითაც მსოფლიოს კიდევ ერთხელ შეახსენა თავი. მოკლედ, 7 ტურში ლიდერსა და მეორეადგილოსანს შორის სხვაობა 6-დან 4 ქულამდე შემცირდა, რაც ნამდვილად არ არის ისეთი შედეგი, რომ ვთქვათ, „რეალს“ კარგი შანსი აქვსო, მაგრამ ეს ნამდვილად არის უდიდესი ინტრიგა მომავალი შაბათისთვის: წინ სუპერკლასიკოა, რომელიც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაიმართება. „რეკრეატივომ“ „მალიორკასთან“ 2:4 წააგო და ცალი ფეხით მეორე დივიზიონშია. უელველებს 30 ქულა აქვთ და ბოლოდან მეორე ადგილზე არიან, მაგრამ „რეკრეატივოს“ თავკაცი **ლუკას ალკარასი** იმედს მაინც არ კარგავს: *„ფეხბურთელებმა იციან, რაც უნდა ქნან დარჩენილ შეხვედრებში! ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ!“* არადა, სეზონის დამთავრებამდე მხოლოდ 5 ტურია დარჩენილი.

## ლიგა 1
### მარსელი მიზანს უახლოვდება

ლიდერი „მარსელი“ ლილში თამაშობდა და ხვდებოდა გუნდს, რომელსაც აგვისტოს შემდეგ საკუთარ მოედანზე არ წაეგო! მიუხედავად ამისა, „ოლიმპიკმა“ „ლილის“ დამარცხება შეძლო. თანაც, **ერიკ გერეტსის** გუნდმა ზედიზედ მეორე გასვლითი თამაში მოიგო და რაც ყველაზე საინტერესოა, ველოდრომელები ორივე მატჩში აგებდნენ და ორივე შემოატრიალეს. ამრიგად, 67 ქულის მფლობელი „მარსელი“ 1992 წლის შემდეგ პირველ ჩემპიონობას უახლოვდება. ამასთან, „მარსელმა“ ბოლო ექვსი თამაში მოიგო და 11 ტურია, არ დამარცხებულა. მართალია, მდევარი „ბორდო“ დღეს თამაშობს და შეუძლია, „ოლიმპიკს“ მიუახლოვდეს, მაგრამ გერეტსის გუნდი იმდენად კარგ ფორმაშია, რომ ოცნების ასრულებასთან ძალიან ახლოსაა.

## ბუნდესლიგა
### გულახდილი მანინი

მართალია, „ჰანოვერიდან“ **დიტერ ჰეკინგის** გაგდებას არავინ ელოდა, მაგრამ „კიკერის“ ერთ-ერთ ჟურნალისტს, რომელიც „ჰანოვერის“ ფანია, უთქვამს, თუკი ჰეკინგი ამ უქმეების შემდეგაც პოსტზე დარჩება, ორშაბათის ნომერი მთლიანად მის კრიტიკას მივუძღვნათო. ჰეკინგი არ გააგდეს და „კიკერის“ ორშაბათის ნომერიც ჩვეულ სტილში გამოვიდა. მთავარ რედაქტორს ძალიან კი უნდოდა, რომ თავისი ჟურნალისტი გაეხარებინა, მაგრამ, აბა, დიტერ ჰეკინგზე ამდენი რა უნდა დაეწერათ - დიტერი არც სარეკლამო ბილბორდებს ურტყამს ფეხებს, არც „შალკეში“ მუშაობს და არც იმისთვის იბრძვის, რომ 2010 წლის მუნდიალზე გერმანიის ნაკრების კარი დაიცვას... მაგრამ ფაქტია, რომ „ჰანოვერის“ გულშემატკივარი ჟურნალისტი ჰეკინგს დასანახად ვერ იტანს, არადა, ცუდი სპეციალისტი ნამდვილად არ არის, ფეხბურთიც ესმის და არც ის უთქვამს, ზაფხულში „ბაიერნიდან“ **კრისტიან ლელის** შეძენას ვაპირებო...

შაბათს, „შტუტგარტის“ მარცხენა მცველმა **ლუდოვიკ მანინმა** ფართი მოაწყო და თანაგუნდელებთან ერთად საკუთარი დაბადების დღე (მართალია დაგვიანებით, მაგრამ მაინც) ალნიშნა. „აინტრახტთან“ მატჩის შემდეგ მანინს ძალიან ეჩქარებოდა და ჟურნალისტის კითხვაზე, ასე ძალიან სად გეჩქარებაო, ასეთი პასუხი გასცა: *„სახლში უნდა მივიდე, მოვწესრიგდე, გავლამაზდე. ჩემს შემთხვევაში ეს პროცესი ყოველთვის დიდხანს გრძელდება ხოლმე.“* მოგვწონს შვეიცარიელის აღიარებითი ჩვენება - ლუდოვიკი არცისე სიმპათიურია...



ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტრეტი

# მგლების დირიჟორი

## 6 გოლი და 18 საგოლე გადაცემა. მიშიმოვიჩი შესანიშნავი ათიანია

**ზვიეზდან მიშიმოვიჩი „ვოლფსბურგის“ სული და გულია, „ვოლფსბურგი“ კი ბუნდესლიგის ერთპიროვნული ლიდერი და გერმანიის ჩემპიონობის უმთავრესი პრეტენდენტი გახლავთ. ბოსნიელი ფლეიმეიქერი დღეისათვის გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო მეპასეა (16 საგოლე გადაცემა). 26 წლის ნახევარმცველის უმთავრესი პლუსი საფეხბურთო აზროვნებაა - ზვიეზდანი მოედანს იდეალურად ხედავს და თანაგუნდელებს გრძელი თუ მოკლე მზაკვრული პასებით ამარაგებს.**

**ჰერმან გერლანდი, პეტერ ნოირურერი, ჰანს მაიერი** და ახლა **ფელიქს მაგათი** - ისე მოხდა, რომ მიშიმოვიჩს მთელი კარიერის განმავლობაში ყოველთვის ძალიან მკაცრი მწვრთნელები ჰყავდა. ზემოთ ჩამოთვლილი სპეციალისტები ხომ დესპოტიზმით არიან სახელგანთქმულნი (განსაკუთრებით მაიერი და მაგათი). მაგრამ ფაქტია, რომ მისთვის სწორედ ასე იყო საჭირო, რადგან: მიშიმოვიჩს საფეხბურთო ნიჭი ყოველთვის ჰქონდა და თავიდანვე უდიდეს ტალანტად მიიჩნეოდა, თუმცა იმდენად ზარმაცი იყო, რომ ნიჭის გამოყენების თვალსაზრისით სერიოზული პრობლემები შეექმნა.

შესაძლოა, ბევრმა არც იცოდეს ის, რომ მიშიმოვიჩი „ბაიერნში“ ირიცხებოდა და 23-წლამდელთა გუნდში თამაშობდა. იქ მას გერლანდი წვრთნიდა, რომელიც ზვიეზდანის შესახებ საკმაოდ საინტერესო ამბებს იხსენებს. *„მიშიმოვიჩი ფასდაუდებელი ფეხბურთელია, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 80 კილოგრამზე ნაკლებს იწონის. ერთხელ 86 კილოგრამი იყო და მოედანზე ნესიერად ველარ დარბოდა. ჰოდა, მეც დავუყვირე, ირბინე, შე ჩასუქებულო ღორო-მეთქი!“* - ჰყვება გერლანდი. როგორც ჩანს, მწვრთნელის სიტყვებმა ზვიეზდანზე ისე იმოქმედა, რომ მას მერე მიშიმოვიჩის წონა 80 კილოგრამს არ ასცილებია, ახლა კი 79 კგ-ს იწონის. ეს კი საკმაოდ ნორმალური წონაა და შესაბამისად, ბოსნიელი ნორმალურადაც დარბის და ფეხბურთსაც შესანიშნავად თამაშობს - დაბადებით მიუნხენელი „მგლების“ დირიჟორი და ლიდერია.

*„ზვიეზდანს ბურთის იდეალური, ყველასგან გამორჩეული ფლობა ახასიათებს. ამასთან, თამაშის დროს ძალიან ხშირად მოსდის შესანიშნავი იდეები. მისი პასები ხშირად იმდენად გენიალურია, რომ თანაგუნდელები უბრალოდ ვერ უგებენ,“* - აცხადებს გერლანდი. მიშიმოვიჩს იმედი ჰქონდა, რომ „ბაიერნის“ პირველ გუნდში გადაიყვანდნენ, მაგრამ უდიდესი კონკურენციის გამო, გერლანდმა მას გუნდის გამოცვლა ურჩია. და 2004 წელს, ბოსნიელი ფლეიმეიქერი „ბოხუმში“ გადაბარგდა. *„გერლანდს ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად მივიჩნევ მათ შორის, ვისთანაც ოდესმე მიმუშავია. ის ძალიან მკაცრი სპეციალისტია და მეც სწორედ ასეთი თავკაცი მჭირდებოდა, რადგან ძალიან ზარმაცი ვიყავი. ეს იყო პირველი მწვრთნელი, რომელმაც ასე ვთქვათ, პანღური მითავაზა,“* - ამბობს მიშიმოვიჩი.

პანღურები და სიმკაცრე მას არც ფელიქს მაგათის ხელში აკლია. ზვიეზდანი დღეს „ვოლფსბურგში“ **ედინ ჯეკოსთან** და **გრაფიტესთან** ერთად, იმ მაგიურ სამკუთხედს ქმნის, რომელიც „მგლების“ წარმატებას განაპირობებს. ეს არის მთელი ბუნდესლიგის ყველაზე სახიფათო შემტევი ტრიო. 26 წლის მიშიმოვიჩი წელს ყურადღების ცენტრშია მოქცეული, მაგრამ ზვიეზდანს არც ინტერვიუების ჩამორიგება უყვარს და ზოგადად, ეპიცენტრში ყოფნას, თავისთვის, შეუმჩნევლად არსებობა ურჩევნია. *„არ ვარ ისეთი ტიპი, რომელსაც ჟურნალ-გაზეთების გარეკანებზე მოხვედრა ხიბლავს. პირიქით, მირჩევნია, ჩემთვის წყნარად ვიცხოვრო, არავინ მაწუხებდეს და თუ ვინმე მიცნობს, მხოლოდ იმიტომ, რომ კარგი ფეხბურთელი ვარ,“* - წერს ბოსნიელი თავის ოფიციალურ ვებგვერდზე. ასე რომ, „ვოლფსბურგის“ დირიჟორი თავს მხოლოდ და მხოლოდ თავისი კარგი თამაშით წარმოაჩენს. 29 ტურის შემდეგ, ზვიეზდანს 18 საგოლე გადაცემა და 6 გოლი აქვს. აქვე უნდა გითხრათ, რომ 10-ზე მეტი პასი ამ სეზონში მხოლოდ **მარკო მარინს** (12, „გლადბახი“), **ბასტიან შვაინშტაიგერს** (11, „ბაიერნი“) და **არნოლდ ბრუგინკს** (11, „ჰანოვერი“) აქვთ. თუკი მიშიმოვიჩი ამ სეზონში კიდევ 2 საგოლე გადაცემას გააკეთებს (რაც ძალიან რეალურია იმ ფონზე, რომ წინ კიდევ 5 ტურია), ბუნდესლიგაში ახალ რეკორდს დაამყარებს.

„ვოლფსბურგში“ მიშიმოვიჩს ყველაზე უკეთ თანამემამულე ჯეკო უგებს. თამაშის დროს ედინი და ზვიეზდანი ერთმანეთს ასე მიმართავენ: „ძმაო“ - ბოსნიურ ენაზე, რაღა თქმა უნდა. აღსანიშნავია ისიც, რომ „კიკერმა“ მიშიმოვიჩი ბუნდესლიგის პირველი წრის საუკეთესო ნახევარმცველად დაასახელა და თვით **დიეგოსა** (ვერდერი) და **ფრანკ რიბერიზე** (ბაიერნი) წინ დააყენა. ზოგადად, ამ სეზონში არაერთხელ გამოჩნდა, რატომ არის მიშიმოვიჩი „ვოლფსბურგისთვის“ ასეთი მნიშვნელოვანი ფიგურა. „შალკეს“ კარში გატანილი გოლის დროს, მან სამი გელზენკირხენელი მცველი ჩამოიშორა და იდეალური პასი მისცა გრაფიტეს, რომელმაც მას გაწეული შრომა დაუფასა. ხოლო „არმინიასთან“ მინიმალური ანგარიშით მოგებული მატჩის დროს კი, საგოლე შეტევისას, მართალია, ზვიეზდანს ბურთი არ ჰქონდა, მაგრამ მეტოქის კარისკენ ბურთთან ერთად მოძრავ გრაფიტეს რამდენიმე წამის განმავლობაში ანიშნებდა, **კრისტიან გენტნერს** მიეცი პასიო, ეს უკანასკნელი ძალიან კარგად იხსნებოდა, რაც მიშიმოვიჩმა შენიშნა, გრაფიტე კი გენტნერს ვერ ამჩნევდა. თუმცა ბრაზილიელმა გენტნერს მაინც არ უპასა და ისევ და ისევ მიშიმოვიჩს „შეატენა“ ბურთი, ზვიეზდანმა კი დაუყოვნებლივ გენტნერი მოძებნა, რომელმაც ანგარიში გახსნა და გუნდს მოაგებინა. ეს იყო გოლი, რომელიც მიშიმოვიჩის გარეშე ვერ გაიდოდა...

*„კარგი პასების გაკეთება ყოველთვის შემეძლო და საერთოდაც, მიმაჩნია, რომ ფეხბურთელი პირველ რიგში პასით უნდა დაფასდეს და არა გოლით, რადგან კარგი პასის გაკეთება უფრო რთულია, ვიდრე ჩვეულებრივი გოლის გატანა. ესეც რომ არ იყოს, კარგ გადაცემას მოედნის ხედვა და აზროვნება სჭირდება. ერთი სიტყვით, პასების გაკეთება ყოველთვის მიყვარდა და გამომდიოდა, მაგრამ „ვოლფსბურგში“ ჩემს საქმეს ყველაზე უკეთ ვაკეთებ, რადგან აქ გრაფიტე და ჯეკო მყავს - თავდამსხმელები, რომლებსაც კარგი მეპასის შრომის დაფასება შეუძლიათ,“* - ამბობს ზვიეზდანი.

სეზონის წინ ექსპერტების დიდ ნაწილს არ სჯეროდა, რომ მიშიმოვიჩი „ვოლფსბურგის“ ლიდერობას შეძლებდა, რაც პირველ რიგში იმის ბრალია, რომ „ბოხუმსა“ და „ნიურნბერგში“ თავის გამოჩენა მაინცდამაინც ვერ მოახერხა. ეუბნებოდნენ, მნიშვნელოვანი თამაშების წინ, უმჯობესია, სტადიონზე სულ არ მიხვიდეო. მაგრამ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ მაგათს სჯეროდა მიშიმოვიჩის და თავად განსაჯეთ, „დესპოტმა ფელიქსმა“ ზვიეზდანის გამო თვით **მარსელინიოც** კი გაწირა და სამშობლოში გაუშვა. არადა, ბრაზილიელი „ვოლფსბურგის“ ფანებისა და ექსპერტების აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, გუნდის უმთავრესი, შეუცვლელი ფიგურა იყო. მაგათი კი მიიჩნევდა, რომ გამთამაშებლის ფუნქციებს ზვიეზდანი უკეთ გაართმევდა თავს, ვიდრე მარსელინიო და ამიტომაც მიიღო ყველასათვის გასაკვირი გადაწყვეტილება. გარდა ამისა, მაგათმა ბოსნიელს შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე სრული თავისუფლება მიანიჭა.

*„ეს არის ფეხბურთელი, რომელიც ინტუიციით თამაშობს. ყველაფერი გაზუთხული კი არ აქვს, მოედანზე ყოფნის დროს აზროვნებს და გადაწყვეტილებებს ფიქრის შედეგად იღებს. ასე მხოლოდ გენიალურ ფეხბურთელებს შეუძლიათ,“* - ეს სიტყვები **თომას ფონ ჰეეზენს** ეკუთვნის, სპეციალისტს, რომელიც მიშიმოვიჩს „ნიურნბერგში“ წვრთნიდა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ზვიეზდანმაც იცის, რომ ეკუთვნის „რასას“, რომელიც ნელ-ნელა გადაშენების გზაზეა დამდგარი. ლაპარაკია ზოგადად ფლეიმეიქერის ინსტიტუტზე. დღესდღეობით ფეხბურთში ტიპური გამთამაშებლები უფრო და უფრო მცირდებიან. პრემიერლიგაში ისინი თითქმის აღარ არსებობენ, ბუნდესლიგაში კი აქა-იქ არიან შემორჩენილები: „დორტმუნდს“ **ტამაშ ჰაინალი** ჰყავს, „ვერდერს“ დიეგო... ჩვენ შეგვიძლია, მაგათს ძველმოდური მწვრთნელი ვუწოდოთ, მაგრამ ფაქტია, რომ ფელიქსს გუნდი ტიპური ათიანის გარეშე ვერ წარმოუდგენია. როდესაც „ვოლფსბურგმა“ მიშიმოვიჩი წარადგინა, ზვიეზდანმა თქვა, ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ მწვრთნელს ათიანის პოზიციაზე ვჭირდებიო. „ბოხუმსა“ და „ნიურნბერგში“ კი მას გამთამაშებლის პოზიციაზე არ ათამაშებდნენ: ხან ტიპური ცენტრალური შუამარბი იყო, ხან საყრდენი, ხანაც მეორე ფორვარდი. *„ესეც რომ არ იყოს, „ბოხუმში“ ჩემი კონკურენტი დარიუშ ვოში იყო, „ნიურნბერგში“ კი მარეკ მინტალი,“* - დასძენს ბოსნიელი.

„ბაიერნში“ გატარებულ წლებს და შანსს, ეთამაშა რეკორდმაისტერში, არ მისტირის. მიუნხენურ გრანდში ის მხოლოდ იმიტომ სჭირდებოდათ, რომ ნიჭიერი ფეხბურთელი იყო, თამაშით კი არ ათამაშებდნენ. მიუხედავად გერლანდის ქება-დიდებისა, მიუნხენური კლუბის შეფებმა მიშიმოვიჩი მაინც არ დაიტოვეს. *„მაშინ „ცვეჩგეს“ (მიშიმოვიჩის მეტსახელია - გ.ლ) „ბაიერნის“ ძირითად გუნდში მოხვედრის შანსი მართლაც არ ჰქონდა,“* - ამბობს რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** „შპორტ ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

გერლანდი: *„ძალიან არ მინდოდა, რომ „ბაიერნს“ მიშიმოვიჩი დაეთმო, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ული ჰიონესს არაერთხელ ვუთხარი, ძალიან მაგარი ფეხბურთელია-მეთქი, მაგრამ დაიჩემა, არ გვჭირდებაო და მოგეხსენებათ, ბოსი ის არის, მე კი მისი ქვეშევრდომი ვარ. შესაბამისად, შანსი არ მქონდა, რომ ული დამერწმუნებინა.“*

ჰიონესმა მიშიმოვიჩი პირველ რიგში იმის გამო დაიწუნა, რომ ზვიეზდანს ზედმეტად ხშირად აწუხებდა ჭარბი წონა და სწრაფი არ იყო. *„ცოტა უფრო უპრობლემო და სწრაფი ნახევარმცველი რომ ყოფილიყო, დღესაც „ბაიერნის“ ფეხბურთელი იქნებოდა და თანაც, არა რიგითი, არამედ ლიდერი,* - ამბობს გერლანდი და იქვე დასძენს, - *მე კი ვფიქრობ, რომ უმჯობესია, ფეხბურთელი გონებით იყოს სწრაფი, ვიდრე ფეხებით.“*

სანამ მიშიმოვიჩი „ვოლფსბურგში“ თამაშობს და სანამ მისი მწვრთნელი ფელიქს მაგათია, გამორიცხულია, რომ ზვიეზდანი ჭარბმა წონამ კიდევ ერთხელ შეაწუხოს...

**გოტფრიდ ლენცი**



ვოლფსბურგის ყველა შეტევას ზვიეზდან მიშიმოვიჩი ხელმძღვანელობს




სავარაუდო დანიშვნა

# მასიმო ოდო მანჩინის ელის

**რამდენიმე** დღის წინ, **რობერტო მანჩინიმ** განაცხადა, რომ მომავალი სეზონიდან სამწვრთნელო საქმიანობას აუცილებლად დაუბრუნდება. ჟურნალისტებმა მანჩოს ეს სიტყვები უმალ აიტაცეს და მისი სახელი არაერთ გუნდს დაუკავშირეს.

ერთ-ერთ ვარიანტად სენიორ რობერტოს მიუნხენში გამგზავრება სახელდება. როგორც იცით, "ბაიერნიდან" **იურგენ კლინსმანი** გაათავისუფლეს და გუნდს ამჟამად დროებითი მწვრთნელი, **იუპ ჰაინკესი** თავკაცობს. მანჩინის გერმანიაში შესაძლო გადაბარგების ამბავს, მიუნხენური გრანდის იტალიელი მცველი **მასიმო ოდო** გამოეხმაურა. მოვუსმინოთ ექსმილანელს: *"ძალიან მინდა, რომ ჩვენს გუნდს სათავეში სწორედ მანჩინი ჩაუდგეს. რობერტოს შეგირდი "ლაციოში" ვიყავი და მასზე კარგის მეტი არაფერი მეთქმის. ვფიქრობ, შესწევს ძალა ამ ურთულეს პერიოდში გუნდს ახალი ძალა შთაბეროს".*

ოდოს "მილანში" დაბრუნების პერსპექტივაზეც დაეკითხნენ – შეგახსენებთ, რომ მასიმო "როსონერის" საკუთრებაა და "ბაიერნში" იჯარის წესით თამაშობს: *"სიმართლე გითხრათ, იტალიაში დაბრუნების დიდი სურვილი არ მაქვს. "მილანში" თამაში დიდი ბედნიერებაა, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ იქ ჩემი საჭიროების საკითხი დღის წესრიგში დგას. მიუნხენში მაფასებენ, აქ გუნდს ვჭირდები და ამადაც მსურს გერმანიაში დარჩენა. "როსონერის" წარმომადგენლებს უახლოეს მომავალში შევხვდები და ყველაფერს გავარკვევთ".*

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ | დიეგო ფორლანი

# გულშემატკივრებს სულში ჩავაფურთხეთ

## ურუგვაელი ფორვარდი წუხს, რომ როხიბლანკომ ვალენსიის ჩავარდნით ვერ ისარგებლა

უკვე მერამდენედ გვიწევს იმის თქმა, რომ დიეგო ფორლანი წელს კარიერის ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს. ურუგვაელი ფორვარდი მართლაც ფანტასტიკურ ფორმაშია და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ „ატლეტიკოს" ამბიციური ამოცანების გადაჭრაში დაეხმაროს. ფორლანი გოლს გოლზე იტანს, მაგრამ მისი მონდომება საკმარისი არ არის, რომ მადრიდულმა კლუბმა ცხოვრება გაიმარტივოს და ჩემპიონთა ლიგის საგზური გაინაღდოს. არაერთხელ გვითქვამს, რომ „როხიბლანკოს" უპირველესი პრობლემა არასტაბილურობაა. სწორედ არასტაბილურობით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ აბელ რესინოს ბიჭებმა სანტანდერის „რასინგთან" გასვლითი შეხვედრა გამანადგურებელი ანგარიშით 1:5 წააგეს. მომდევნო ტურში კი „სპორტინგი" 3:1 დაამარცხეს. სწორედ ეს არასტაბილურობა გახლავთ წლევანდელი „ატლეტიკოს" მთავარი დამახასიათებელი ნიშანი. მიუხედავად ყველაფრისა, დიეგო ფორლანი იმედს არ ჰკარგავს და სჯერა, რომ დარჩენილ ტურებში მისი გუნდი გარდატეხას შეიტანს და სანუკვარ მიზანს მიაღწევს, ანუ ჩემპიონთა ლიგის საგზურს გაინაღდებს.

**- „ატლეტიკო" ისევ არასტაბილურად თამაშობს, მაგრამ თქვენ ბედს არ ურიგდებით და ყველაფერს აკეთებთ იმისთვის, რომ კლუბს დაეხმაროთ და გულშემატკივრები ჩემპიონთა ლიგის საგზურით გაახაროთ. სამწუხაროდ, მხოლოდ თქვენი ძალისხმევა საკმარისი არ არის.**

- გულწრფელად გეტყვით, გოლის გატანა ნებისმიერ დროს მახარებს, მაგრამ როცა გუნდი ვერ იგებს, ბუნებრივია, განსაკუთრებულ სიხარულს ვერ ვგრძნობ. გეთანხმებით, „ატლეტიკო" საუკეთესო სეზონს ნამდვილად არ ატარებს, მაგრამ ამის გამო სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩავვარდეთ. დიახ, გუნდს ძალიან ბევრი პრობლემა შეექმნა, თუმცა ვალდებული ვართ, ყველაფერს გავუძლოთ და სიტუაციის გაუმჯობესებას შევეცადოთ.

**- ამ კითხვას ძალიან ხშირად გისვამენ, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ, ასეთ კარგ ფორმაში არასოდეს ყოფილხართ?**

- ძალიან უხერხული კითხვაა (იცინის). კარგი სეზონი ადრეც ჩამიტარებია, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ წელს საკმაოდ კარგად ვთამაშობ. გულშემატკივრების დაფასებას ყოველდღე ვგრძნობ. ხალხს ვუყვარვარ და შრომას მიფასებს. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. არასოდეს მომბეზრდება იმის თქმა, რომ ესპანეთში ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს. იმედი მაქვს, რომ სეზონის დასრულებამდე დარჩენილ შეხვედრებს მაღალ დონეზე ჩავატარებთ და ჩემპიონთა ლიგის საგზურს შევწვდებით. ეს ჩვენი უდიდესი ამოცანაა. არ დავმალავ, თუ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში არ ვითამაშებთ, ძალიან გულდაწყვეტილი დავრჩები. ჩემპიონთა ლიგა ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირია და მასში მონაწილეობა განსაკუთრებულ ემოციებთანაა დაკავშირებული. მოკლედ, ეს რთული ამოცანა აუცილებლად უნდა გადავჭრათ.

**- როგორ ფიქრობთ, შეძლებთ სამუელ ეტოოს დამარცხებას?**

- სამუელ ეტოო რატომ უნდა დავამარცხო?

**- თავს ისულელებთ, თუ დამცინით? მე ბომბარდირთა დავას ვგულისხმობ...**

- არ ვიცი, სამუელ ეტოოს დამარცხება იოლი არ იქნება. ის ძალიან ძლიერი ფორვარდია და დარწმუნებული ვარ, რომ დარჩენილ შეხვედრებში კამერუნელი კიდევ გაიტანს. ჩემი მიზანი მისი დამარცხება სულაც არ არის. ყველაფერი უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ ჩემი გოლებით „ატლეტიკოს" დასახული ამოცანების გადაჭრაში დავეხმარო. მთელი შემადგენლობა შეთანხმებული ვართ, თუ ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოვიპოვებთ, მთელი წლის შრომა წყალში გადაიყრება. სწორედ ეს არის ჩემი მიზანი და არა სამუელ ეტოოსთან ბრძოლა.

**- სანტანდერში რა მოხდა? არ გეწყინოთ, მაგრამ „რასინგთან" სამარცხვინოდ ითამაშეთ. „ატლეტიკო" ტერსერა დივიზიონის მოყვარულთა გუნდს ჰგავდა...**

- გეთანხმებით, სამარცხვინო მატჩი ჩავატარეთ. არაფერი გამოგვივიდა. გულშემატკივრებს თავი შევაძულეთ. სანტანდერული ფიასკოს შედეგი მომდევნო შეხვედრაში ვიხილეთ. „სპორტინგთან" შეხვედრაში „ვისენტე კალდერონი" პრაქტიკულად ნახევრად ცარიელი იყო. აი, ეს არის ყველაზე გულსაკლავი ფაქტი. ჩვენი ინჩასები ფეხბურთზე გიჟდებიან, მაგრამ საშინაო შეხვედრაზე ისინიც კი არ მოვიდნენ, ვისაც წლიური აბონემენტი აქვს ნაყიდი. ძალიან ვწუხვარ, გულშემატკივრებს სულში ჩავაფურთხეთ. არ ვიცი, ამ ცოდვას ბოდიშის მოხდით თუ გამოვისყიდით.

**- გულწრფელად მითხარით, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსები რამდენად რეალურია?**

- სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ „ატლეტიკოს" ფეხბურთელები თავს არ დავზოგავთ. წინ უმნიშვნელოვანესი მატჩები გველის. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ სეზონის დასრულებამდე დარჩენილ შეხვედრებში გავიმარჯვოთ და ჩემპიონთა ლიგის საგზური გავინაღდოთ. ბევრი რამ იღბალზეც იქნება დამოკიდებული. თუ ბედი არ გაგვწირავს, ყველაფერი კარგად დასრულდება. საკითხი მარტივად დგას, „როხიბლანკომ" ყველა შეხვედრა უნდა მოიგოს. თუ ამას შევძლებთ, მიზანს აუცილებლად მივაღწევთ.

**- კონკურენტების არ გეშინიათ?**

- შიშით რატომ უნდა მეშინოდეს? გამორიცხულია, „ატლეტიკო" ვინმემ შეაშინოს. საქმე მარტივ კონკურენციასთან გვაქვს. სამწუხაროდ, „ვალენსია" არაჩვეულებრივად ათამაშდა. ყველაფერი ჩვენი ბრალია. მათი ჩავარდნით ვერ ვისარგებლეთ. არადა, მაშინ ქულათა მაქსიმუმი რომ მოგვეპოვებინა, დღეს გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ვიქნებოდით. მიუხედავად ყველაფრისა, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ სასოწარკვეთილებამ არ უნდა მოგვიცვას. ახლა ყურების ჩამოყრის დრო არ არის. უნდა ვიბრძოლოთ, თავი უნდა მოვიკლათ, რომ ჩვენი და გულშემატკივრების ღირსება დავიცვათ. ისღა დაგვრჩენია, ძალა მოვიკრიბოთ და გადამწყვეტი ბრძოლებისთვის მოვემზადოთ.

**ილია ნიკოლაიშვილი**




სერია A




# ექტორ კუპერი: ისტორია არ განმეორდება

იტალიის ჩემპიონატის გასულმა ტურმა, სერია A-ში საჩემპიონო ინტრიგა გააცოცხლა და დღეს უკვე ბევრი ლაპარაკობს იმაზე, რომ მთავარი ბრძოლები ჯერ კიდევ წინ არის. მომავალ ტურში, "ნერაძური" საკუთარ კედლებში რომის "ლაციოს" მასპინძლობს და ამ შეხვედრის გარშემო, აპენინებზე უკვე ბევრს საუბრობენ. ბევრს 2001-2002 წლების სეზონი გაახსენდა – მაშინ, ჩემპიონობასთან ერთი ფეხის ნაბიჯზე მყოფმა "ინტერმა" სკუდეტო "რომას" დაუთმო. შეგახსენებთ, რომ შვიდი წლის წინ, პირველობის უკანასკნელ ტურში, "ნერაძურიმ" გადამწყვეტი ბრძოლა სწორედ "ლაციოსთან" წააგო.

მომავალ უქმეებზე გასამართი პაექრობა ბოლო ტურის ფარგლებში არ ტარდება და თანაც, "ინტერი" მდევარს მთელი შვიდი ქულით უსწრებს. მიუხედავად ამისა, იტალიურ პრესაში უამრავი პარალელი გაივლო და ასეთი კითხვებიც დაისვა – შეძლებს "ლაციო" კიდევ ერთხელ "ინტერის" სასკუდეტო გზიდან გადაყვანას?

იტალიელი ჟურნალისტი, ამ საკითხზე სასაუბროდ **ექტორ რაულ კუპერს** შეეხმიანა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების ამჟამინდელი თავკაცი მაშინ სწორედ "ინტერს" ედგა სათავეში. მოვუსმინოთ სენიორ ექტორს: "მაშინ აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაცია იყო. ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე, უახლოეს მდევარს, "რომას" მხოლოდ სამი ქულით ვუსწრებდით, "იუვენტუსს" კი ექვსით. კონკურენტები კუდზე გვასხდნენ და შედეგად, სკუდეტოს "რომასთვის" დათმობამ მოგვიწია. დღეს სხვაგვარი სიტუაციაა და არა მგონია, რომ იგივე განმეორდეს. მიმდინარე სეზონში, "ინტერის" ათამდე თამაშს ვუყურე და ამ გუნდზე გარკვეული წარმოდგენა შემექმნა. ჟოზე მოურინიომ საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდი შექმნა, რომელიც მაღალი ხარისხის ფეხბურთს თამაშობს. თითქმის წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ "ინტერმა" დარჩენილ ხუთ შეხვედრაში შვიდქულიანი უპირატესობა გაანიავოს. "ნერაძურიმ" სერია A-ში მხოლოდ სამი მატჩი წააგო, რაც მაძლევს იმის თქმის საბაბს, რომ გუნდი სკუდეტოს იმსახურებს".

კუპერის აზრს იზიარებს **ალბერტო ძაკერონი** და მიიჩნევს, რომ სკუდეტო "ინტერს" დარჩება. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე, ძაკერონი "მილანსაც" ედგა სათავეში და "ინტერსაც". აი, რა განაცხადა მილანური გუნდების ექსთავკაცმა: "ჩემპიონატის დასრულებამდე მხოლოდ ხუთი ტურია დარჩენილი და სასწაული უნდა მოხდეს, რომ რაიმე შეიცვალოს. "მილანი" კარგ ფორმაშია, თამაშს თამაშზე იგებს, მაგრამ ფაქტია, რომ "შავ-წითლები" გვიან გამოფხიზლდნენ. დღეს, სკუდეტოს ბედი ლიდერის ხელშია და ძალიან უნდა მოინდომონ ინტერისტებმა, რომ ჩემპიონის ტიტული თანაქალაქელს დაუთმონ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს "ნერაძური" ფორმაში არაა, გუნდი სკუდეტოს დაეუფლება".

**ლაშა ნიკლაური**

მილანი

# ანჩელოტი მილანში რჩება

ბოლო დღეებში, **კარლო ანჩელოტის** მომავალთან დაკავშირებით, იტალიურ პრესაში არაერთი ინფორმაცია გავრცელდა. ჟურნალისტთა ნაწილი ვარაუდობს, რომ კარლეტო მომავალი სეზონიდან ლონდონის "ჩელსის" ჩაუდგება სათავეში. ეს ვარაუდი ამას წინათ **დევიდ ბექჰემმაც** გაამყარა, პრესასთან საუბარში განაცხადა, რომ ანჩელოტი უკვე დიდი ხანია ინგლისურ ენას ეუფლება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ანჩელოტის ბედს ხშირად მადრიდის "რეალსაც" უკავშირებენ, გუნდს, რომელსაც ზაფხულიდან ახალი პრეზიდენტი ეყოლება. სამეფო კლუბის პრეზიდენტის სკამს სავარაუდოდ **ფლორენტინო პერესი** დაიკავებს, ვინც კარლოს ყოველთვის დიდ პატივს სცემდა. გემახსოვრებათ, პერესს იტალიელი სპეციალისტის გადაბირება ჯერ კიდე მაშინ სურდა, როდესაც გალაქტიკოს მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი.

ერთი სიტყვით, კარლეტოზე დიდი მოთხოვნაა, მაგრამ გუშინ "გაძეტაში" გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, თავად სპეციალისტი არსად წასვლას არ აპირებს. ამაზე მისი კომენტარიც მიუთითებს: "მინდა ხაზგასმით განვაცხადო, რომ "მილანიდან" არსად წასვლას არ ვაპირებ და გუნდს მომავალ სეზონშიც გავწვრთნი. კლუბის მესვეურებთან ამ საკითხზე უკვე ვილაპარაკე და ვიცი რასაც ვამბობ, "მილანში" ჩემი ეპოქა ჯერ არ დასრულებულა".

ანჩელოტიმ სამომავლო გეგმებსა და საჩემპიონო შანსებზეც ისაუბრა: "მომავალი სეზონისთვის გუნდი გაძლიერებას საჭიროებს და ამ მიმართულებით უკვე ვმუშაობთ. გაძლიერებაში არა იმდენად ფეხბურთელებს, არამედ ტაქტიკურ სიახლეებს და შეთამაშების ხარისხის გაუმჯობესებას ვგულისხმობ. რაც შეეხება საჩემპიონო შანსებს, რეალისტი ვარ და სკუდეტოზე ნამდვილად არ ვფიქრობ. "ინტერი" მიმდინარე სეზონში გაცილებით სტაბილური იყო და ჩემპიონიც ის გახდება. ჩვენს ადგილს სატურნირო ცხრილი ადეკვატურად ასახავს, მეტს ნამდვილად არ ვიმსახურებთ. ჩვენი მიზანია, მომავალი სეზონისთვის გუნდი უკეთესად მოვამზადოთ, რომ ასეთ ვითარებაში აღარ აღმოვჩნდეთ".



**ლაშა ნიკლაური**




*(გაგრძელება)*

## კატასტროფა იფსვიჩში

ჰამბურგში გამარჯვების შემდეგ ყვავილებით აგვავსეს. მაგალითად, ტაიტიზე, სადაც ჩვენი გუნდი სტუმრად ჩავიდა.

საზღვარგარეთ ფართო პროპაგანდისტური მოღვაწეობისთვის, „სენტ ეტიენი" კეთილი ნების ელჩად არის არჩეული. ეს გუნდს საშუალებას მისცემს უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში მოინახულოს საფრანგეთის კუთვნილი სხვადასხვა ტერიტორია და დეპარტამენტების დიდი ნაწილი.

**ჟანვიონი** მარტინიკაზე აპირებს ჩვენთვის მეგზურობის გაწევას. **ზიმაკო** წინასწარ ტკბება იმით, რომ სულ მალე ახალი კალედონიის ჯუნგლებში ჩაკარგული თავისი მშობლიური სოფლის რიტუალებს გაგვაცნობს. გონებით უკვე ტუატოტუს შორეულ კუნძულებსა თუ კლიპერტონზე ვმოგზაურობ...

რამდენიმე საათით ადრე, სანამ **გოგენის, ბრელისა** თუ **მუატესიეს** ნაკვალევს დავადგებით, **ანრი დე მონფრეიდის** საზღვაო ეგზოტიკით განმსჭვალულ მოთხრობებში ვიძირები, ბოლო დღეების გმირი **ერბენი** კი წერილს იღებს, სადაც იტყობინებიან, რომ ის 1980 წლის ადამიანად არის დასახელებული. ის ამ ტიტულს ლეგენდარულ შვედ ჩოგბურთელ **ბიორნ ბორგთან** იყოფს. ბოლო ათი წლის განმავლობაში მსგავსი პატივი სხვადასხვა სფეროში მოღვაწე 150 გამორჩეულ პიროვნებას ღირსებია. მათ შორის იყვნენ: **რობერ ოსეინი, ჟან-დუი ბარო, მადლენ რენო, ივ მონტანი, პიერ კარდენი** და სხვები.

„სენტ ეტიენის" ყველა ფეხბურთელი ამაყია თავისი მწვრთნელის გამო. ისევე როგორც ნებისმიერი გატანილი გოლი ეთვლება მთელს გუნდს, ასევე მწვრთნელის დიდებას ყველა ჩვენგანი იზიარებს.

დიდი ხანი მივფრინავთ!

პაპიეტეში ჩავდივარ და მცხუნვარე მზე თვალებს მჭრის. ჩვენი პრეზიდენტი **როჟე როშე** ტრაპთან ფაციფუცობს: ის პირადად ანაწილებს ყვავილების თაიგულებს. საბედნიეროდ, მას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ეხმარებიან, რომლებიც ისეთივე ვულკანური ენერგიით გამოირჩევიან, როგორც მთლიანად ეს არქიპელაგი.

ყველა ჩვენგანს მოუწია იქაური ცეკვის ილეთების გამეორება. როგორც იქნა ამოვისუნთქეთ და დიდებულ ტაიტურ ტრაპეზს შევუდექით.

ზიმაკო ისე გრძნობს თავს, თითქოს საკუთარი სახლის კალედონიურ ბაღში იმყოფებოდეს. ამის შემდეგ იქაურ კომისარს თავისი რეზიდენციის დასათვალიერებლად მივყავართ. იწყება პროტოკოლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

პოლინეზიის ეროვნულ ასამბლეაში გუნდის ყოველი მოთამაშე პოლინეზიელი დეპუტატის ადგილს იკავებს, როჟე როშე კი თვით პრეზიდენტის სავარძელს იკავებს.

ჩვენ გვმასპინძლობს პოლინეზიის ყველაზე ძველი საფეხბურთო კლუბი „ფეი-პი", შემდეგ კლუბ „ვეგნიუსში" გადავდივართ, რომლის ახალგაზრდა პრეზიდენტ **ემილ ვერნანონს** ჩვენი ვიზიტის აღსანიშნავად დიდ თასს ვჩუქნით.

„მწვანეების" ლეგენდა სრული ბრწყინვალებით არის წარმოდგენილი ერთ-ერთი მაღაზიის ვიტრინაში და ეს უეფას თასისთვის ბრძოლის იმ ბრწყინვალე ატმოსფეროს გვახსენებს, რომელშიც მთელი სენტ ეტიენია ჩართული!

პოლინეზიაში ფრანგული ფლოტის მთავარსარდალმა, ადმირალმა **შუპენმა** ჩვენთვის ერთი ხომალდი გამოყო, რომლითაც მორეიას კუნძულზე ექსკურსიას ვაწყობთ.

როგორც იქნა, მატჩის დროც დადგა. ის, რა თქმა უნდა, ამხანაგურია, მაგრამ ამასთან, საზეიმო. მას განსაკუთრებულ ელფერს ის ფაქტი მატებს, რომ ტაიტური გუნდის კარში **ჩურკოვიჩი** დგას... გუნდების წარდგენის შემდეგ, ივანმა კარგად მოირგო ახალი როლი. ის კოლეგა **კასტანედასკენ** გაიქცა და კეთილი სურვილების აღსანიშნავად, სერიოზული სახით ჩამოკიდა კისერზე ყვავილების გვირგვინი.

ეს ძლევენი სიმბოლური აღმოჩნდა: კასტენედას გოლი არ გაუშვია, მე კი მაინც მოვახერხე „ჩურკოს" კარის აღება.

ორ კონტინენტს შორის ამ სასიამოვნო მოგზაურობამ მაინც ვერ დაგვავიწყა ის ვალდებულება, რომელიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გველოდა. ისევ ჩავერთეთ ამ ჯოჯოხეთურ ციკლში: ქვეყნის ჩემპიონატი - საფრანგეთის თასი - მსოფლიოს ჩემპიონატი.

საფრანგეთის ჩემპიონატში საბოლოო ადგილების გადანაწილებამდე 14 ტური რჩება. როგორც ჩანს, პირველი ადგილისთვის ბრძოლაში მთავარი ბარიერი ისევ „ნანტი" გახლავთ. ჩემპიონატში მთელი ბრძოლა კვლავ ამ ორი კლუბის კონკურენციამდე დადის და ალბათ, ყველაფერი 12 მაისს, ნანტში გაირკვევა...

ამას უნდა დაემატოს საფრანგეთის თასის მატჩები, რომელიც ყოველთვის დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს.

და კიდევ, საფრანგეთის ნაკრებში გამოსვლა. ამ გუნდს მოუწევს დამღლელი, მაგრამ საინტერესო პროგრამის გავლა - იმ ქვეჯგუფში საკვალიფიკაციო მატჩების ჩატარება, რომელშიც ბელგიისა და ჰოლანდიის ნაკრებები დაუნდობელ ბრძოლაში არკვევენ მადრიდში გასამგზავრებელი საგზურის მფლობელს.

დაბოლოს, უეფას თასი. წილისყრამ ფრანგებს, შესაძლოა, „სოშოსა" და „სენტ ეტიენის" საინტერესო ორთაბრძოლა აჩუქოს. მაგრამ ამას ერთი ნაკლი აქვს: ფრანგ გულშემატკივარს რთული არჩევანის გაკეთება მოუწევს. ამ წყვილის უპირატესობა კი ის იქნება, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ნახევარფინალში ფრანგული გუნდი გავა.

მაგრამ, თუ „სოშო" „ციურიხს" „დაეჯახება", ჩვენ ინგილისის „იფსვიჩის" მილება მოგვიწევს, გუნდისა, რომელშიც ბრწყინავენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან **კუპერი, ტიისენი, ბატჩერი, უორკი** და **მიურენი**. ასეც მოხდა.

**ჯონი რეპი** კარგად იცნობს თავის თანამემამულეებს - ჰოლანდიელებს ტიისენსა და მიურენს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელს. მიურენი იმ დიადი „აიაქსის" სათადარიგო მოთამაშე იყო, სადაც ჯონი შეტევაში ბრწყინავდა. მიურენის ძმა „აიაქსში" ასევე განთქმული ფეხბურთელი იყო. მაგრამ ჯონი გვაფრთხილებს: ეს ტანმორჩილი ფეხბურთელი თავის ძმას სჯობს. ის უფრო მოძრავია და უძლიერესი დარტყმა აქვს...



იფსვიჩი - პატარა ქალაქია, რომელიც ლონდონის ჩრდილო-აღმოსავლეთით ზღვის პირას მდებარეობს. „მწვანეებსა" და „სუპერცისფრებს" ბევრი საერთო აქვთ. კლუბს მტკიცე ხელით მართავს გამოცდილი საქმოსანი და ნამდვილი ჯენტლმენი **პატრიკ კობოლდი**. კლუბი - ერთგვარი საოჯახო საწარმოა, რომელშიც ის მთავარ პოსტზე რიგით მეოთხე მემკვიდრეა. ეს კი „იფსვიჩში" მრავალი წლის განმავლობაში თანმიმდევრული და გონიერი პოლიტიკის გატარების საშუალებას იძლევა. ასევეა „სენტ ეტიენში", სადაც 1981 წლის აპრილში როშეს პრეზიდენტობის 20 წლისთავს ვიზეიმებთ.

მათი მწვრთნელი **ბობი რობსონია**, წარსულში საერთაშორისო ვარსკვლავი, გუნდის ისეთივე ბურჯი, როგორიც ჩვენთან ერბენია. მან ამ პოსტზე უკვე ათი წელი გაატარა და ახლახან გააფორმა ახალი 12-წლიანი კონტრაქტი!

კიდევ ერთი პარალელის გავლება შეიძლება: „იფსვიჩმა" უეფას თასზე დაამარცხა „სალონიკი", პრალის „ბოჰემიანსი", პოლონეთის „ლოძი". წინა წლებში ამ გუნდებიდან ორს შევხვდით და ასევე გამარჯვებული გამოვედით.

ინგლისის ჩემპიონატის ლიდერი, რომელმაც უეფას თასზე თამაშის უფლება მოიპოვა, ჩვენი პარალელური მარშრუტით მოძრაობს.

სანამ „ჟოფრუა-გიშარის" სტადიონზე გამოემგზავრებოდნენ, მათ „ქოვენტრი" დაამარცხეს, იმ ქალაქის გუნდი, რომელიც სენტ ეტიენთან არის დაძმობილებული. ცუდის ნიშანია.

ერბენმა არქივში ამოქექა, რომ „იფსვიჩი" ყოველთვის კარგად თამაშობს საკუთარ მოედანზე. მწვრთნელი მოიხიბლა ინგლისელთა საშინაო შედეგებით: 5:1 „სალონიკისთან", 3:0 „ბოჰემიანსთან", 5:0 „ლოძთან"! მაგრამ ამ გუნდს სტუმრად თამაში ყოველთვის უჭირდა.

*„სტუმრად ვერ მოვიგებთ და ამიტომაც, „იფსვიჩის" დასამარცხებლად შინ დიდი ანგარიშით გამარჯვება გვჭირდება", -* ბრძანებს ერბენი.

მაგრამ პირველ მატჩში ნამდვილი კატასტროფა განვიცადეთ.

დაუჯერებელი! აუხსნელი! წარმოუდგენელი!

თამაში ისეთივე სცენარით მიდიოდა, როგორც ჰამბურში, ოღონდ ამჯერად იფსვიჩელი „სუპერცისფრები" „მწვანეების" როლში გამოდიოდნენ. ოთხი გოლი გავუშვით. პასუხად კი მხოლოდ ერთი გავიტანეთ.

მას შემდეგ წლები გავიდა, მაგრამ მაინც ვერ ვპოულობ იმ დამარცხების გასამართლებელ მიზეზებს.

თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა და უკვე 15 წუთის შემდეგ, ჯონი რეპმა გოლი გაიტანა. მარინერმა ანგარიში გაათანაბრა, თუმცა ჩვენი თამაში არ არეულა. შესვენებამდე ანგარიში - 1:1 ძალაში იყო. რა თქმა უნდა, განაწყენებულები და აღშფოთებულები ვიყავით იმის გამო, რომ მეორე გოლი არ ჩაგვითვალეს - მსაჯებმა გადაწყვიტეს, რომ ჯონი რეპი თამაშგარეში იყო.

მართალია, „იფსვიჩთან" დიდი შანსები არ გვქონდა, მაგრამ იმ გოლის წყალობით წინ გავიდოდით და სავარაუდოდ, საბოლოო ანგარიში სულ სხვანაირი იქნებოდა.

ინგლისელები მსუბუქ ეიფორიაში არიან და გათამამებულნი, შტურმზე გადმოდიან. მათ ყველაფერი გამოსდით. მეორე ტაიმის დაწყებისთანავე მიურენმა გოლი გაგვიტანა. ეს ის ფეხბურთელია, რომლის შესახებაც ჯონი გვაფრთხილებდა. მარინერი შუა ტაიმში ორ ბურთამდე ზრდის ანგარიშს, უორკი კი საფინალო სასტვენამდე ათი წუთით ადრე ასრულებს ჩვენს მკვლელობას!

„სენტ ეტიენში" სრული დაბნეულობაა.

მაგრამ, როგორც ყოველთვის, რევანშის უდიდესი სურვილი გვამოძრავებს. მანამდე კი ჯავრი „მონაკოზე" ვიყარეთ, რომელიც 5:1 გავანადგურეთ! მაგრამ ეს მაინც არ გვაძლევს იფსვიჩში, „კორნჰილის" მოედანზე საპატიო წრის დარტყმის საშუალებას, როგორც ეს სამი წლის წინ „სუპერცისფრებმა" გააკეთეს, როცა პირველი პრიზი - ინგლისის თასი მოიგეს. ეს ის მოედანია, სადაც გასულ საუკუნეებში დამნაშავეებს ცეცხლს უკიდებდნენ. ამჟამინდელ სიტუაციაში შესანიშნავად ვგრძნობთ, რომ „იფსვიჩის" მიერ დანთებულ ცეცხლში ვართ გახვეულნი.

*(გაგრძელება იქნება)*

**გია თვალაბეიშვილი**

ძალოსნობა

ინტერვიუ ვანო გრიქუროვთან

# გზაჯვარედინზე ვდგავარ...

## მოარული ხმები, სინამდვილე და ახალი ამბები ვანო გრიქუროვისგან

**გასულ კვირაში საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარესთან, ოლიმპიურ ჩემპიონ გიორგი ასანიძესთან ინტერვიუ შემოგთავაზეთ, სადაც საუბარი საქართველოს სახელით მოასპარეზე ოსი ეროვნების ძალოსნებზე გვქონდა; ცხადია, ვერაფრით ავუვლიდით გვერდს ვანო გრიქუროვს, რომელიც არსენ კასაბიევისა და ალბერტ კუზილოვის პირადი მწვრთნელიც არის და საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი დამრიგებელიც. გავრცელდა ხმები თითქოს სპორტსმენებმა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა დათმეს და სხვისი სახელით აპირებდნენ სპორტული კარიერის გაგრძელებას; ასევე ითქვა ვანო გრიქუროვზეც. გიორგი ასანიძესთან ინტერვიუში ბევრი რამ გაირკვა, მაგრამ მაინც საჭიროდ ვცანით ბატონ ვანოსთან დაკავშირება და იმ კითხვებზე პასუხის მიღება, რაც გაჩნდა ქართულ სპორტულ საზოგადოებაში. სწორადაც მოვიქეცით, - საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ისეთი ინფორმაციაც მოგვაწოდა, რომელიც თავად გიორგი ასანიძისთვისაც კი უცნობი იყო. თუ რა, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**

- ბატონო ვანო, მოგესალმებით და პირდაპირ საქმეზე გადავალ, - ევროპის ჩემპიონატზე რომ არ ჩახვედით, საქართველოში ხმა დაირხა, თითქოს ჩვენი ნაკრების პოსტი დატოვეთ და მალე სხვა ქვეყნის ნაკრებს ჩაუდგებით სათავეში. სწორია თუ არა ეს ინფორმაცია?

- მეც მოგესალმებით და ძალიან მიხარია, რომ გახსოვართ და მეხმიანებით. ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ჯერ არ გადავმდგარვარ, მაგრამ შესაძლოა, ახლო მომავალში ასეც მოხდეს. დღეს ნამდვილად ვერ გაგცემთ კონკრეტულ პასუხს. თქვენ იცით, რომ პეკინის ოლიმპიადის შემდეგ სამწვრთნელო საქმიანობის დასრულებას ვაპირებდი. გასული წლის ნოემბერში ეს გადავწყვიტე კიდეც და საქართველოშიც იმიტომ ჩამოვედი, რომ აუცილებელი საქმეები მომეგვარებინა. შემდეგ რატომღაც აზრი შევიცვალე და ასე ვთქვათ, მოლოდინის რეჟიმში განვაგრძე საქმიანობა. სიმართლე გითხრათ, საბოლოოდ მაინც არ მემეტებოდა ძალოსნობა მისატოვებლად და ვერც ჩემს შეგირდებს დავტოვებდი. როგორც ადრე, ახლაც გეტყვით, რომ ძალიან დავიღალე, გამოფიტულად და ენერგიისგან დაცლილად ვგრძნობ თავს და ამიტომ მსურდა გავრიდებოდი დიდ სპორტს. დღეისთვის, შეიძლება ითქვას, რომ გზაჯვარედინზე ვდგავარ და ვფიქრობ, საით წავიდე. ძალიან ბევრი რამ შეიცვალა ამ ბოლო დროს ჩემს ირგვლივ და კარგად უნდა გავერკვე ყველაფერში. ევროპის ჩემპიონატზე ჩაუსვლელობას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. პირველი ის, რომ იმ დღეებს დაემთხვა მამის ორმოცი და ვერაფრით მოვიცლიდი. მეორეც: ორი ძალოსნისგან, რომელიც ბუქარესტში გვყავდა, რეალური შედეგის ჩვენება მხოლოდ გია მაჭავარიანს შეეძლო. მას კი, წლებია, პირადი მწვრთნელი ავთო გახოკიძე ავარჯიშებს. ამჯერად მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, რომ გიას პირადი მწვრთნელი ხლებოდა რუმინეთში, რაც, ვფიქრობ, რაციონალური და სწორი გადაწყვეტილება იყო.

**- რახან ყოყმანობთ და ფიქრობთ, რა გზას დაადგეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ სერიოზული წინადადებები გაქვთ. ვინ ცდილობს თქვენს გადაბირებას? ჩვენი ინფორმაციით, პოლონელი ძალოსანი შიმონ კოლეცკი, რომელთან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება გაქვთ, მოითხოვს, რომ მხოლოდ თქვენ ავარჯიშოთ...**

- კოლეცკის მართლაც სურს, რომ მე ვიყო მისი მწვრთნელი, მაგრამ საბოლოო პასუხს ვერც მას ვაძლევ. პოლონეთში ძალოსნობის ფედერაციაში არჩევნები ჩატარდა, სადაც ისეთმა ადამიანმა გაიმარჯვა, რომელსაც ბევრი ეწინააღმდეგება, მათ შორის - კოლეცკიც. შიმონი არ ეთანხმება პოლონეთის ფედერაციის მუშაობის სტილს და ამიტომ ინდივიდუალურად ვარჯიშობს. წინადადებები მართლაც მაქვს, მაგრამ გავმეორდები და ბევრ მათგანს სერიოზულად არ განვიხილავ - არა ვარ ისეთ ასაკში, რომ დაუღალავად ვიმუშაო რამდენიმე წლის განმავლობაში. შედეგი კი ძალოსნობაში წლების შემდეგ მოდის. აქედან გამომდინარე, თუკი მწვრთნელობის გაგრძელებას გადავწყვეტ, სხვა ქვეყანაში, გარდა პოლონეთისა, არ წავალ, რადგანაც აქ სახლიც მაქვს და ოჯახიც ჩემთან ცხოვრობს; სამივე შვილი დასაქმებულია და კარგადაც გრძნობენ თავს.

**- თქვენს შეგირდებზე - კასაბიევსა და კუზილოვზე გკითხავთ: რა სახის ზეწოლა იყო მათზე და დღეს რა ვითარებაა? სხვა ქვეყნის სახელით ასპარეზობას ხომ არ ფიქრობენ მომავალში?**

- თუ რამემ შეიძლება ძალოსნობაში დამტოვოს, ეს ის სინანულია, რაც საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო გამიჩნდა. ამით ყველა დავზარალდით: მე ცხინვალში უკვე აღარაფერი მაქვს - მამაც გარდამეცვალა და სახლიც გავყიდე. მთელ ძალას და ენერგიას ქართულ ძალოსნობას ვახმარდი და ვცდილობდი, ძლიერი ათლეტები აღმეზარდა. განსაკუთრებით დიდი იმედი მქონდა არსენ კასაბიევის, მაგრამ, სამწუხაროდ, შემიძლია ვთქვა, რომ ყველაფერი წყალში ჩამეყარა - ამას წინათ, არსენმა მხრის ოპერაცია გაიკეთა და ვიმედოვნებდით, რომ რეაბილიტაციას დიდი დრო არ დასჭირდებოდა. აღმოჩნდა, რომ მდგომარეობა უფრო რთულად ყოფილა - ოპერაცია უშედეგო გამოდგა, რამაც შესაძლოა, არსენს კარიერაც კი დაასრულებინოს. ეს ინფორმაცია უახლესია და საქართველოშიც არ იციან. ამიტომ მისი სხვა ქვეყნის სახელით ასპარეზობა გამორიცხულია. შვიდი წელიწადი ვზრდიდი არსენს და სასურველ შედეგს რომ ვერ მივაღწიე, ძალიან მწყდება გული. ზეწოლა რომ სერიოზული იყო, ამას ფიცი-მტკიცი არ სჭირდება - საქვეყნოდ, რამდენიმე ელექტრონულ საინფორმაციო საშუალებაში არსენსაც და ალბერტსაც ოსები აძაგებდნენ, ერის მოღალატეებს უწოდებდნენ და სხვა მრავალი შეურაცხმყოფელი ეპითეტებით „ამკობდნენ“. კუზილოვის შესახებ არავითარი ინფორმაცია არა მაქვს, რადგანაც პეკინის შემდეგ ვლადიკავკაზში წავიდა და დღემდე იქ ცხოვრობს.

**- გიორგი ასანიძემ ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ ყოველნაირად შეეცდებიან ვანო გრიქუროვი ქართულ ძალოსნობას შეუნარჩუნონ. ასეთი დამოკიდებულება სასიამოვნოა და სამუშაოდაც შესანიშნავი სტიმული უნდა იყოს...**

- ძალიან მადლიერი ვარ გიასიც და ყველა იმ ადამიანის, ვინც ჩემს შრომას სათანადოდ აფასებს, მაგრამ, როგორც გითხარით, დღეისთვის გადაწყვეტილების მიღება მიჭირს. თუმცა იმის თქმა კი შემიძლია, რომ ნებისმიერ სიტუაციაში ქართული ძალოსნობის მხარდამჭერი და დამხმარე ვიქნები.

**- და თუკი მაინც წახვედით, თქვენი აზრით, ვინ შეგცვლით, ანუ ხედავთ თუ არა ვინმეში კარგი მწვრთნელის პოტენციალს?**

- ჩემი ღრმა რწმენით, მწვრთნელი, რომელიც ორმოც წლამდე დიდ შედეგებს ვერ მიაღწევს, ვერც შემდეგ წლებში შეძლებს უმაღლესი დონის ათლეტის მომზადებას. ამიტომ, ვფიქრობ, რომ დღესვეა საჭირო ახალგაზრდა მწვრთნელებისადმი ყურადღების გაათკეცება. საბედნიეროდ, საქართველოში არის რამდენიმე ახალგაზრდა, ვისი იმედიც მაქვს. მე მაინც ალეკო ნოზაძეს გამოვყოფდი, რომელსაც პედაგოგიური ნიჭი აღმოაჩნდა, ცოდნაც საკმაო გააჩნია, რადგანაც თავადაც რიგიანი, მაღალი დონის ძალოსანი იყო და ჩემი სკოლაც გაიარა. აღვნიშნავ, რომ ალეკომ ძალიან კარგად აითვისა ჩემი მეთოდები. ასევე მეიმედება ქუთაისელი მწვრთნელების. ერთობლიობაში ქართული ძალოსნური სკოლა ძლიერია და დაკნინება არ ემუქრება - ახალგაზრდა თაობაში ნიჭიერი ბიჭებიც გამოჩნდნენ და თუკი მათთან სწორად ვიმუშავებთ, შედეგებსაც მივიღებთ. ოღონდ ერთი რამ აუცილებლად უნდა შევახსენო ყველა გულშემატკივარს: ძალოსნობაში მაღალი შედეგის მიღებისათვის წლებია საჭირო და ამიტომ უცებ ნუ მოვთხოვთ ახალგაზრდებს მედლებს. მთავარია, შრომა არ დაიზარონ.

**ზვიად შათირიშვილი**



ვანო გრიქუროვი

ჭადრაკი

# ორივეგან თითო ერთპიროვნული ლიდერია

საქართველოს თვრამეტწლამდელთა ჩემპიონატზე გუშინ მესამე ტური გაიმართა. ჯერ ფინიშამდე შორია, მაგრამ რახან წლევანდელი ჩემპიონატები საერთორეიტინგული მაჩვენებლებით თავს ვერ მოიწონებენ, ლიდერებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ, რომ ქულები არ დაკარგონ; ქულებთან ერთად რეიტინგსაც უფრთხილდებიან. სპორტული ასპარეზობა ისეთია, რომ დანაკარგები გარდაუვალია. ასე იყო ამჯერადაც და ვინ ნახევარი ქულა დაკარგა, ვინ - მარცხიც იწვნია. ვაჟებში პირველ ორ დაფაზე ფავორიტებს შორის ყაიმები დაფიქსირდა - **დავით ბენიძე დავით ლომსაძეს**, ხოლო **ლევან ბრეგაძე ზურაბ ჯავახაძეს** დაუზავდა . გოგონებში კი **მარიამ დანელიამ** დრო ვერ გააკონტროლა და საათზე ალამი ჩამოუვარდა, რის გამოც ნაგება ჩაეთვალა. მისი მეტოქე **ლელა უგულავა** იყო. **სოფიკო გურამიშვილმა** კი გაიმარჯვა, მაგრამ უგულავასთან წინა ტურში დაზავდა და ამიტომ ორ-ნახევარი ქულით სამი ტურის შემდეგ მეორე - მესამე ადგილებს იყოფს იმავე უგულავასთან. პირველ ადგილზე კი სამიდან სამი ქულით **ქეთი ნაწალაშვილია**. ვაჟებშიც ერთი მონაწილე დაწინაურდა - ლუკა პაიჭაძემ თეთრებით აჯობა **გიორგი ნიკოლაშვილს**. აღსანიშნავია, რომ პაიჭაძეს ძალიან გაუჭირდა ამ პარტიაში - თავიდან არცთუ კარგად გაითამაშა დებიუტი, რის გამოც შუა თამაშში პაიკით ჩამორჩა; ნიკოლაშვილს პოზიციაც უკეთესი ჰქონდა, თუმცა შემდეგ არასწორად ითამაშა და დამარცხდა, - ლუკამ შესანიშნავად გამოიყენა ბოძებული შანსი.

ვაჟებში ლიდერს ექვსი მდევარი ჰყავს ნახევარ-ნახევარქულიანი ჩამორჩენით; გოგონებში კი ორს აქვს 2,5 ქულა. ორი ქულა ოთხ გოგონას მოუგროვებია. ვაჟებში 9 მოჭადრაკეა ორი ქულით და ჯერჯერობით ყველა მათგანს შერჩენია კენწეროში მოქცევის შანსი. ერთ უსიამოვნო ფაქტზეც უნდა ვთქვათ: გუშინ ტურზე არ გამოცხადნენ დები - **ანა და სალომე ხაჟომიები**. წესის თანახმად, მათ ნაგება ჩაეთვალათ. როგორც ცნობილი გახდა, ხაჟომიები ასპარეზობის გაგრძელებას არ აპირებდნენ, რაც ისედაც მცირერიცხოვანი ტურნირის კიდევ უფრო შემოკლებას და დამცრობას ნიშნავს. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ დები გააფრთხილა, რომ მკაცრად დასჯიდნენ და იმედია, რომ სალომეც და ანაც ამას გაითვალისწინებენ. მათ ჯერ კიდევ არაფერი დაუკარგავთ და შეუძლიათ წარმატებულად დაასრულონ შეჯიბრება. ვაჟებში დანაკლისი ჯერ არ შეინიშნება.

მეოთხე ტურის საინტერესო შეხვედრები: გოგონები: **ქეთი ნაწალაშვილი(3) - სოფიკო გურამიშვილი(2,5); ლელა უგულავა(2,5) - თეკლა ფარჯიანი(2); ნათია ჯალაბაძე(2) - ანა შამათავა(2); მარიამ თევზაძე(1,5) - ნინო კეკელიძე(2).**

ვაჟები: **ლევან ბრეგაძე(2,5) - ლუკა პაიჭაძე(3); ანდრო ერვანდიანი(2,5) - დავით ბენიძე(2,5); დავით ლომსაძე(2,5) - ზურაბ ჯავახაძე(2,5); გიორგი ნიკოლაშვილი(2) - ირაკლი ჯანიაშვილი(2,5); ოთარ მანგიაშვილი(2) - ირაკლი ბერაძე(2); ნიკა ვოლკოვი(2) - გიორგი ცირეკიძე(2); კახაბერ წერეთელი(2) - ბექა ახალაძე(2); თორნიკე ხურციძე(2) - ილია კვირტია(2).**

**ზვიად შათირიშვილი**

ჭიდაობა

# ვერცხლით, ბრინჯაოთ, ფულადი პრიზებით

ბაქოში დამთავრდა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში. საპრიზო ადგილებისთვის 13 ქვეყნის 150-მდე სპორტსმენი იბრძოდა. შეჯიბრებაში საქართველოს ნარგზავნილებიც მონაწილეობდნენ. მართალია, ისინი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურს ვერ შესწვდნენ, მაგრამ საერთო ჯამში 13 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭეს.

ჭაბუკებში ფინალური ორთაბრძოლები დათმეს და მეორე ადგილებს დასჯერდნენ **ამირან შავაძე** (46 კგ., აჭარა), **ლუკა ჩირგაძე** (85, წყალტუბო) და **გიორგი ხაბაშვილი** (100, რუსთავი). „ბრინჯაოთი“ დაკმაყოფილდნენ **შმაგი ბოლქვაძე** (42, ხულო), **თორნიკე მახარაძე** (50, ბათუმი), **გიორგი დავითაია** (63, სენაკი), **შალვა გონენაშვილი** (76, თბილისი) და **ლევან არაბული** (100, თბილისი). გუნდური პირველი ადგილი აზერბაიჯანელებმა დაიკავეს, მეორეზე ირანელები გავიდნენ, მესამე ადგილი ქართველებს ხვდათ.

ახალგაზრდებში ვერცხლის მედლები დაიმსახურეს **არჩილ თურმანიძემ** (60, ბათუმი), **პაატა ბაკურიძემ** (66, ბათუმი); **არსენ კახაბრიშვილმა** (84, გარდაბანი), ხოლო **ბექა ჩოფლიანს** (96, ოზურგეთი) „ბრინჯაო“ ერგო.

— ტურნირი შესანიშნავად იყო ორგანიზებული, — მითხრა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, ჭაბუკთა ნაკრების თავკაცმა **ვაჟა კრავეიშვილმა**, — მასპინძლებმა გამარჯვებულებისა და პრიზიორებისთვის ფულადი ჯილდოებიც (შესაბამისად, 1500, 1000 და 500 დოლარი) არ დაიშურეს. ნაყოფიერი ტურნე გამოგვივიდა, რადგან ბიჭებმა კარგი საშეჯიბრო გამოცდილება მიიღეს. ეს ასპარეზობა ხომ ევროპის პირველობებისთვის მოსამზადებელი ერთ-ერთი ეტაპი იყო. წლეულს ივნისის ბოლოსა და ივლისის დასაწყისში თბილისი უმასპინძლებს ახალგაზრდებში კონტინენტის პირველობას. ჭაბუკებში მსგავსი შეჯიბრება 21-26 ივლისს სერბეთში გაიმართება. თუმცა მანამდე ჯერ დიდი დროა. ნაკრების კანდიდატებს მაისში თურქეთის ტურნირზე გამოვცდით, ივნისში ისინი მსოფლიოს ჩემპიონის **თეიმურაზ ყაზარაშვილის** საერთაშორისო ტურნირზე იჭიდავებენ და ამის შემდეგ გაირკვევა გუნდის ის შემადგენლობა, რომელიც ევროპის პირველობაზე საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავს.

27 28

**ვაჟა დანელია**

რეპლიკა

# ოღონდაც ცილს ნუ დაგვწამებთ...

ნებისმიერ ჟურნალისტს აქვს უფლება, გააჩნდეს პირადი აზრი, თუნდაც იყოს სუბიექტური და იგი ხშირად იმიტომაცაა ობიექტური, რომ სუბიექტურია.

„ლელოს“ გუშინდელ ნომერში ძიუდოში ევროპის ჩემპონატთან დაკავშირებით ტურნირზე აკრედიტებული ჩვენი ჟურნალისტის **ნიკოლოზ ნეფარიძის** შთაბეჭდილებები გამოქვეყნდა. პათოსი სულაც არ იყო გამაღიზიანებელი, თუმცა საყვედურის რამდენიმე ზარი რედაქციაში მაინც გაისმა.

*„ავად თუ კარგად, საქართველომ შეძლო ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა“* — აი რამ გამოიწვია წყენა. თუმცა წინადადება ასე მთავრდება: *„არადა, ობიექტურად მართლა ბევრი ხელისშემშლელი წინააღმდეგობა იყო“*. ავტორი წერს: *„კოლეგებისგან მსმენია, რომ თბილისის ტურნირი გაცილებით უკეთ იყო ორგანიზებული, ვიდრე ბრაზილიაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი“*. და იქვე: *„ჟურნალისტის თვალით დანახული საორგანიზაციო პრობლემები მაინც სუბიექტურია“*... მოკლედ, წერილში ბევრჯერაა ნახსენები ტურნირის კარგი ორგანიზაცია და ნახსენებია იმათი გვარებიც, ვის მხრებზეც გადაიარა მთელმა სიმძიმემ. მაგრამ კარგის დანახვა რა მოსატანია. მთავარია, ის ქარაგმა, რომლის მიღმა ვითომ ვილაცის ინტერესი და შეკვეთა იმალება.

ოღონდაც ცილს ნუ დაგვწამებთ...

კალათბურთი

ქართველი NBA-ში

# ზაზა ფაჩულიამ მაიამი გალახა

## 34 წუთი, 18 მოხსნა, 12 ქულა და 81:71

- "მაიამისთან" მესამე მატჩიც თუ წავაგეთ, ნახევარფინალს უნდა დავემშვიდობოთ, - თქვა **ზაზა ფაჩულიამ** "ჰოქსთან" მეოთხე თამაშის წინ და...

...კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატარა. მან პლეი ოფში პირველად ითამაშა 34 წუთი, პირველად ჩააგდო 12 ქულა, პირველად მოხსნა 18-ჯერ და "ატლანტას" 1997 წლის შემდეგ პირველად მოაგებინა გასვლითი საპლეიოფო მატჩი (ჯორჯიელებმა 1997 წლის 8 მაისს **მაიკლ ჯორდანის** "ჩიკაგო" დაამარცხეს).

"ატლანტა ჰოქსმა" გუშინ მეტად მძიმე ბრძოლა გადაიტანა. გუნდის სასტარტო ცენტრმა **ელ ჰორფორდმა** დასაწყისშივე მიიღო ორი ჯარიმა და მეოთხე წუთზე მის ნაცვლად მოედანზე ზაზა ფაჩულია გამოვიდა. შესვლისთანავე იგი როგორც საკუთარ, ასევე მეტოქის ფარს ისე დაეპატრონა, როგორც ქართულ ზღაპრებში დევი – წყალს.

...მაიამელებმა შორიდან, სამქულიანებით სცადეს წყურვილის მოკვლა, 21-ქულიანი ჩამორჩენა (23:44) **ჯონსის** შორეული ტყორცნებით სამამდე შეამცირეს – 43:46. სხვათა შორის, "ჰოქსის" ყველაზე დიდ ჰანდიკაპი ზაზამ დააფიქსირა: მან **ფლიპ მიურეის** მიერ სამქულიანი დისტანციიდან აცილებულ ბურთს მიმართულება ერთი შეხებით შეუცვალა და – 44:23.

"ატლანტას" უკანახაზელები **მაიკ ბიბი** და **ჯო ჯონსონი** მალე მოვიდნენ გონს, მეტოქეებს წყაროსკენ მიმავალი ყველა გზა გადაუკეტეს, ხოლო თავად სამქულიანს სამქულიანი მიაყოლეს და 81:71 "ჰოქსის" სასარგებლოდ. აქვე არ უნდა გამოგვრჩეს **ჯოშ სმიტის** გარჯა: 13 ქულა, 4 დაფარება, 4 პასი, 7 მოხსნა.

ზაზა ფაჩულიას წყალობით სტუმრებმა მეტოქეს მოხსნებში აშკარად აჯობეს – 40:33.

### როკი ბალბოა

შესავალში მოკლედ გაგაცანით "მაიამისთან" მატჩში ზაზას დამსახურება. სერიაში ანგარიში სწორედ მისი წყალობით რომ გათანაბრდა (2:2), ეს ჩვენი მოგონილი არ არის. ამერიკელ ჟურნალისტებს ჩვენზე უკეთ რომ ეხერხებათ სპორტსმენის ცაში აყვანა, თავადაც დარწმუნდებით, როცა იქაურ გაზეთებს გადაქექავთ. დავიწყოთ NBA-ს ოფიციალურ ვებსაიტზე გამოქვეყნებული მიმოხილვით, რომელშიც პირველი ფრაზა ქართული გვარით იწყება:

*"ზაზა ფაჩულიას მარჯვენა თვალი ჩაშავებული ჰქონდა. მის სახეს აშკარად ეტყობოდა ბრძოლის ნაკვალევი...*

*- როკი ბალბოას ვგავარ, - იხუმრა ფაჩულიამ.*

*იგი მაიამიში მართლაც როკივით იბრძოდა. სწორედ მან მოუტანა "ჰოქსს" გასვლითი გამარჯვება და სერიაში ანგარიში გაათანაბრა.*

*- ზაზამ შესანიშნავად ითამაშა. მან მთელი მატჩი ენერგიულად ჩაატარა და საბოლოოდ გუნდს 12 ქულა და 18 მოხსნა შემატა. გადარჩენისთვის სწორედ ეს გვჭირდებოდა, - განაცხადა მატჩის შემდეგ "ატლანტას" თავკაცმა* **მაიკ ვუდსონმა.** მან იქვე დასძინა:

*- ...მაგრამ ამით ყველაფერი არ დამთავრებულა. ახლა, შინ მივემგზავრებით და მეხუთე მატჩისთვის უნდა მოვემზადოთ. მისი მოგებაც ისევე აუცილებელია, როგორც დღევანდელი შეხვედრის."*

### სპოელსტრა: ზაზას ირგვლივ ხალხი ცვიოდა, ბურთი იკარგებოდა...

CBS-ზე თითქმის მთელი მიმოხილვა ქართველ ცენტრს ეძღვნება. ავტორმა **ჯეიმი აისენბერგმა** პუბლიკაციას ასეთი სათაური მისცა: ფაჩულიამ ანგარიში გაათანაბრა – 2:2.

*"მაიამელებთან 1:2 ჩამორჩენის შემდეგ "ატლანტას" გადარჩენისთვის გარკვეული სიახლე და ენერგია სჭირდებოდა. საჭირო იყო გუნდის თამაშში ნაპერწკლის შეტანა.*

*...ეს ყველაფერი ზაზა ფაჩულიამ გააკეთა. მან მასპინძლებს 3:1 დაწინაურების უფლება არ მისცა. მისგან ასეთი თამაში შეიძლება ბევრს გაუკვირდა, მაგრამ არა მწვრთნელ მაიკ ვუდსონს. ზაზამ ხომ შარშანდელ პლეი ოფშიც გამოაფხიზლა თანაგუნდელები, როცა კევინ გარნეტთან ჩხუბი გააჩაღა. ქართველმა არც გუშინ დაუთმო რამე "მაიამის" მეფარე ჯერმეინ ონილს. როცა ჯერმეინზე ზაზა დაჯარიმდა, გაბრაზებულმა ონილმა ხელი ჰაერში მოიქნია... ფაჩულიას პლუსი სწორედ ისაა, რომ მეტოქეები წყობილებიდან გამოყავს. ამჯერად მან ეს კარგი თამაშით გააკეთა.*

*- ვცდილობ გავაკეთო ყველაფერი, რაც გუნდს სჭირდება. თამაში არაერთი ნიუანსისგან შედგება და ამიტომ თითოეულ დეტალს შეუძლია შედეგზე გავლენის მოხდენა, - აცხადებს ზაზა.*

მასზე ორ-ორი სიტყვით ისაუბრეს "მაიამის" კალათბურთელებმა. **ადონის ჰასლემი**: *"ფაჩულია ფიზიკურად ძლიერია, მშრომელია და მის წინააღმდეგ თამაში იოლი არ არის".* ჯეიმს ჯონსი: *"იგი ყველაფერს აკეთებდა – ხსნიდა, ფარიდან ასხლეტილ ბურთს კალათში აბრუნებდა... ფაჩულიამ თამაშის ბედი გადაწყვიტა..."*

სხვათა შორის, ზაზამ მესამე მატჩში სწორედ ჯეიმს ჯონსთან შეჯახების შემდეგ დაიზიანა თვალი.

ფაჩულიას გარჯამ გაოგნებული დატოვა "ჰიტის" მთავარი მწვრთნელი **ერიკ სპოელსტრა**: "ატლანტელ ცენტრს დღეს ყველაფერი გამოსდიოდა. მის გარშემო ხალხი ცვიოდა, ბურთები იკარგებოდა. ზაზა ფაჩულიამ მატჩის შედეგზე დიდი გავლენა მოახდინა. 18 მოხსნა... ეს წარმოუდგენელია".

### ზაზამ უეიდი, ჰოქსმა ჰიტი დაჯაბნა

ქვესათაურად მოყვანილი ეს ფრაზა გაზეთ "ატლანტა კონსტიტუშენის" სათაური იყო.

ქართველი ჟურნალისტები ყოველთვის ვერიდებით ჩვენს კალათბურთელთან მიმართებაში სიტყვა "ვარსკვლავის" ხსენებას. თუმცა ფაქტს ვერსად გავექცევით – ზაზა დუეინ უეიდთანაა გათანაბრებული, ხოლო მიმოხილვაში გარკვევით წერია, რომ: "ფაჩულია მატჩის ვარსკვლავი იყოო".

იმავე "ატლანტა კონსტიტუშენში" "ჰოქსის" კაპიტანი ჯო ჯონსონი ამბობს:

*- ორი წაგების შემდეგ გვჭირდებოდა ადამიანი, რომელიც გარკვეულ ენერგიას შეგვმატებდა. ასეთად ზაზა მოგვევლინა, რომელმაც სათადარიგოთა სკამიდან თამაშში სიმხურვალე შემოიტანა. მან ძალისმიერი თამაშით მეტოქეს ფარი არ დაუთმო, რამაც "ატლანტას" დამაჯერებელი თამაში განაპირობა.*

### კიდევ ორი გვაქვს მოსაგები

ბოლოს გავეცნოთ ზაზა ფაჩულიას ინტერვიუს, რომელშიც ქართველი ცენტრი ფლორიდულ მატჩსა და სამომავლო პერსპექტივებზე საუბრობს.

- სერიაში ანგარიში გათანაბრდა – 2:2. შეიძლება ვინმემ გვითხრას, რომ მოედნის უპირატესობა ჩვენ გვაქვს. გიპასუხებთ: მოედნის უპირატესობა პირველი მატჩის შემდეგაც გვქონდა, მაგრამ მას მერე ორი შეხვედრა დავთმეთ (მათ შორის ერთი ატლანტაში) და რთულ ვითარებაში აღმოვჩნდით. ახლა ყველაფერი თავიდან იწყება, მომდევნო ეტაპზე გასასვლელად კიდევ 2 გამარჯვება გვჭირდება, ისევე როგორც "მაიამის".

**- უშუალოდ მეოთხე მატჩსაც შევეხოთ...**

- თამაშამდე "ჰიტი" 2:1-ს იგებდა. თუ ამჯერადაც გვაჯობებდა, ჩვენთვის ყველაფერი დაკარგული იყო. თუ მატჩს ჩვენს სასარგებლოდ დავასრულებდით, ანგარიში გათანაბრდებოდა. ამ გარემოებათა გათვალისწინებით შეხვედრას ისე მივუდექით, როგორც გადამწყვეტ



ზაზა ფაჩულია

ფინალს. მისი მოგება აუცილებელი იყო.

**- რის ხარჯზე დაამარცხეთ "მაიამი"?**

- ვუჩვენეთ გუნდური თამაში, ვიბრძოლეთ ბოლომდე და დაცვაშიც კარგად გამოვიყურებოდით. პირველ პერიოდსა და მეორის დასაწყისში შესანიშნავად გავისარჯეთ. შეტევაში ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მეორე პერიოდის შუიდან "მაიამიმ" 20:2 სპურტი მოაწყო... მნიშვნელოვანი ისაა, რომ ასეთი გაქცევის მიუხედავად მეტოქემ მაინც ვერ გადაგვასწრო. თუ მომდევნო ეტაპზე გასვლა გვინდა, მომდევნო შეხვედრებშიც ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც მეოთხეში...

სხვათა შორის, ზაზას გარნეტთან შეტაკება შარშანაც მეოთხე მატჩში მოუვიდა და მაშინაც ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ სწორედ ამ ეპიზოდმა გამოაფხიზლა "ატლანტა" და სერიაში ანგარიში გაათანაბრა – 2:2.

"მაიამისთან" მეხუთე დაპირისპირება ატლანტაში 29 აპრილს გაიმართება.

**მაიამი–ატლანტა 71:81**

ფაჩულია: 34 წუთი, 12 ქულა, 18 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა, 4 ფოლი, 1 შეცდომა

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 08:00 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 07:03 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 06:49 | ორქულიანი: 2ქ (10:5) |
| 06:03 | მოხსნა: შეტ-2, დაც-0 |
| 05:40 | ფოლი: 1 |
| 04:29 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 03:23 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 02:24 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 |
| 01:50 | საჯარიმოები: 2\1 (3ქ, 19:15) |
| 00:31 | მოხსნა: შეტ-2, დაც-4 |
| 00:07 | მოხსნა: შეტ-3, დაც-4 |
| 00:06 | ორქულიანი: არაზუსტი |
| **II პერიოდი** | |
| 10:44 | ორქულიანი: 5ქ (28:19) |
| 10:07 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 06:15 | მოხსნა: შეტ-3, დაც-5 |
| 04:50 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 04:39 | ჩაჭრა: 1 (ჩელმერსს ჩაუჭრა) |
| 04:03 | მოხსნა: შეტ-3, დაც-6 |
| 03:47 | მოხსნა: შეტ-4, დაც-6 |
| 03:26 | ფოლი: 2 |
| 03:26 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 05:25 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 04:38 | შეცდომა: 1 |
| 03:09 | მოხსნა: შეტ-4, დაც-7 |
| 02:24 | ჩაჭრა: 2 (ონილს ჩაუჭრა) |
| 01:55 | ფოლი: 3 |
| 01:54 | მოხსნა: შეტ-4, დაც-8 |
| 00:29 | მოხსნა: შეტ-5, დაც-8 |
| 00:29 | საჯარიმოები: 2\1 (8ქ, 61:53) |
| **IV პერიოდი** | |
| 11:24 | მოხსნა: შეტ-5, დაც-9 |
| 11:08 | ორქულიანი: 10ქ (65:55) |
| 07:45 | მოხსნა: შეტ-6, დაც-9 |
| 07:44 | ორქულიანი: 2ქ (12ქ, 72:61) |
| 06:38 | მოხსნა: შეტ-6, დაც-10 |
| 05:59 | მოხსნა: შეტ-6, დაც-11 |
| 02:15 | ფოლი: 4 |
| 01:55 | მოხსნა: შეტ-6, დაც-12 |

**მოთხედფინალის კალენდარი**

**29 აპრილი**
ატლანტა-მაიამი

**1 მაისი**
მაიამი-ატლანტა

**3 მაისი**
ატლანტა-მაიამი

ვაჟა სიმონიშვილი

ძიუდო

ინტერვიუ ნესტორ ხერგიანთან

# ნაკრებში ადგილის დათმობას არ აპირებს

თბილისის სპორტის სასახლეში ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატის პირველ დღეს **ნესტორ ხერგიანმა** (60 კგ.) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, რომელიც საქართველოსთვის საიუბილეო 50-ე ჯილდო აღმოჩნდა კონტინენტის პირველობებზე 1993 წლიდან მოხვეჭილი, ქართველი ფალავანი კი ევროპის ჩემპიონატების კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე მეშვიდედ (1999-2002, 2007-2009 წ.წ.), ავიდა, ორჯერ ოქროს მედალი (1998, 2003 წ.წ.) დაიმსახურა, მსოფლიოს ჩემპიონატების მეორე (2007 წ.) და მესამე (1999 წ.) პრიზიორია, ზაფხულის ოლიმპიადების სამგზის (2000, 2004, 2008 წ.წ.) მონაწილეს ათენის თამაშებზე (2004 წ.) „ვერცხლი" ერგო. მსოფლიოს გუნდური პირველობების ორგზის გამარჯვებულის (ერთხელ — მეორე ადგილი) სპორტულ კოლექციას სხვა მრავალი ნადავლიც ამშვენებს.

— ევროპის ჩემპიონატისთვის მონდომებით ვემზადებოდი, — მითხრა ნესტორმა შეჯიბრების დამთავრებისთანავე, — ძალიან მინდოდა, საკუთარი ქომაგების თვალწინ მესამედ ავსულიყავი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. საამისოდ არაფერი დამიშურებია: შარშან პეკინის ოლიმპიადაზე განცდილი მარცხის შემდეგ არც დამისვენია. შემოდგომაზე იაპონიაში მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის სამი შეხვედრა მოვიგე და ნაკრების გამარჯვებაში მოკრძალებული წვლილიც შევიტანე. მერე ლიტვაში რიზეს „ჩაიკურთან" ერთად ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე პირველი ადგილი დავიკავე. წლეულს თბილისის მსოფლიოს თასზე ჩემთვის უჩვეულო 66 კილოში ვიასპარეზე და მეორე ადგილზე გავედი. მერე საფრანგეთსა და გერმანიაში მასპინძლებთან ერთობლივი საწვრთნელი შეკრება გავიარე, პოლონეთის საერთაშორისო ტურნირზე მესამე ვიყავი. ორ-ორი კვირა ბორჯომსა და ბაკურიანშიც ნაყოფიერად ვივარჯიშე. ერთი სიტყვით, კარგად მოვემზადე და გამარჯვებასაც ველოდი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მესამე წრეში პეკინის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი, ევროპის ჩემპიონი და პრიზიორი ავსტრიელი **ლუდვიგ პაიშერი** დავამარცხე. თავი ფინალში დავიგულე, რადგან **გიორგი ზანთარაია** მანამდე ორჯერ მყავდა დამარცხებული. ეტყობა, შევცდი. ზედმეტად თავდაჯერებულმა პირველი წუთიდანვე აქტიურად შევუტიე. ერთ-ერთ მომენტში გიორგის ფეხიდან აყვანა დავუპირე, მაგრამ უნებლიედ მისი შარვლის ტოტს წავავლე ხელი, რაც ახალი წესებით აკრძალულია, და შენიშვნა მომცეს. მორიგი იერიშისას კონტრილეთზე წამოვეგე და მეტოქემ ვაზარი დაიმსახურა. გონგამდე ცოტა ხნით ადრე იგი ჰაერში ავიტაცე. თითქოს იპონი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ისეთი სიტუაციიდან დამიძვრა, რაც იშვიათად ხდება. მოქნილი და სხარტი ბიჭია. ბოლო დროს ოსტატობაც საკმაოდ აუმაღლებია.

**— ბრინჯაოსთვის საბრძოლველად მობილიზება როგორ მოახერხე?**

— ზანთარაიასთან დამარცხების შემდეგ, მართალი გითხრათ, გუნება-განწყობილება გამიფუჭდა, მაგრამ თავს შევუძახე, არ მინდოდა, ამდენი ხნის გარჯა წყალში ჩამყროდა. არადა, გადამწყვეტ პაექრობაში სერიოზული მეტოქე მყავდა — ჰოლანდიელი რუბენ ჰოუკესი, რომელმაც შარშანწინ ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა მომიგო.

ჰოუკესი ჩემზე მაღალია, გრძელი ხელები აქვს და ახლოს საჭიდაოდ არ მიშვებდა. ძირითადი დრო უშედეგოდ დამთავრდა. დამატებით სამწუთიან მონაკვეთში ჰოლანდიელმა შეტევა წამოიწყო. ეგონა, როგორც რიო-დე-ჟანეიროში, აქაც დამატრიალებდა, მაგრამ ამჯერად ფეხი ხელით ჩავუკეტე და კონტრილეთით ვაზარიზე დავადგე, რითაც რევანში ავილე და გულშემატკივრებიც გავახარე. მეც კმაყოფილი დავრჩი, რადგან სულ არარაობას, ცხადია, „ბრინჯაო" სჯობია.



ნესტორ ხერგიანი

**— სამომავლოდ რას აპირებ?**

— რაც დრო გადის, ნაკრებში ადგილის დაბევება უფრო ძნელდება, რადგან ნიჭიერი ახალგაზრდები მოდიან. კონკურენტებიდან განსაკუთრებით ამირან პაპინაშვილი მინდა გამოვყო. კარგი ბიჭია. ტალანტიც აქვს, შრომისმოყვარეცაა, ნამდვილი სპორტსმენია. წლეულს თბილისის მსოფლიოს თასი მოიგო. პარიზის სუპერტურნირზე კი მსაჯებმა დაჩაგრეს — დრაგინთან ჭიდაობისას სუფთა გდება არ ჩაუთვალეს. საბოლოოდ მეორე ადგილი ერგო. ახალგაზრდა ძიუდოისტისთვის ესეც დიდი წარმატებაა. ერთი სიტყვით, სერიოზული მეტოქე მყავს, რაც იგი გამოჩნდა სარბიელზე, მას შემდეგ ვარჯიშის მეტი სტიმული მომეცა. მართალია, ვეტერანად მიმიჩნევენ, მაგრამ იოლად არაფერს დავთმობ. თავს არ დავზოგავ, რათა შემოდგომით ჰოლანდიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიასპარეზო.

ვაჟა დანელია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო




ალპინიზმი

# კორეელები ავიდნენ, ესპანელს 60 მეტრი დააკლდა, გუჯაბიძე უტევს



მოგეხსენებათ, ქართველი ალპინისტი **ბიძინა გუჯაბიძე** რუსულ ექსპედიციასთან ერთად დედამიწის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალ მანასლუს (8163 მ.) დაპყრობას ცდილობს. ჩვენი თხრობა 15 აპრილის მონაცემით დავასრულეთ, როცა მთელი ექსპედიცია საბაზო ბანაკში იყო და შესაფერის ამინდს ელოდა შესატევად. 16 აპრილს **სერგეი ბოგომოლოვმა** (რომელსაც ექსპედიციასთან მუდმივი კავშირი აქვს) მოიწერა, რომ უამინდობის გამო ზემოთ არავინ ასულა: *„ქარი, ნისლი, ყველაფერი ხელს უშლის მთამსვლელებს, თუმცა საბაზო ბანაკში საბრძოლო განწყობაა“*, - წერს ბოგომოლოვი.

ოთხი დღე ექსპედიცია ამაოდ ელოდა გამოდარებას, შემდეგ კი გუნდმა ერთიანად შეუტია. ყველამ მეორე ბანაკს მიაღწია, რომელიც 6 400 მეტრ სიმაღლეზეა დაცემული. ალპინისტებს ღრმა თოვლის გავლა და ტრასის ხელახლა გაწყობამ მოუწიათ. მცირე წარმატების შემდეგ უამინდობის გამო მთამსვლელები უკან დაბრუნდნენ. 22 აპრილს ექსპედიციის ნაწილმა 7100 მეტრ სიმაღლეზე გაათენა. დაწინაურებულთა შორის იყვნენ: **ალექსეი ბოლოტოვი** (ექსპედიციის მეთაური), **ედუარდ როჟკოვი, არკადი რიჟენკო, დმიტრი ფლორენკო, ალექსანდრ ლუტოხინი, დმიტრი სინევი, ვლადიმირ ბელაუსი** და **სერგეი დუგანოვი**. შემდეგ ყველა მათგანი უკან დაეშვა საბაზოში. 26 აპრილს სიცივის, ძლიერი ქარისა და თოვის მიუხედავად ექსპედიციამ პირველ ბანაკში აინაცვლა. მხოლოდ წინა დღეებში დაწინაურებულთა ნაწილი დაეშვა დაბლა, სოფელ სამაგოონში, სამი დღით დასასვენებლად.

27 აპრილს ბოლოტოვის ექსპედიციამ მწვერვალზე ასვლა დაიწყო. პროგნოზით სამი დღე დარია მოსალოდნელი და ალპინისტებსაც ამ დროში სურთ მანასლუს დალაშქვრა. ბოლოტოვის ოთხეულმა მიაღწია 7100 მეტრს, **დმიტრი მოსკალიოვის** გუნდმა (ასევე კვარტეტი) - 6800 მეტრს. სხვები გადანაწილდნენ მეორე ბანაკში. ჩვენთვის უცნობია, სად იმყოფება თავად ბიძინა, რადგან ბოგომოლოვი კონკრეტულ ინფორმაციას არ გვაწვდის. „ხვალ ყველანი შეეცდებიან 7 400 მეტრამდე მისვლას, საიდანაც იწყება პლატო“, - ეს ბოგომოლოვის მიერ 27 აპრილს გამოგზავნილი ბოლო ცნობაა...

რუსების ექსპედიციაზე წინ ესპანელების, ფრანგების, იტალიელების და კორეელების ექსპედიცია იყო. მათ 27 ან 28 აპრილს უნდა დაეპყროთ მანასლუ. მაგრამ 27-ში მთამ ახლოს არ გაიკარა ადამიანები, ყველა უკან შებრუნდა ძლიერი ქარის გამო. მხოლოდ ესპანელთა ექსპედიციის ლიდერმა **კარლოს პაუნერმა** იბრძოლა, მაგრამ 8100 მეტრზე, მიზნამდე 60 მეტრი რომ რჩებოდა, ისიც დანებდა და მობილური ტელეფონით დარეკა საბაზო ბანაკში - უკან ვბრუნდები, ბრძოლა შეუძლებელიაო. გუშინ, დილით კორეული ექსპედიციის ორმა წევრმა შეუტია მწვერვალს და მიზანს მიაღწია! **კიმ ჩან-ჰო** და **სეო სუნ-ჰო** 8163 მეტრ სიმაღლეზე ავიდნენ. ეს ჩან-ჰოსთვის მერვე დაპყრობილი რვაათასიანია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი

# შაფათავას პირველი გამარჯვება



სოფიო შაფათავა

უზბეკეთის ქალაქ ნამანგანში სტარტი აიღო ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირმა, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი ამერიკული დოლარია. ტურნირში სამი ჩვენებური ჩაება და სამივემ გადალახა პირველი ეტაპი. შეჯიბრების ერთ-ერთმა ფავორიტმა **სოფიო შაფათავამ** (253), რომელიც მეორე ნომრად განთესეს, იოლად აჯობა რუს **მარინა ლუშჩინას** (920) - 6:0, 6:3. ეს ერთი ჩვეულებრივი გამარჯვება მეტად მნიშვნელოვანი იყო სოფიოსთვის, მას ხომ 19 ნოემბრის შემდეგ არ მოუგია. იმედია, ეს ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახულია და სოფიო ჩვეულ ფორმას დაიბრუნებს. 20 წლის ქართველს ხუთი თვე არ მოეგო...

იმარჯვა მე-5 ნომრად განთესილმა **ოქსანა კალაშნიკოვამაც** (350) უკრაინელი **იულია ლინდინას** (972) წინააღმდეგ - 7:5, 7:5. **სოფიო ქვაცაბაიამ** ძირითად ბადემდე საკვალიფიკაციო ბატალიები გაიარა, თუმცა მან ძირითადშიც იყოჩაღა, მე-7 ნომრად განთესილი უკრაინელი **ანასტასია ვასილიევა** (359) გააგდო - 1:6, 6:1, 6:4. ჩვენებურები ახლა მერვედფინალური ბარიერის დასაძლევად ემზადებიან. ქვაცაბაიას მეტოქე მისივე მეწყვილე რუსი **ავგუსტა ციბიშევაა** (691). ისინი ერთმანეთს კორტზე მეოთხედ დაუპირისპირდებიან, ჯერჯერობით ჩვენებური წინაა - 2:1. ოქსანა კალაშნიკოვას მეტოქე „უაილდ ქარდით“ მიწვეული უზბეკი **ალბინა ხაბიბულინაა** (613). ურთიერთ შეხვედრებში კალაშნიკოვა 1:0-ს იგებს. შაფათავა უკრაინელ **იანა პივენს** (538) ეთამაშება.

წყვილთა თანრიგში ბრძოლას ქვაცაბაიასა და ციბიშევას დუეტი ჩამოშორდა, მათ თურქებთან (**კაგლა ბუიუქაგჩაი, პემრა ოზგენი**) წააგეს - 1:6, 1:6. მეოთხედფინალში არიან ოქსანა კალაშნიკოვასა და **იმა ბოჰუშის** (ბელარუსი, 645) და სოფიო შაფათავასა და **ვასილიევას** წყვილები.

გუშინ, გამოქვეყნდა ფედერაციის თასის ახალი რეიტინგ-ლისტი. საქართველოს ნაკრებმა ევროპა-აფრიკის მეორე ზონაში ერთი მატჩი მოიგო და ორი დათმო, ჩვენმა გუნდმა რეიტინგში ერთი ადგილი დაკარგა - **ლალი ზერეკიძის** გუნდი ახლა 54-ე ადგილზეა 407,50 ქულით. რეიტინგს რუსეთის ნაკრები ლიდერობს (მიუხედავად იტალიასთან მარცხისა), რომლის შემადგენლობაშიც ქართველი **ანა ჩაკვეტაძე** ასპარეზობს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი

შვიდკაცა, მსოფლიო სერია

# ედინბურგში მსოფლიოს ჩემპიონების წინააღმდეგ



საქართველოს შვიდკაცა ნაკრები, როგორც უკვე ვიუწყებოდით სეზონის დასრულებამდე ოთხ ტურნირზე იასპარეზებს. აქედან ორი მსოფლიოს სერიის ეგიდითაა. ორიც ევროპის სერიის შეჯიბრებებია.

შეგახსენებთ, რომ ევროპის სერიაში შვიდკაცა ბორჯღალოსნები პოლონეთის ქალაქ სოპოტში, უკრაინაში და ოდესაში იასპარეზებენ. მსოფლიო სერიაში კი, ჩვენ მორაგბეებს ლონდონისა და ედინბურგის ბატალიები ელოდებათ.

ახლახან გაირკვა იმ გუნდების ვინაობა, რომლებიც საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებს, 30-31 მაისს, მსოფლიო სერიის ბოლო, ედინბურგის ეტაპზე დაუპირისპირდებიან ჯგუფურ ტურნირში. წინდაწინვე უნდა ითქვას, რომ ჩვენს გუნდს ურთულესი ბრძოლების გადატანა მოუწევს.

D ჯგუფში შვიდკაცა ბორჯღალოსნები, ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტების, უელსისა და არგენტინის ნაკრებების წინაშე წარდგებიან. მესამე მეტოქეც არანაკლები ძალის გვერგო. ის სამოას შვიდკაცა რაგბის ნაკრები იქნება.

**მსოფლიოს სერია. 30 მაისი**

საქართველო-სამოა
საქართველო-არგენტინა
საქართველო-უელსი

**ბესიკ ჯანგავაძე**

ტრანსფერები

# გიორგი ულენტი ოიონაქსში

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის დასრულებამდე ერთ თვეზე ცოტა მეტი დარჩა. თუმცა კლუბები უკვე მომდევნო სეზონისთვის ემზადებიან და მათთვის სასურველ მორაგბეებთან კონტრაქტებს აფორმებენ. ახლახან მეორე დივიზიონში მოასპარეზე „ოიონაქსთან“ ხელშეკრულება გააფორმა „ორიაკის“ შერკინების ქართველმა ბურჯმა **გიორგი ულენტმა**.

„ოიონაქსში“ ამჟამად ქართველ მორაგბეთაგან კიდევ ერთი, ისიც შერკინების ბურჯი **დავით აშვეთია** ირიცხება. ოიონაქსელები ამ დროისთვის პლეი ოფში მოხვედრისათვის იბრძვიან და გამორიცხული არა არის ელიტური, პირველი დივიზიონის საგზურსაც გამოჰკრან ხელი.

**ბესიკ ჯანგავაძე**



გიორგი ულენტი

ლეგიონერები

# რატი ურუშაძის ირლანდიური მასტერკლასი

საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **რატი ურუშაძე** თავისი რუსული კლუბის, კრასნოიარსკის „ენისეის“ შემადგენლობაში საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდა ირლანდიაში. ბორჯღალოსანთა ფლანკერის გუნდმა აქ ორი შეხვედრა გამართა.

პირველ მატჩში „ენისეი“ მაგნერს ლიგის, სადაც ირლანდიის, შოტლანდიისა და უელსის საუკეთესო კლუბები ასპარეზობენ, ერთპიროვნული ლიდერის „მანსტერის“ სათადარიგო გუნდს შეხვდა და 21:27 დამარცხდა. ურუშაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 67-ე წუთზე შეცვალეს.



რატი ურუშაძე

მეორე შეხვედრა რატის გუნდისთვის უკვე წარმატებული გამოდგა. კრასნოიარსკელებმა, ამჯერად მაგნერს ლიგის აუტსაიდერის „ქონოთის“ ოცწლამდელთა გუნდი - 28:21 დაამარცხეს. ურუშაძემ ისევ ძირითად შემადგენლობაში დაიწყო თამაში და 65-ე წუთზე შეცვალეს.

„ენისეი“ ხვალ კრასნოიარსკში დაბრუნდება და იქვე განაგრძობს მზადებას 9 მაისს გასამართი რუსეთის თასის ფინალური მატჩისთვის. შეხვედრაში, რომელიც კრასნოიარსკში გაიმართება, „ენისეის“ მეტოქე რუსეთის ჩემპიონი და ამ ქვეყნის საბაზო გუნდი მონინოს „ვვა“ იქნება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ხელბურთი

ინტერვიუ გია მამაცაშვილთან

# სპარტაკი პლეი ოფისთვის იბრძვის

**სასიამოვნოა, რომ ხელბურთში საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატში რეგიონებიდანაც მონაწილეობენ გუნდები, რომელთა შორის ერთი დებიუტანტიცაა - ცხინვალის „სპარტაკი.“ მართალია, შემადგენლობის თვალსაზრისით, გუნდი ცხინვალთან ნაკლებადაა დაკავშირებული, მაგრამ მთავარი მწვრთნელი გია მამაცაშვილი ცხინვალშია დაბადებულ-გაზრდილი. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევი კი გუნდს კურირებს. როგორც შევიტყვეთ, სანაკოევს გუნდის საქართველოში ერთ-ერთ გამორჩეულ კოლექტივად ქცევა დაუსახავს მიზნად. მიმდინარე ჩემპიონატში „სპარტაკელები“ ქვეჯგუფიდან გასვლას და პლეი ოფში მონაწილეობას გეგმავენ. გთავაზობთ ინტერვიუს გია მამაცაშვილთან.**

— ცხინვალში ვარ დაბადებული. სკოლაც იქ დავამთავრე. ხელბურთის თამაში კი დნეპროპეტროვსკის ინსტიტუტში სწავლისას დავიწყე. შემდგომში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ვთამაშობდი. მოგვიანებით გორის გუნდში ჩავირიცხე, რომელიც უსახსრობის გამო დაიშალა. მერე რამდენიმე ქართულ გუნდში („თბილისი“, „ქუთაისი“, „მამული“) მომიწია ასპარეზობამ. ბოლო წლებში გორში ჭაბუკებს ვავარჯიშებ. საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატის წინ გადავწყვიტეთ პირველობაში მონაწილეობა. თავდაპირველად გორის უნივერსიტეტის სახელით გვინდოდა გამოსვლა, ვინაიდან შემადგენლობაში ძირითადად ამ ქალაქის სპორტსმენები არიან. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო ეს არ მოხერხდა. ბოლოს ბატონი დიმიტრი სანაკოევი ამოგვიდგა მხარში, შესაბამისად ჩემპიონატში ცხინვალის „სპარტაკის“ სახელით გამოვდივართ. — გვითხრა გია მამაცაშვილმა

**— გორის ცენტრალური სასპორტო სკოლის დარბაზები აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს გვარიანად დაზარალდა. არის იქ ამჟამად პირობები ვარჯიშისათვის?**

— დარბაზი არასტანდარტულია, პატარაა. ამიტომ თბილისში, გლდანის დარბაზში ვვარჯიშობთ, თუმცა უახლოეს ხანში შესაძლოა სხვა ადგილის მოძიებამ მოგვიწიოს.

**— გორელთა გარდა ვინ თამაშობენ „სპარტაკში“?**

— გუნდში თბილისელი ხელბურთელებიც გვყავს. საინტერესოა, რომ შემადგენლობაში სამი ვეტერანია. მათი გამოცდილება ძალიან გვჭირდებოდა. საჭიროების შემთხვევაში, მიუხედავად ასაკისა (38 წლის ვარ), ვეტერანებთან ერთად მეც შევდივარ ხოლმე მოედანზე საასპარეზოდ. გამთამაშებლის და ინსაიდის ფუნქციებს ვასრულებ. საერთოდ კი „სპარტაკი“ ახალგაზრდა მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. აღსანიშნავია ისიც, რომ სამი ხელბურთელი ოთარ ზუბიაშვილი, ელგუჯა ხაბაზიშვილი და ნოდარ ოქროპირიძე საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრები არიან. ამავე ნაკრებში მე ერთ-ერთი მწვრთნელი ვარ.

**— დღევანდელი სატურნირო ვითარებით თუ ხართ კმაყოფილი?**

— ქვეჯგუფში სატურნირო ცხრილის მესამე საფეხურზე ვიმყოფებით, მხოლოდ ერთი წაგება გვაქვს, ისიც ჩემპიონატის ლიდერ „თბილისთან“ და მეორე ადგილისთვის ვიბრძვით. გვინდა აუცილებლად მოვხვდეთ პლეი ოფში. დარწმუნებული ვარ, რომ ეს შეგვიძლია. გჯერა იმისიც, რომ გორში ხელბურთს უკეთესი მომავალი ექნება. ძალიან პერსპექტიული გორელი ჭაბუკები იმედს მისახავს, რომ სამომავლოდ გუნდს მთლიანად ადგილობრივი ახალგაზრდებით დავაკომპლექტებთ.

**ვასილ ბალახაძე**
**გორიდან**

კალათბურთი. NBA. პლეიოფი. 1/8 ფინალი

# დასავლეთში ჯაზი აღარ ჟღერს



პორნეტსის მწვრთნელ ბაირონ სკოტს თავისიანების თამაშის ცქერა აღარ უნდოდა

დასავლეთის პირველმა გუნდმა "ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" აღმოსავლეთის ჩემპიონ "კლივლენდს" მიჰბაძა და თავის კონფერენციაში პირველმა მოიპოვა მეოთხედფინალის საგზური.

რა თქმა უნდა, "იუტასგან" სასწაულს არავინ ელოდა. ამ გუნდის აქტივში უნდა ჩაიწეროს ის, რომ "დეტროიტ პისტონზისგან" განსხვავებით, სერიაში ერთი მატჩის მოგება მაინც შეძლო. სხვა მხრივ კი ყველაფერი ლოგიკურადაა. "ლეიკერსი" უფრო ძლიერია და ეს სერიის მეხუთე მატჩშიც დამტკიცდა.

შეხვედრის დიდი ნაწილი ძლიერის მიერ სუსტის დაჩაგვრას ჰგავდა. მატჩის მსვლელობისას "ლეიკერსის" უპირატესობა 22 ქულას აღწევდა. ამ ყველაფრის შემხედვარე, **ჯერი სლოუნი** ვა-ბანკზე წავიდა და მოედანზე სარეზერვო შემადგენლობა შეუშვა. გამოცდილი მწვრთნელის ამ ნაბიჯმა გაამართლა და მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე, "ჯაზმენებმა" სხვაობა ექვს ქულამდე შეამცირეს. ამ ლოკალური გმირობის მთავარი სულისჩამდგმელი **პოლ მილსეპი** გახდა, რომელმაც 11 ქულას მოუყარა თავი.

ბოლო მეოთხედის დასრულებამდე 3 წუთითა და 20 წამით ადრე, "იუტა" აგრესიულად მიდიოდა მოხსნებზე, მეტოქის დაწევის ბევრი შანსიც ჰქონდა, მაგრამ ეს ვერ გამოიყენა. პირველს ნერვებმა "ჯაზორკესტრის" დირიჟორ სლოუნს უმტყუნა, რომელიც ერთ-ერთ ეპიზოდში გაცხარდა და მოედნიდან იქნა გაძევებული. მის გარეშე "იუტამ" თეთრი დროშა გამოფინა. ახლა ამბობენ, რომ ეს სლოუნისთვის ბოლო მატჩი იყო "ჯაზში".

ასე რომ, "ლეიკერსს" ისღა დარჩენია "პორტლენდისა" და "ჰიუსტონის" სერიის გამარჯვებულს დაელოდოს და ახალი მეტოქის ვინაობა გაიგოს. ამ გუნდების სერიაში ანგარიშია 3:1 "ჰიუსტონის" სასარგებლოდ.

*"ჩვენს თამაშზე ტრავმებმა იქონიეს გავლენა და ამის გამო, ჩვეული რითმის დაჭერა ვერ მოვახერხეთ. პლეი ოფის მოახლოებისას თანდათან ვკარგავდით ფორმას, შემდეგ კი შესაბამისად ვერ განვეწყვეთ "ლეიკერსთან" საბრძოლველად და იმ დონეზე არ მოვინდომეთ, რომ ამ სერიაში გამარჯვებისთვის მიგვეღწია"*, - ასე შეაფასა თავისი გუნდის თამაში "იუტას" გამთამაშებელმა **დერონ უილიამსმა**.

■ ■ ■

"ნიუ ორლეანისა" და "დენვერის" სერიის მეოთხე მატჩის შესახებ მოსაყოლი ბევრი არაფერია. ამ შეხვედრის მთავარი მომენტია "ნაგეტსის" მიერ 53 წლის წინ დამყარებული რეკორდის გამეორება. 1956 წელს, "ლეიკერსმა" 58 ქულის სხვაობით დაამარცხა (133:75) "სენტ ლუისი". ეს არის ყველაზე დიდი ანგარიშით გამარჯვება პლეი ოფის მატჩებში და სწორედ ამ რეკორდის თანამფლობელი გახდა "დენვერი".

"ნიუ ორლეანმა" თამაშიდან 54 ტყორცნა შეასრულა და მხოლოდ 17 ჩააგდო. ალბათ, ნებისმიერს აქვს ასეთი დღეები - ცდილობს, მაგრამ არაფერი გამოსდის.

*"ყოველ შეხვედრაში ვცდილობთ რაღაც ახალის მოფიქრებას, მაგრამ მეტოქე მუდმივად პოულობს პასუხს. ძალიან ცუდად ვითამაშეთ, "დენვერმა" კი თავისი სათამაშო გეგმა ასი პროცენტით შეასრულა. დიდი ანგარიშით დავმარცხდით, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხვედრა იყო"*, - განაცხადა მასპინძელთა ლიდერმა **კრის პოლმა**.

**აღმოსავლეთი**

**მაიამი-ატლანტა 71:81**

17:24, 25:22, 13:16, 16:19

მ: უეიდი (22+7 პასი), ჯ. ო'ნილი (20), ჯ. ჯონსი (19).

ა: ბიბი (15), ჯო ჯონსონი (14), ჯ. სმიტი (13+7 მოხსნა+4 დაფარება), ფაჩულია (12+18 მოხსნა), მიურეი (11), მ. ევანსი (10).

**სერია: 2:2**

**დასავლეთი**

**ლეიკერსი-იუტა 107:96**

26:26, 30:17, 26:20, 25:33

ლ: ბრაიანტი (31+4 ჩაჭრა), ოდომი (26+15 მოხსნა+3 დაფარება), პ. გასოლი (17+11 მოხსნა), არიზა (12+7 მოხსნა).

ი: მილსეპი (16), დ. უილიამსი (14+6 პასი), კირილენკო (14), კორვერი (11), ბუზერი (10+9 მოხსნა), რ. ბრიუერი (10).

**სერია: 4:1**

**ნიუ ორლეანი-დენვერი 63:121**

15:36, 24:25, 11:28, 13:32

ნ-ო: დ. უესტი (14), პოუსი (12+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), სტოიაკოვიჩი (10).

დ: ენტონი (26+7 პასი), ბილაპსი (17+8 პასი), კლეიზა (14), ნენე (13), ჯონსი (12), სმიტი (12), ანდერსონი (11+8 მოხსნა).

**სერია: 1:3**

# იტალიამ ბარნიანი და ბელინელი დაიბევა

იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კარლო რეკალკატიმ** განაცხადა, რომ NBA-ის ორი ლეგიონერი - „გოლდენ სტეიტ უორიორზის" მცველი **მარკო ბელინელი** და „ტორონტო რეპტორზის" ცენტრი **ანდრეა ბარნიანი** მზად არიან იტალიის ნაკრებს ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის ერთადერთი ვაკანტური საგზურისთვის ბრძოლაში დაეხმარონ. რაც შეეხება ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მესამე იტალიელ ლეგიონერს **დანილო გალინარის** („ნიუ იორკ ნიქსი"), საკვალიფიკაციო ტურნირში მისი თამაში გამორიცხულია, რადგან კალათბურთელს ზურგის ტრავმა აწუხებს.

კვალიფიკაციის პირველ ეტაპზე იტალიის ნაკრებს ჯგუფში საფრანგეთი და ფინეთი დაუპირისპირდებიან და ჯგუფის გამარჯვებული ფინალში გავა, სადაც 2009 წლის ევრობასკეტის ბოლო საგზური გათამაშდება. მეორე ჯგუფში ითამაშებენ პორტუგალიის, ბოსნიისა და ბელგიის ნაკრებები.

*„ამ დღეებში „გოლდენ სტეიტის" გენერალურ მენეჯერს შევხვდი და ბელინელის შესახებ ველაპარაკე. ის დათანხმდა მარკოს ნაკრებში გამოშვებას. იგივე სიტუაციაა ბარნიანისთან დაკავშირებით. ანდრეა ამ კვირას დაბრუნდება იტალიაში და 2 ივლისს გუნდთან ერთად დაიწყებს შეკრებას*, - განაცხადა რეკალკატიმ „გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში. - *ჩემი აზრით, საკვალიფიკაციო ტურნირისთვის უძლიერეს შემადგენლობას შევკრებთ. რა თქმა უნდა, დიდი დანაკლისია დანილო გალინარის არყოფნა, მაგრამ მას ზურგზე გადაუდებელი ოპერაცია ესაჭიროება".*



გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი

NHL. პლეიოფი. 1/8 ფინალი

**დასავლეთი**

**ანაჰაიმი-სან ხოსე 4:1**

1:1, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 მ. მიხალეკი-1 (რ. ბლეიკი-3, ბოილი-2), 1:1 პერი-3 (გეტცლაფი-6, პრონგერი-2), 2:1 სელიანე-1 (პრონგერი-3, ს. ნიდერმაიერი-4), 3:1 ბოშემენი-1 (რ. კარტერი-1, მ. ბრაუნი-2), 4:1 გეტცლაფი-2 (რ. ნიდერმაიერი-3, დ. მილერი-1).

**სერია: 4:2**

**კალგარი-ჩიკაგო 1:4**

0:2, 0:1, 1:1

**გოლები:** 0:1 კეინი-2 (ბიფულინი-2, ვერსტეეგი-4), 0:2 ბარიში-1 (ბიფულინი-3, ვერსტეეგი-5), 0:3 ბ. კემპბელი-1 (კეინი-2), 1:3 ბერტუცი-1 (ლეოპოლდი-1), 1:4 ბიფულინი-1 (პალსონი-2, სიბრუკი-5).

**სერია: 2:4**

მსოფლიოს ჩემპიონატი. შვეიცარია 2009

**ჯგუფური ტურნირი**

**C ჯგუფი**

**აშშ-ავსტრია 6:1**

1:0, 1:1, 4:0

**გოლები:** 1:0 დ. ბრაუნი-1 (ო'სალივანი-1, ნისკანენი-1), 2:0 სტეფორდი-2 (ფოლინო-1), 2:1 პაინტნერი-1, 3:1 ო'სალივანი-2 (დ. ბრაუნი-2, ჯ. ბლეიკი-1), 4:1 ჯ. ბლეიკი-1 (დ. ბრაუნი-3, ლაილსი-2), 5:1 სტემპნიაკი-1 (ვეინსი-2, უილსონი-1), 6:1 ნისკანენი-1 (ბალარდი-1).

**ლატვია-შვედეთი 3:2 (ბ)**

0:1, 2:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ომარკი-1 (ჰარიუ-2, ტორნბერგი-2), 1:1 რედლინსი-1 (ანკიპანსი-2, კარსუმსი-1), 2:1 დარძინსი-1 (რედლიპსი-1, ლავინსი-1), 2:2 მ. იოჰანსონი-2 (ლ. ერიქსონი-2).

| | თ | მ | ო-მ | წ | ო-წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 10-3 | 6 |
| 2. შვედეთი | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 9-3 | 4 |
| 3. ლატვია | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 4-6 | 2 |
| 4. ავსტრია | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 2-13 | 0 |

**D ჯგუფი**

**ჩეხეთი-ნორვეგია 5:2**

3:0, 1:2, 1:0

**გოლები:** 1:0 მარეკი-2 (პოლაკი-1), 2:0 ჩაიანეკი-2 (პემსკი-2, იაგრი-3), 3:0 ვაშიჩეკი-1 (ჩერვენკა-1, ნემეცი-1), 3:1 იაკობსენი-1, 4:1 ბლატაკი-1 (ოლეში-1, კოტალიკი-1), 4:2 ცუკარელო აასენი-1 (ვიკინგსტადი-1), 5:2 კლეპისი-1 (ჩასლავა-1, ჩაიანეკი-3).

**ფინეთი-დანია 5:1**

1:1, 2:0, 2:0

**გოლები:** 0:1 იაკობსენი-1 (კრისტენსენი-1, მადსენი-1), 1:1 მიეტინენი-2 (ნიინიმა-1), 2:1 პილმანი-1 (პივონენი-2, იმონენი-1), 3:1 მიეტინენი-3 (ნ. კაპანენი-1, ჰაგმანი-3), 4:1 ნ. კაპანენი-2 (მიეტინენი-1, ნუმელინი-1), 5:1 ნ. კაპანენი-3 (პივონენი-3, ს. კაპანენი-1).

| | თ | მ | ო-მ | წ | ო-წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 10-1 | 6 |
| 2. ჩეხეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 10-2 | 6 |
| 3. ნორვეგია | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 2-10 | 0 |
| 4. დანია | 2 | 0 | 0 | 2 | 0 | 1-10 | 0 |

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ნორთჰემპტონი-მილტონი | 0:1 |

**დანიის თასი**

| | |
|---|---|
| კოპენჰაგენი-ნორდვესტი | 3:0 |
| ვიბორგი-ამაგერი | 3:0 |

**ნორვეგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალტა-კონგსვინგერი | 2:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| გიოტებორგი-ერებრუ | 1:0 |

**პოლონეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ბელხატოვი-ოდრა | 0:2 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| ჰონვედი-შიოფოკი | 0:2 |
| დიოშდიორი-ნირედიაზა | 1:0 |
| კაპოშვარი-ჰალადაში | 2:3 |
| პაკსი-ფეჰერვარი | 0:1 |
| რეაკ-დებრეცენი | 0:4 |
| ვაშაში-კეჩკემეტი | 1:2 |
| ზალაეგერშეგი-დიორი | 2:7 |

**რუმინეთის თასი**

| | |
|---|---|
| დინამო-ტიმიშოარა | 1:4 |

**კალათბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ტელეკომი-ტიუბინგენი | 78:69 |

**ჰოკეი**

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბელარუსი-უნგრეთი | 3:1 |
| რუსეთი-შვეიცარია | 4:2 |
| გერმანია-საფრანგეთი | 1:2 |
| კანადა-სლოვაკეთი | 7:3 |

**ჩოგბურთი**

**ATP. რომი**

| | |
|---|---|
| იუჟნი-ხიმენეს-რავერო | 7:5, 6:4 |
| ბენეტო-მელცერი | [illegible] |
| ფ. ლოპესი-ბელუჩი | 6:4, 6:2 |
| სიოდერლინგი-გრანოლერსი | 6:3, 6:0 |
| ბერდიხი-ზვერევი | 6:4, 2:6, 5:7 |
| კოლშრაიბერი-ბოლელი | 4:6, 6:1, 6:0 |
| რობრედო-საფინი | 2:6, 7:6, 6:2 |
| აკასუსო-ტიპსარევიჩი | 3:6, 4:6 |
| ანდრეევი-ფიში | 3:6, 6:4, 6:7 |
| სეპი-კუერი | 3:6, 6:4, 6:3 |
| ფერერი-მატიო | 3:6, 1:0 (შეწყდა) |
| გონსალესი-შარდი | გადაიდო |
| მიურეი-მონაკო | გადაიდო |
| ჩილიჩი-ო. როხუსი | გადაიდო |
| ცონგა-გასკე | გადაიდო |

**WTA. ფესი**

| | |
|---|---|
| გროტი-ფონდევილა | 6:3, 7:5 |
| ჰრადეცკა-ლალამი | 6:4, 6:3 |
| ჩეტკოვსკა-ფერნანდესი | 6:2, 4:6, 2:6 |
| ჩინკი-ვიერინი | 3:6, 6:2, 6:0 |
| კეოტავონგი-ანი | 6:2, 7:6 |
| კლეიბანოვა-დენტონი | 6:2, 6:4 |
| მედინა გარიგესი-პინი | 6:1, 6:1 |
| ჰერცოგი-დიაჩენკო | 6:1, 6:2 |
| ვინჩი-დუკე მარინო | 2:6, 6:4, 6:1 |
| ზაკოპალოვა-უ. რადვანსკა | 7:5, 6:2 |
| კირსტეა-დომინგეს პინო | 3:6, 4:6 |
| პეერი-რეზაი | 6:4, 2:6, 6:4 |
| მორიგამი-ელ ალამი | 2:6, 7:5, 6:0 |
| პავლიუჩენკოვა-ვოსკობოევა | 6:1, 6:2 |

**WTA. შტუტგარტი**

| | |
|---|---|
| ნა ლი-პენგი | 6:2, 6:3 |
| პირონკოვა-ბრიანტი | 0:6, 6:4, 6:4 |
| ა. რადვანსკა-ვოზნიაკი | 7:6, 6:0 |
| ვოზნიაჩკი-ბენეშოვა | 6:3, 7:5 |
| შავაი-სუგიამა | 6:3, 2:6, 7:6 |
| დემენტიევა-გრონეფელდი | 6:4, 3:6, 6:3 |
| დულკო-რიბარიკოვა | 6:3, 6:3 |
| საფინა-ერანი | 6:0, 6:1 |

TV პროგრამა

**29 აპრილი. ოთხშაბათი**

**რუსთავი 2**

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. მანჩესტერ იუნ-არსენალი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
08:15 ლიბერტადორესის თასი.
09:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ბარსელონა-ჩელსი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი.
14:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ბარსელონა-ჩელსი.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:25 საფეხბურთო პროგრამა.
18:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:15 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:15 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ბარსელონა-ჩელსი.
22:15 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. მანჩესტერ იუნ-არსენალი (LIVE).
01:05 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:05 ლიბერტადორესის თასი.
02:50 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. მანჩესტერ იუნ-არსენალი (LIVE).
04:45 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. კოლო კოლო (ჩილე)-პალმეირასი (ბრაზილია) (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

06:15 კალათბურთი. კვირა NBA-ში.
07:00 ფიგურული სრიალი.
08:00 სპორტული დილა.
08:45 ტაილანდური კრივი.
09:40 სპორტული გლობუსი - Trans World Sport. ტელეჟურნალი.
10:05 ახალი ამბები.
10:15 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. სლოვენია.
12:15 ახალი ამბები.
12:25 ფიგურული სრიალი.
14:15 სპორტული დღე.
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. რომი. იტალია (LIVE).
23:30 სპორტული საღამო.
00:00 სინქრონული ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი.
01:45 სპორტის აკვატორია.
02:20 ახალი ამბები.
02:50 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. 1/2 ფინალი. კილი (გერმანია)-რაინი (გერმანია). პირველი მატჩი.
04:20 ახალი ამბები.
04:30 სნუკერი. ევროპის ჩემპიონატი (იუნიორები). ფინალი. რუსეთი.

**EUROSPORT**

10:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. არგენტინა.
11:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. შტუტგარტი. გერმანია.
13:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
16:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
17:45 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
22:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
01:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. უდინეზე-ვერდერი.
02:00 ავტომოტოსპორტი. ტესტ-რეიდი.
02:15 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. არგენტინა.
03:15 მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ექსტრემალური სპორტი.
13:00 ახალი ამბები.
13:30 ექსტრემალური სპორტი.
13:45 უნივერსიადა 2009. ტელეჟურნალი.
14:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. VIII ტური. კაშიმა-კობე.
16:00 ექსტრემალური სპორტი.
17:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. VIII ტური. კაშიმა-კობე.
18:15 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:45 ახალი ამბები.
19:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. არგენტინა.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 პრო-რესტლინგი.
22:30 პროფესიული კრივი. WBC-ის ვერსია. ა. შება (საფრანგეთი)-ხ. ხუარესი (მექსიკა). კანადა.
23:30 ავიარბოლები. მსოფლიოს სერია. საემიროები.
00:30 სერფინგი. შოტლანდია.
00:45 კარომი. მსოფლიოს ტური. საფრანგეთი.
01:15 ახალი ამბები.
01:45 სერფინგი. შოტლანდია.
02:00 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი. შოტლანდია.
03:00 ახალი ამბები.

ფორმულა 1

# გულწასული ალონსო



ესპანური გაზეთები იმ ინციდენტის შესახებ იტყობინებიან, რომელიც „რენოს“ პილოტ **ფერნანდო ალონსოს** ბაჰრეინის გრანპრის შემდეგ შეემთხვა. რბოლის დასრულებისთანავე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს გული წაუვიდა. მას დაბალი წნევა ჰქონდა და ორგანიზმიც მთლიანად გამოფიტული იყო.

საქმე ისაა, რომ „საჰირზე“ გამართული რბოლის დაწყებიდან ნახევარი საათის შემდეგ, „რენოს“ ბოლიდზე სასმელი წყლის მიწოდების სისტემა მწყობრიდან გამოვიდა და თითქმის საათნახევრის განმავლობაში, ცხელ ტრასაზე (ასფალტის ტემპერატურა 50 გრადუსს აღწევდა) ალონსოს წყურვილი ახრჩობდა.

მიუხედავად ამისა, ფინიშის შემდეგ, ფერნანდომ ჟურნალისტებისთვის კომენტარის მიცემა მოახერხა და ამის შემდეგ გახდა ცუდად. როგორც მადრიდული გაზეთი AS წერს, პილოტს პირველადი დახმარება მისმა მენეჯერმა **ლუის გარსია აბადმა** და „ტოიოტას“ საჯინიბოს ექიმმა **რიკარდო ჩეკარელიმ** აღმოუჩინეს.

*„ინტერვიუს დროს სისუსტე ვიგრძენი და ცოტა ხანში გონება დავკარგე“,* - განუცხადა სააგენტო EFE-ს „რენოს“ პილოტმა.

# მონტეძემოლო რეგლამენტს იწუნებს



ბაჰრეინის გრანპრიზე ამ სეზონში პირველად მსოფლიოს ჩემპიონატის ეტაპს დაესწრო “ფერარის” პრეზიდენტი **ლუკა დე მონტეძემოლო**. “სკუდერიას” შეფმა გადაწყვიტა, პირადად ეხილა და გაეგო მისი გუნდის საშინელი სტარტის მიზეზები.

შეგახსენეთ, რომ “ფერარიმ” პირველ სამ რბოლაში ქულის აღება ვერ შეძლო, რაც ამ გუნდისთვის ყველაზე უარესი სტარტი აღმოჩნდა ბოლო 28 წლის განმავლობაში. მაგრამ მეოთხე რბოლაში იტალიელებმა ნავსი გატეხეს - **კიმი რაიკონენი** ფინიშზე მეექვსე მივიდა და “ფერარი” სირცხვილს გადაარჩინა. “სკუდერიას” პირველ ოთხ რბოლაში ნული ქულა არასოდეს ჰქონია.

მონტეძემოლოს აზრით, 2009 წლის სეზონში “ფერარის” ტოტალური წარუმატებლობების მიზეზი ცუდად დაწერილი ტექნიკური რეგლამენტია: *“ეს ის არის, რასაც “დაუხვეწავ წესებს” ვუწოდებ. მისი ყოველი პუნქტი მოხერხებული ინტერპრეტაციისთვის კარგ საშუალებას იძლევა. საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ ბრძოლას აწარმოებენ ბოლიდები KERS-ითა და KERS-ის გარეშე, ორმაგი დიფუზორითა და ორმაგი დიფუზორის გარეშე, ზოგიერთ გუნდს კი არც KERS აქვს და არც ორმაგი დიფუზორი. თუ წესები ზუსტად არის გაწერილი, სასტარტო ბილიკზე ყველა მანქანა ერთნაირადაა აღჭურვილი. ამიტომაც, ახლა “ფერარი” იძულებულია ამ გაუგებარ წესებს მისდიოს და დამატებითი თანხებს დახარჯოს ლიდერებთან შექმნილი ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად”.*

მეორე მიზეზი ის არის, რომ მარანელოში 2009 წლის საპრიზო ბოლიდის მომზადება დაგვიანებით დაიწყეს. და მესამე მიზეზი – “ფერარი” მიეჩვია პირველ როლებზე ყოფნას და გადაწყვიტა, რომ მუდმივად ასე იქნებოდა. *“ახლა დაუღალავად ვმუშაობთ მდგომარეობის ჩვენს სასარგებლოდ შესაცვლელად და სასურველ შედეგს აუცილებლად მივაღწევთ”,* - განაცხადა მონტეძემოლომ.

ჩოგბურთი

# ჯოკოვიჩმა მწვრთნელი შეიცვალა



მსოფლიოს მესამე ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ფიტნესში ახალი მწვრთნელი აიყვანა, რომელიც სერბ ჩოგბურთელთან სათიხნარო სეზონის ბოლომდე იმუშავებს და მას უიმბლდონის ტურნირისთვის მოამზადებს. ამის შესახებ ჯოკოვიჩმა რომის „მასტერსის“ მსვლელობისას, ტელეკომპანია RAI-სთვის მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა.

*„მონტე კარლოს შემდეგ ორკვირიანი პაუზა მქონდა და ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე ვმუშაობდი,* - ამბობს ჯოკოვიჩი. - *კარგ ფორმაში უნდა ვიყო, ვინაიდან უახლოეს პერიოდში რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ტურნირი მელის - რომი, ბელგრადი, როლან გაროსი. გარდა ამისა, თიხნარიდან ერთბაშად ბალახზე გადავდივართ. ეს სეზონის ყველაზე რთული მონაკვეთია და იმედი მაქვს, მას მომზადებული შევხვდები. ფიტნესში მწვრთნელი შევიცვალე. ჩემი ახალი მასწავლებელია გებჰარდტი, რომელიც თავის დროზე ტომას მუსტერთან მუშაობდა. მას დიდი გეგმები აქვს, თუმცა ყველაფრის შეცვლას არ აპირებს. პირველ რიგში, ყურადღებას გავამახვილებთ ამტანობასა და ფეხების მუშაობაზე“.*

*„მუდმივად ვცდილობ ყველა მიმართულებით საკუთარი თამაშის დახვეწას,* - აღნიშნავს ნოვაკი. - *როცა ვხვდები, რომ ჩემი გუნდის რომელიმე წევრი ვერ ახერხებს ჩემთვის პროგრესში ხელის შეწყობას, მას ყოველგვარი სინანულის გარეშე ვემშვიდობები. ჩოგბურთში ყველაფერი ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული და ყველა რგოლი საათივით უნდა მუშაობდეს. იმედი მაქვს, უმაღლეს დონეს მალე მივაღწევ და დიდ ტურნირებზე გამარჯვებებს დავიწყებ“.*

მძლეოსნობა

# ბოლტმა 9.4 დაგეგმა




მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერმა **უსაინ ბოლტმა** განაცხადა, რომ მომავალში 100 მეტრის 9.4 წამში გარბენას აპირებს. იამაიკელმა მძლეოსანმა ინტერვიუ მისცა სააგენტო “როიტერს”, სადაც აღნიშნა, რომ ამაზე უკეთესი შედეგის ჩვენება შეუძლებლად მიაჩნია. შეგახსენებთ, რომ “მოკლე სპრინტში” ამჟამინდელი რეკორდი სწორედ პეკინის თამაშების სამგზის ჩემპიონს ეკუთვნის და ის 9.69 წამს უდრის.

22 წლის ბოლტს სურს, რომ “სპორტის ლეგენდად” იწოდებოდეს. ამისთვის მას ყოველ წელს მაღალი შედეგების მიღწევა აქვს დაგეგმილი. მაგალითად, 2009 წელს ბოლტის მიზანი ბერლინში მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს მედლის მოპოვება გახლავთ. პლანეტის პირველობა აგვისტოში გაიმართება.

ბოლტი არ ასახელებს იმ სპრინტერს, რომელსაც მომავალ სტარტებზე თავის მთავარ კონკურენტად მიიჩნევს. *“როცა მხოლოდ ერთ მოწინააღმდეგეზე ამახვილებ ყურადღებას, ამით წაგებისკენ დგამ ნაბიჯს”,* - ამბობს იამაიკელი რეკორდსმენი. უსაინი კონკურენტად რამდენიმე მძლეოსანს ასახელებს, მათ შორის თანამემამულე **ასაფა პაუელსა** და ამერიკელ **ტაისონ გეის**. იამაიკელმა ისიც აღნიშნა, რომ არც ერთი მოწინააღმდეგის არ ეშინია და ერთადერთ მეტოქედ ტრავმებს მიიჩნევს.

უსაინი დარწმუნებულია იმაში, რომ 100 მეტრს 9.5 წამზე ნაკლებ დროში დაფარავს და მაქსიმალური შედეგი, რომლის მიღწევაც რეალურად ეჩვენება – 9.4 წამი გახლავთ.

ბოლტი 2008 წლის საუკეთესო მძლეოსანია. ოლიმპიურ თამაშებზე მან ოქროს სამი მედალი მოიპოვა, თანაც 100 და 200 მეტრ დისტანციებზე მსოფლიოს რეკორდები დაამყარა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფეხბურთი

## ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი

**ბარსელონა–ჩელსი 0:0**

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი - დანიელ ალვეში, მარკესი (52. პუიოლი), პიკე, აბიდალი - ჩავი, ტურე, ინიესტა - მესი, ეტო'ო (82. კრკიჩი), ანრი (87. გლეზი).

**ჩელსი:** ჩეხი - ივანოვიჩი, ტერი, ალექსი, ბოსინგვა - მიქელი, ბალაკი (90+5. ანელკა) - ესიენი, ლემპარდი (71. ბელეტი), მალუდა - დროგბა.

**მსაჯი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

**მაყურებელი:** 93 000

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ჩელსი
პირველი ჯარიმა: ჩელსი
პირველი კუთხური: ბარსელონა
პირველი გაფრთხილება: ჩელსი

| | | |
|---|---|---|
| 20(6) | დარტყმა | 3(1) |
| 7 | ჯარიმა | 20 |
| 10 | კუთხური | 2 |
| 4 | თამაშგარე | 3 |
| 2 | გაფრთხილება | 2 |
| 66% | ბურთის ფლობა | 34% |



დროგბას შანსი ჰქონდა




ეროვნული ბიბლიოთეკა